

თბილისის უნივერსიტეტის ურობები

Труды Тбилисского
университета

Proceedings
of Tbilisi University

B 1 (138)

ჰუმანიტარული მეცნიერებანი
ГУМАНИТАРНЫЕ НАУКИ
HUMANITIES

Контрольный экземпляр

თბილისი Тбилиси Tbilisi
1971

თბილისის უნივერსიტეტის

შრომები

Труды
Тбилисского университета

Proceedings
of Tbilisi University

В 1 (138)

ჰუმანიტარული მეცნიერებანი
ГУМАНИТАРНЫЕ НАУКИ
HUMANITIES



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

TBILISI UNIVERSITY PRESS

1971

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი უნივერსიტეტის შრომები 1970 წლიდან გამოდის ორ სერიად: A — ფიზიკა-მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და B — ჰუმანიტარული მეცნიერებანი, თითოეული წელიწადში ოთხჯერ.

Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета с 1970 года издаются в двух сериях: А — Физико-математические и естественные науки и В — Гуманитарные науки, каждая четыре раза в год.

Since 1970 the proceedings of Tbilisi University are published in two series: A — Physico-mathematical and Natural Sciences; B—Humanities.

Proceedings are issued four times a year.

სარედაქციო კოლეგია:


ო. ბაქანიძე, დ. გამეზარდაშვილი, მ. ებრალიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), შ. მესხია, ა. ურუშაძე, გ. ფირცხალავა, გ. შალამბერიძე, შ. ძიძიგური (მთ. რედაქტორი), გ. ჭანუყვაძე, ს. ჯიქია, ს. ჯორბენაძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

О. А. Баканидзе, Д. М. Гамезардашвили, Ш. В. Дзидзигური (гл. редактор), С. С. Джикиа, С. М. Джорбенадзе, Ш. А. Месхиа, Г. С. Пирцхалава, А. В. Урушадзе, Г. Д. Чануквадзе, Г. Е. Шаламберидзе, М. Н. Эбралидзе (зам. гл. редактора).

EDITORIAL BOARD:

O. Bakanidze, G. Chanukvadze, Sh. Dzidziguri (Editor in chief), M. Ebralidze (Assistant editor), D. Gamezardashvili, S. Jikia, S. Jorbenadze, Sh. Meskhia, G. Pirtskhalava, G. Shalamberidze, A. Urushadze.



ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის

ივანე ჯავახიშვილი

1938 წლის მაისში მთელმა ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა თბილისის უნივერსიტეტის არსებობის ოცი წლისთავი.

1938 წლის 25 მაისს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მუშაობა დაიწყო საიუბილეო სამეცნიერო სესიამ.

დარბაზი სავსეა. იხსენება ფარდა. მსურველე ტაში. ისმის შემახილები: „გამარჯვებულ და გულმართალ სტუდენტთა გულწრფელი მადლობა საქართველოს დიდ მეცნიერს — ივანე ჯავახიშვილს“, „გაუმარჯოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორს — ივანე ჯავახიშვილს“.

ივანე ჯავახიშვილს სტუდენტებმა თაიგულები მიართვეს.

პირველი მოხსენება — „ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის“ — წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა.

დიდებული სურათი იყო. ყველას მიერ დაფასებული, ამგდარი მოჭირნასული მომხიბვლელი დარბაისლობითა და ბუნებრივი თავმდაბლობით მყვებოდა მისი მეთავეობით გადატანილი ბრძოლის პერიპეტებიზე.

პირველად ვებჭდავთ ივანე ჯავახიშვილის მოხსენების ს ტ ე ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ჩ ა ნ ა წ ე რ ს ს რ უ ლ ა დ . იგი უნივერსიტეტის არქივშია დაცული (ფონდი I, ანაწერი I, საქმე 71, ფ. 14—49).

პროფ. ს. ჯორჯენაძე

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის დაწერა მე არასოდეს განზრახული არ მქონია. მოულოდნელად მიხდება ამ საკითხის შესახებ ლაპარაკი, მოუმზადებლად. ჩემს ხელში არ არის ყველა ის საბუთი, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იყო ამ საკითხის შესახებ დალაგებული მოხსენების წაკითხვა, ამიტომაც ჩემი დღევანდელი მოხსენება, ნამდვილი მოხსენების მაგივრად, მოგონება იქნება იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც ოცი წლის წინათ მოხდა. ყოველივეს ზედმიწევნით მოგონება ძნელია, განსაკუთრებით, თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გახსურებული მუშაობის დროს არ სცალია ადამიანს მოვლენების აღბეჭდვისათვის და ბევრი რამ, რასაც მნიშვნელობა ექნებოდა ეხლა მაშინდელი ამბების აღდგენისათვის, აღბეჭდილი არ არის არსად; ადამიანის მეხსიერება მთლიანად ვერ იკავებს ყველაფერს ერთნაირად. ამიტომაც ერთი ადამიანის მოგონება, რასაკვირველია, სრული არ იქნება, შესაძლე-



ბელია, რომ სწორიც არ იყოს, შესაძლებელია ადამიანი შეცდეს, მგერაჟი უნდა დად ვეცდები, რამდენადაც შესაძლებელია, მოვიგონო ის ბრძოლა, ურომლისოდაც ამ საქმის დაგვირგვინება ყოვლად შეუძლებელი იყო.

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ მოგვებოგება ცნობა 1799 წელს შედგენილი საქართველოს რეფორმების პროექტშივე. ეს პროექტი დამტიციებული იყო და, ამ პროექტის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში სამი უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაარსებულყო: ერთი თბილისში, ერთი გორში და ერთი თელავში. რასაკვირველია, ეს უმაღლესი სასწავლებელი უნივერსიტეტი არ იყო, უნივერსიტეტის შექმნა მაშინ საქართველოს არ შეეძლო. იგი იყო ლიცეუმის მსგავსი, როგორც მაშინ ვაგრცელებული იყო უმაღლესი სასწავლებლის ნაცვლად.

საქართველოში მოსაზობილი იყო ქართული ენა, როგორც სავალდებულო ენა. მე-19 საუკუნის განმავლობაში, როგორც აღნიშნული იყო კიდევ აქ თავმჯდომარის მიერ¹, არაერთხელ აღძრულა საკითხი უნივერსიტეტის, ან, საერთოდ, უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ მაშინ ქართულ უმაღლეს სასწავლებელზე კი არ ოცნებობდნენ, — რომლის განხორციელება იმ პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ სწავლება ქართულად არ შეიძლებოდა, — არამედ ეს უნდა ყოფილიყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი სავალდებულო რუსული ენით, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს მოსახლეობისათვის, ხალხისათვის გაუგებარი იქნებოდა. მეტის თქმა შემიძლია: ქართველმა ინტელიგენციამ თვითონ არ იცოდა ხეირიანად ქართული ლაპარაკი. თქვენ, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენთ ასეთ მდგომარეობას ამჟამად, მაგრამ ჩვენს თაობას უნახავს, თავისი ყურით მოუსმენია ისეთი კრება, — მთავრობის მიერ მოწვეული კი არა, — სადაც არც ერთი სიტყვა ქართული არ ყოფილა წარმოთქმული. მეტიც: ქართველ ინტელიგენციას, საყველპურო ლაპარაკის გარდა, სხვა საგანზე ქართულად ლაპარაკი არ ეხერხებოდა. ეს ჩვეულებრივი იყო და, თუ გნებავთ, ამის გამო ქართული ენა არასავალდებულოდ ცხადდებოდა, ის იკითხებოდა მესამე კლასამდე ან მეექვსე ვაკვეთილად ან იმ დროს, როდესაც გერმანულს და ფრანგულს ასწავლიდნენ, და ამ არასავალდებულო საგანს თითქმის არავინ სწავლობდა.

ამგვარად, ქართველი ინტელიგენცია სრულიად დაშორებული იყო ხალხს, ხალხისა და ინტელიგენციისათვის გაუგებარი იყო ხშირად ზრახვები, რომლებიც მათ ჰქონდათ. მე, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ პოლიტიკურ საკითხებს, — პოლიტიკური საკითხები გაშუქებული იყო და პრესაშიაც მოიპოვებოდა, — მე ვგულისხმობ სამეცნიერო მწერლობას და სამეცნიერო აზროვნებას.

ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, რომელიც იმდენად ბედნიერი იყო, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლო, მოკლებული იყო უმეტეს ნაწილად უფლებას — თავის სამშობლოში ემსახურა. მაშინ ისეთი წესი არსებობდა, რომ ქართველებს გზავნიდნენ სხვაგან, არაქართული მოსახლეობის ადგილას, ამგვარად, განათლებული ინტელიგენცია ჩამოშორებული იყო

¹ აქ იხანე ჯავახიშვილი მიუთითებს მაშინდელი რექტორის — პროფ. გ. კიკნაძის შესავალ სიტყვაზე — ს. ჯ.



თავის ქვეყანას, მას რომ სურვებოდა კიდევ ემოღვაწევა იმ სფეროში, რომელიც მას დასახული ჰქონდა მიზნად, ამის შესაძლებლობა არ იყო.

მე მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც ფრიად დამახასიათებელი არის მაშინდელი მდგომარეობისათვის, რომ გაითვალისწინოთ, რამდენად დაკნინებული იყო მაშინ ქართული ენა. ამიერკავკასიაში განათლების საქმეს განაგებდა ცნობილი რუსიფიკატორი იანოვსკი, რომელსაც, უნდა ითქვას, თავისებურად უყვარდა კულტურაც და, თუ გნებავთ, კავკასიის წარსულიც. მან დააარსა ორგანო, ი. წ. „Материалы для описания местностей и племен Кавказа“, რომელშიაც საინტერესო და საყურადღებო მასალები იბეჭდებოდა, მაგრამ იმაზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას. მე მაგონდება ერთი ამბავი და, თუ გადაფურცლავთ გაზეთებს, იზოვით ასეთი ამბავის აღწერილობას: ის შევიდა სასწავლებელში, ერთ კლასში, რომელსაც ასწავლიდა ქართველი მასწავლებელი და რომლის მოწაფეებიც ქართველები იყვნენ. ჰკითხა (მოთხრობის მიხედვით, რომელსაც არჩევდნენ, — იმ მოთხრობაში იყო აღნიშნული „ვოდაპადი“) — როგორ არის ქართულად „ვოდაპადი“, მასწავლებელი დაიბნა, პასუხი ვერ გასცა. ჰკითხა მოწაფეს, მოწაფემაც ვერ უპასუხა. მაშინ თქვა: უცნაურია: ქვეყანაში, სადაც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ასეთი მოვლენაა, შეუძლებელია, არ იყოს სიტყვა, მისი გამომსახველიო, რამდენად ღარიბი უნდა იყოს ენა, რომ ასეთი სიტყვა არ იყოსო! ამის შესახებ მთელი გოდება იყო დაწერილი მაშინდელ ქართულ პრესაში, რომ ასეთ დაკნინებაში ვართ, რომ მასწავლებელს არ სცოდნია ასეთი რამ და ჩამოთვლილი იყო, რომ „ვოდაპადი“-სათვის მაშინ ქართულში არა ერთი სიტყვა არსებობდა, არამედ მრავალი: ჩანჩქერი, დანჩქერი, გოჩგოჩანა, რასაც საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონშიც შეხვდებით და სხვ.

აი, ეს დამახასიათებელია! თქვენ გგონიათ, რომ იმ მასწავლებელმა მართლაც არ იცოდა არც ერთი ეს სიტყვა? არა. მან იცოდა, მაგრამ, როდესაც მოულოდნელად ჰკითხეს, მოგონება ვერ შეძლო და ცნობილია, რომ, როდესაც აღამიანი არ ვარჯიშობს, შესაძლებელია, არათუ სიტყვა დაავიწყდეს, ენა დაავიწყდეს, — რომელიც მან კარგად იცოდა, — არამედ ლაპარაკის უნარიც კი დაკარგოს. სამკურნალო მეცნიერებაში ცნობილია ერთი შემთხვევა: ქალმა განაცხადა ჟინიანობის გამო, — იმიტომ რომ შშობლებმა არ აუსრულეს სურვილი, — ოცი წლის განმავლობაში არ ვილაპარაკებო! ეს ამბავი მოხდა ამერიკაში. ოცი წლის შემდეგ, როდესაც მოიწვია თავისი მახლობლები და საზეიმოდ უნდა დაემტკიცებინა, რომ მან აღასრულა ეს აღთქმა და ოცი წლის თავზე დაიწყებდა ლაპარაკს, მას მხოლოდ პირის და ტუჩების ამოძრავებდა შეეძლო, მაგრამ არც ერთი ბგერა აღარ აღმოხდა, მოდუნებული ჰქონდა ის აპარატი, რომელიც შეტყვევებას განაგებს.

ამგვარად, ქართულ ენას არათუ განვითარების შესაძლებლობა მოსპობილი ჰქონდა, არამედ პირდაპირ ისეთი პირობები იყო, რომ უნდა დაევიწყა ინტელიგენციას ქართული ენა. რასაკვირველია, ხალხი, მასა, რომელიც ეროვნული განძის პირველი მატარებელია, განაგრძობდა ამ ენაზე ლაპარაკს, მაგრამ ინტელიგენციისათვის ეს ენა უკვე დედანა აღარ იყო და უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ თქვენ დაუკვირდებით ქართულ მწერლობას — ბარათაშვილიდან დაწყებული — შეატყობთ, რომ ბევრი რუსულად აზროვნებდა და ქართულად



წერდა. აზროვნებას მიჩვეული იყვნენ რუსულად, — ქართულად თავიანთი სიტყვების გამოთქმა უძნელდებოდათ. ხშირად მათთვის ქართული გაუგებარი იყო, ისინი ფიქრობდნენ სხვანაირად. ასეთ მდგომარეობაში, ბუნებრივია, არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ქართული უნივერსიტეტიც შესაძლებელია დაარსდეს, და როდესაც თხოულობდნენ, ქართული უნივერსიტეტი დაარსდესო, ამ ნიადაგზე ბრძოლა წარმოებდა. ქართველების გარდა, ამ ბრძოლაში ჩაებნენ სომხები. ქართველები თხოულობდნენ უნივერსიტეტს, სომხები — პოლიტექნიკუმს. ეს, რასაკვირველია, მაშინდელი მთავრობისათვის ხელსაყრელი იყო, მას არც ერთი არ უნდოდა! როდესაც ორი მოქიშპეა — კარგია, ორივეს უარყოფს. ყოველ შემთხვევაში, მიზანი მიღწეული იყო — რაც შეიძლება უფრო დიდი ხნით გადადებულიყო უნივერსიტეტის დაარსება. თუ რატომ იყო უნივერსიტეტის მომხრე ქართველი ინტელიგენცია და რატომ მიზანშეწონილად მიაჩნდათ სომხებს პოლიტექნიკუმს, ამის გარკვევას არ შევუძლები. არათუ ამის გამო წარმოებდა ბრძოლა, არამედ ადგილის გამოც: ნავთლულში, ვაკეში თუ საბურთალოში! აქაც ქიშპობის მეტი არაფერი იყო. ასეთ მდგომარეობაში იყო საკითხი, და რა უმაღლესი სასწავლებელი უნდა შექმნილიყო ასეთ პირობებში, ადვილი წარმოსადგენია.

საყურადღებო გარემოებაა, რომ განსვენებული ვასილ პეტრიაშვილი ეცადა ორჯერ, თავისი მოღვაწეობა გადმოეტანა საქართველოში. მან, პირველმა, სცადა ქიმიის მეცნიერების გამოყენება და ორი საუცხოო ფუძემდებელი გამოკვლევა დაბეჭდა ქართულად. ამისდა მიუხედავად, ეს თავგამოდებული ადამიანი, რომელიც თავს ანებებს უნივერსიტეტს, სადაც პატივისცემით სარგებლობს, — ეს იყო ოდესაში, — ვერ ეღიროსა ქუთაისში მაინც ლაბორატორია შეექმნა და ამ ლაბორატორიაში ემუშავა ქართველ ქიმიკოსებთან ერთად. როდესაც ეს საქმე ჩაიშალა, მან სცადა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დირექტორობა. ოძისში უნდა დაარსებულიყო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რასაკვირველია, რუსული, სხვა სასწავლებელი არ არსებობდა. ვასილ პეტრიაშვილი, რომელიც, თუ გნებავთ, ამ იერარქიული თვალსაზრისით და ქონებრივადაც უნდა დაქვეითებულიყო, ანებებდა თავს უნივერსიტეტს, — იქ იყო დამსახურებული პროფესორი, — გადმოდიოდა, ოძისში თანამდებოდა სამსახურს, ოღონდ მშობლიურ ხალხთან ჰქონოდა საქმე. ქართველ თავადაზნაურობას თითქოს არ აღმოაჩნდა ფული, რომ ეს სასწავლებელი გაეხსნათ, თქვენ აქედან წარმოიდგინეთ, რა სავალალო პირობები იყო; თანამედროვე თაობას ვერც კი შეუძლია გაიგოს იმ სულიერი ტანჯვის მთელი საშინელება, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს მაშინ გამოვლილი ჰქონდა. ჩვენი მცირერიცხოვანი ჯგუფი, ვისაც კი სურდა ქართულად მოეხერხებინა მეცნიერული ლაპარაკი, ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მართლაც არ შეეძლო ეს. განათლებულ ადამიანს სჭირდება როგორც მათემატიკიდან, ისე ფიზიკიდან და სხვა მეცნიერებიდან სხვადასხვა ტერმინები, შესადაარებლად თუ სხვა დებულების დასამტკიცებლად. არც ერთი ამ ტერმინთაგანი ან არ იყო, ან არ ავონდებოდათ. არსებობდა მხოლოდ ორი სახელმძღვანელო, ისიც კერძოდ შექმნილი: შ. ყიფიანის მიერ გეომეტრია იყო დაწერილი და შემდეგ ვ. ყიფიანის მიერ — ალგებრა. მე მახსოვს, გიმნაზიაში ვსწავლობდი და ვგრძნობდი, რომ ვერ ვახერხებდი სწავლას ისე, როგორც საჭიროა; როცა ვსწავლობდი სასწავლებელში რუსულად გეომეტრიას,



შინ ვბრუნდებოდი, ავიღებდი მამიჩემის მშვენიერი ბიბლიოთეკიდან (ყველა წიგნი მოიპოვებოდა იქ, რაც კი კავკასიაში და საქართველოში იყო გამოცემული) და ვიზებირებდი გეომეტრიას, რომ როგორმე მესწავლა რუსულად. შესათვისებელი, მინდოდა, რომ ქართულადაც იმავე აზრის გამოთქმა შესაძლებელი ყოფილიყო.

აი, ასეთი მდგომარეობა იყო. ქართული ენა არათუ სასწავლებელში და დაწესებულებებში იყო აკრძალული, არამედ თვით ქართველმა ინტელიგენციამ ისეთი პირობები შექმნა თავიდანვე, რომ ბევრს აღარ შეეძლო შინაურობაში ქართულად ლაპარაკი. უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ სასწავლებლებში და დაწესებულებებში ქართული ენის ალაგმვა თვითმპყრობელური მთავრობის ბრალია, ის დანაშაული, რომელიც მეორე სფეროს ეხება, თვითონ ქართველი ინტელიგენციისავე დანაშაულია, და გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენს მოწინავე წოდებას, რომელიც გამარჯვებულ გავლენას არათუ თავის წრეში ამტკიცებდა, არამედ ხალხშიც უნებლიეთ თუ შეგნებულად ავრცელებდა, დიდი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ჩვენი კულტურის განვითარება შეფერხებული იყო. ბოლოს და ბოლოს, ისეთი სულისკვეთება არსებობდა ჩვენში, რომ, თუ მთავრობა არ დააარსებდა სახელმწიფო უნივერსიტეტს, არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, გულხელდაკრფილი შესცქეროდნენ ასეთ მდგომარეობას და უტყდოდნენ, როდის გაიხსნებოდა თბილისში უმაღლესი სასწავლებელი.

აი, ასეთი მდგომარეობა გახლდათ, როდესაც ჩვენ ვსწავლობდით საშუალო სასწავლებელში და როდესაც გვიხდებოდა ყოფნა უმაღლეს სასწავლებელში. უნდა აღვნიშნო, რომ საინტერესო მოვლენა იყო: სადაც კი ქართველი მეცნიერი გაჩნდებოდა რუსეთის რომელსამე საუნივერსიტეტო ქალაქში, იქ პატარა ბუნდ გაჩნდებოდა ქართველი ინტელიგენციისა. ასე: ოდესაში ვასილ პეტრიაშვილმა ძლივძლივობით გაიკვლია გზა, მისი დატოვება უნდოდათ მხოლოდ იმიტომ, რომ გამოჩენილი მეცნიერი იყო. ვასილ პეტრიაშვილის დარჩენამ გამოიწვია, თავის მხრივ, პეტრე მელიქიშვილის დარჩენა. მას შემდეგ ოდესის უნივერსიტეტი გახდა კერა ქართველი ინტელიგენციისა. რასაკვირველია, ეს კერა რუსული სასწავლო მეცნიერებისა იყო, მაგრამ, ვისაც გული შესტკიოდა, შეეძლო იგი თავისი ხალხისათვის გამოეყენებინა, და ვასილ პეტრიაშვილის დეაწლი დაუვიწყარი უნდა დარჩეს იმიტომ, რომ მან ვაბედა, პირველმა, ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმა.

რამდენჯერ გამიგონია, რომ ქართული მეცნიერული მწერლობა ვერ შეიქმნებოდა. 1917 წელს ამას გვიმტკიცებდნენ, რომ ქართული მეცნიერების დაფუძნება შეუძლებელიაო და ვასილ პეტრიაშვილმა არათუ უარყო, არამედ დაამტკიცა, რომ საუცხოო სამეცნიერო თხზულების დაწერა შეუძლია, დაწერა და გამოსცა კიდევ ისეთი თხზულება, რომელიც არ ჩამორჩება არც ერთ ევროპულ ენაზე დაწერილს! მაგრამ ეს შეძლო ვასილ პეტრიაშვილმა, ვინაიდან გრძნობდა პასუხისმგებლობას, რომ, თუ შენ ბედნიერი ხარ იმდენად, რომ დაწინაურდი და მეცნიერებას დაეუფლე, ვალდებული ხარ — შენი დაბეჩავებული ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენო შენი ცოდნა. სამწუხაროდ, ეს ბევრს არ ესმოდა. გამოჩენილი მეცნიერი იყო ივანე თარხნიშვილი, — განა მას არ შეეძლო, მაგრამ არც ერთი თხზულება ქართულად არ დაუწერია, ავრთვე სხვებსაც, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ და არ გამოეყენებიათ. მაინც და-



მასსიათებელია, — როგორც აღვნიშნე, — სადაც ერთი გაჩნდებოდა, — შემო მოიყრიდა ახალგაზრდობა თავს. ეს ამტკიცებს, რომ მეცნიერების წყურვილი არსებობდა. ამგვარად გაჩნდა კერა მოსკოვში, პეტროგრადში (ეხლანდელ ლენინგრადში), ხარკოვში, ნაწილობრივ თბილისშიაც. ყველაზე უკეთესად სამისო პირობები იყო მაშინდელ პეტერბურგში, სადაც უნდა შექმნილიყო ქართული მეცნიერებისათვის მტკიცე ნიადაგი. ამრიგად, თუ ცოტა მოგვიანებით დაგვირგვინდა საქმე, მე მგონია ეს იმ გარემოებას არ უნდა მიეწეროს, რომ ხელისშემწყობი პირობები არ იყო. ხელისშემწყობი პირობებისა და მიუხედავად, ჩვენი ღრმა რწმენით, ვისაც ნიჭი აქვს, ვისაც სიყვარული აქვს და ვისაც ხალხისადმი პასუხისმგებლობა ესმის, ყველაფრის გადალახვა შეუძლია, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. როდესაც იმართლებენ თავს, რომ ხელისშემწყობი პირობები არ იყო, ეს მთლიანად სწორი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ეს გადაჭარბებულია. და მართო რუსეთის ძველი მთავრობის ბრალი არ არის, რომ ჩვენი ენაც და სამეცნიერო მწერლობაც ისეთ სავალალო მდგომარეობაში იყო, — ჩვენი ინტელიგენციის ბრალიც არის, ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, რომლის ხელშიაც იყო სვე-ბედი ქართული კულტურისა.

რა უნდა გაკეთებულიყო, რომ ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი საქმე გამოსწორებულიყო? პირველი, რასაც უნდა მიქცეოდა ყურადღება — ეს არის ქართული კულტურის შესწავლა; ქართული კულტურის ცოდნა მოგვცემდა საშუალებას იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ, აღმდგარიყო მკვდრეთით ძველი ქართული მეცნიერება — ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული. ამ მიზნით საჭირო იყო ტერმინოლოგიის მასალების დაგროვება, ამასთანავე, საშუალება უნდა ჰქონოდა ახალგაზრდობას, მეცნიერება შეესწავლა ქართულად და მსჯელობის უნარი გამოემუშავებინა. ამისათვის 1907 წელს დაარსებული იყო პეტერბურგში ქართული სამეცნიერო წრე. თითქოს სრულიად მარტივი და უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად. მოხსენებები იწერებოდა ქართულად სხვადასხვა დარგიდან, კამათი, მსჯელობა ქართულად წარმოებდა და ვარჯიში დაიწყო, ენა გაიკვთა ახალგაზრდობამ და განუვითარდა ქართული მეტყველების უნარი, რომელიც მანამდე არ ჰქონდა. ჩვენ უნდა გვცოდნოდა აგრეთვე ძველი მარაგი, რომელიც შექმნილი იყო ძველად. მე იმას კი არ ვგულისხმობ მხოლოდ, რაც საუკუნეთა განმავლობაში იყო გაკეთებული, მე მოვასხენებთ იმის შესახებ, რაც მე-19 საუკუნეში იყო მოპოვებული. გარწმუნებთ, რომ არსებობს არა ერთი თხზულება, რომელიც სამჯერ-ოთხჯერ დაიბეჭდა, მაგრამ ბევრმა არც იცოდა, რომ ოდესღაც გამოქვეყნებული იყო ესა თუ ის წიგნი. ამგვარი კულტურის ტრადიცია არ არსებობდა. ის ძვირფასი მასალა ხალხური შემოქმედებისა და სხვაგვარი მასალა, რომელიც უმთავრესად ქართულ გაზეთებში იყო გაფანტული, სრულიად უკვალოდ იკარგებოდა. ამრიგად, ამ მასალის გამოყენება შეეძლო ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ შეადგენდა თავისთვის ბიბლიოგრაფიას და შემდეგ ჩაიხედავდა, თუ დასჭირდებოდა. აი ასეთი, სრულიად შეუწყნარებელი, სავალალო მდგომარეობის გამო პეტერბურგის ქართულმა სამეცნიერო წრემ დაისახა ამოცანად, რომ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის სრული ბიბლიოგრაფია შეედგინა (მთელი მე-19 საუკუნე — 1910 წ.-მდის).



პირველი ნაწილი ამ ბიბლიოგრაფიის დაიბეჭდა, დანარჩენი მასალა ენა-
ხება მეცნიერებათა აკადემიაში, ლენინგრადში. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ მო-
მავალში ამ ძვირფასი მასალების გამოცემა მოხერხდეს, რათა ყოველ ჩვენგანს
შესაძლებლობა ჰქონდეს ისარგებლოს ამ მასალით.

ამგვარად, სამეცნიერო წრის მუშაობამ საშუალება მისცა ახალგაზრდო-
ბას დასწავებოდა მეცნიერებას თავის დედაენაზე და ამის ნაყოფი გახლავთ
პირველი კრებული, რომელიც დაიბეჭდა. პეტერბურგის ქართული სამეცნიერო
წრის კრებული, რომელშიაც სხვადასხვა დარგების გამოკვლევები იყო დაბეჭ-
დილი, დაწერილია სტუდენტების მიერ; ხელოვნების, ისტორიის, სამართლის,
ეკონომიკის — ყველა ამ დარგის — შესახებ წერილებია მოთავსებული. ამგვა-
რად, საქმე ნაწილობრივ გაიხარხა.

რასაკვირველია, იბადებოდა კითხვა: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ქარ-
თული უნივერსიტეტი შექმნილიყო, უნივერსიტეტის შესაქმნელად საჭირო სა-
მეცნიერო ძალა გვყავდა თუ არა. ცნობების შეკრებამ გამოარკვია, რომ იყო
პატარა უნივერსიტეტისათვის შესაქმნელი ძალა, იყო 30 კაცამდე გაფანტული
სხვადასხვა უნივერსიტეტში. ეს მანუგეშებელი მდგომარეობა იყო, მაგრამ
მსმენელები იქნებოდნენ? ვაითუ უნივერსიტეტი ცარიელი ყოფილიყო! უნდა
გვცოდნოდა — რომელი, რა დარგი უფრო აინტერესებდა.

ამ მიზნით 1910 წელს ჩატარდა აღწერა ყველა სტუდენტისა, როგორც
რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ამ აღწერამ კინაღამ მთელი საქმე ჩაშალა: დაიწ-
ყეს კვლევა — რა წრეა ეს წრე, რისთვის კრებენ ამ ცნობებს და მხოლოდ იმი-
ტომ, რომ თვით უნივერსიტეტის გამგეობა შესაძლებელია პასუხისმგებელი
გამხდარიყო, წრე გადაურჩა ამ საქმეს და უნივერსიტეტისათვის საკმაო ცნო-
ბები იქნა შეკრებილი. ამ წრემ დაამტკიცა, რომ საქართველოს 1000-ზე მეტი
სტუდენტი ჰყავს სხვადასხვა დარგზე. 1000 სტუდენტი პატარა პროვინციული
უნივერსიტეტისათვის სრულიად საკმაო იყო მაშინდელი დროისათვის. ამგვა-
რად, მსმენელები გვყავდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უნიადაგო, უსაფუძვლო,
სასაცილო ოცნებად ეჩვენებოდა ადამიანს, რომ ვინმეს გაეებდა მაშინ და
ეთქვა რაიმე ამაზე.

1914 წელს მსოფლიო ომი რომ ატყდა და შეტაკება მოხდა გერმანიასა და
ძველ თვითმპყრობელურ რუსეთს შორის, დიდი წინასწარმეტყველება და ნი-
ჭი არ იყო საჭირო, ეწინასწარმეტყველა ვინმეს, რომ ძველი რუსეთი, თვითმპ-
ყრობელობის მიერ მონობაში ჩამწყვედული, დამარცხებული იქნებოდა. ვინც
რუსეთის ისტორია იცის, კარგად ეცოდინება: თუ რაიმე ღირსებია რუსეთში
მცხოვრებ ხალხებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითმპყრობელობა დამარცხე-
ბულა.

1917 წელს რევოლუცია მოხდა. რევოლუციის დაწყებისთანავე დაიბადა
იმედი, რომ კერძო სასწავლებლის სახით მაინც შესაძლებელი იქნებოდა ადა-
მიანს ეზრუნა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. თებერვალში ერთი
პირის კერძო ბინაზე¹ მოწვეული იყო პირველი თათბირი ამ საკითხის განსა-
ხილველად. ამ თათბირის მონაწილენი აქ ბრძანდებიან² და ამ თათბირზე გა-

¹ ეს თვითონ ივანე ჯავახიშვილის ბინაა — ს. ჯ.

² საზეიმო სესიას ესწრებოდნენ მარტის პირველ რიცხვებში პეტერბურგში ჩატარებული
თათბირის მონაწილენი — აკაკი შანიძე და შალვა ნუცუბიძე. ს. ჯ.



დაწყდა, რომ აუცილებლად უნდა გვეცადა, კერძო სასწავლებლის სახით მიიღვეთ გაგვეხსნა უმაღლესი სასწავლებელი. ამ გადაწყვეტილებას ის ჯგუფი არც ისტორიულად ითვალისწინებდა და არც უფიქრია, რომ დიდ საქმეს აკეთებდა. ეს რომ ასეა, იქიდან შევიძლიათ დარწმუნდეთ, რომ არც თქმი ყოფილა შედგენილი და, გულახდილად უნდა მოგახსენოთ, მე ეხლა არც რიცხვი მახსოვს, როდის იყო ეს სხდომა, ვიცი მხოლოდ — ვინ იყო მონაწილე ამ სხდომისა. დიახ, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შეიძლებოდა გაფართოებული წრის მოწვევა, ვინც საქართველოში იყვნენ მეცნიერები. მათთან ერთად, მათ შორის, შემთხვევით პეტრე მელიქიშვილიც ბრძანდებოდა თბილისში, უმაღლეს კერძო კურსებზე იყო მოწვეული. ამ ამბის წყალობით იმავე 1917 წლის 12 მაისს მოწვეული იყო საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენება იყო წაკითხული იმის შესახებ, რომ საჭიროა კერძო უმაღლესი სასწავლებლის დაარსება თბილისში. უნდა ითქვას, რომ აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება ამ ამბავს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ უნივერსიტეტის მავიჯრად სჯობდა სპეციალური სასწავლებელი დაარსებულიყო. პრაქტიკული მიმართულება უკეთესი არისო. ამ 12 მაისის სხდომას მოჰყვა 17 მაისის ასეთივე საჯარო სხდომა ქუთაისში. ქუთაისში უფრო მეტი აღმოჩნდა პოლიტიქნიკუმის მომხრე და უფრო გაცხარებული ბრძოლა წარმოებდა. თბილისში და ქუთაისში არჩეული იყო კომიტეტი, რომელსაც დამხარება უნდა გაეწია ამ აზრის გატარებისათვის. დაარსდა ე. წ. თბილისის უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება. დაიწყო მუშაობა. პირველი კრების აღფრთოვანებამ, აღზნებამ ცოტა ფულიც შესძინა ამ აზრს, მაგრამ შემდეგ, როგორც ქართველ საზოგადოებაში არაერთხელ მომხდარა, ეს აღფრთოვანება როგორცაა განელდა. უგულობა ცხადად იგრძნობოდა, ამ გამგეობის კრებები იშლებოდა ხოლმე. გულახდილად მოგახსენებთ, კრებები დიდი დავვიანებით იმართებოდა. ისეთი დიდი დამსახურებული მეცნიერი, როგორც მელიქიშვილი იყო (საერთოდ, მეცნიერები მიჩვეული არიან წესიერ სხდომებს) და სხვა მონაწილეები, უნდა მოგახსენოთ, იშვიათად ესწრებოდნენ სხდომებს. არ ეტყობოდა, რომ ის აღფრთოვანება, რომელიც პირველ კრებაზე იყო, ხანგრძლივი აღმოჩნდებოდა. მე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თქვენთვის გასაგები იყოს, შემდეგ რაც მოხდა.

დადგა დრო, როდესაც ეს იდეა პრაქტიკულად უნდა განხორციელებულიყო. დროებითი მთავრობა იყო. წესდება უნდა წარგვედგინა. წესდება დაიწერა. ვთხოვლობდით უმარტივეს რაიმე უმაღლესი სასწავლებლის გახსნას.

პირველი მუხლი ასეთი იყო: ამ უმაღლეს სასწავლებელს, — თუ მის უფლებამოსილ პროფესორთა სხდომაზე სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი საჯარო პაექრობით დაიცავდა დისერტაციას, — სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება ჰქონოდა; რომ პროფესორ-სტუდენტთათვის სამხედრო ბეგარის შეღავათი ყოფილიყო. როგორც მოგახსენებთ, ასეთი წესი იყო, რომ პროფესორი და სტუდენტები განთავისუფლებული იყვნენ, სანამ დამთავრდებოდა მეცადინეობა. წავიდა ეს თხოვნა, თავმჯდომარე მაშინ ხარლამოვი იყო, მან გვიპასუხა, მე ამ საკითხის გადაწყვეტა არ შემიძლია, უნდა გავგზავნო თხოვნა პეტერბურგსო. გავზავნა. თითქმის იმედი გადაწყვეტილი გვქონდა. ამავე დროს, გამოირკვა, რომ დროებით მთავრობას გადაეწყვიტა თბილისში გაეხსნა მთავრობის უმაღლესი სკოლა. ტელეგრაფმა გავგზავნეთ, გვაცნობეს — კერძო უნივერსიტე-

ტის დაარსების შესახებ ფოსტით შეგატყობინებთო. ფოსტით გამოგზავნილი ჩვენ არ მიგვიღია. მოხდა ოქტომბრის დიდი რევოლუცია და უკვე მათი ნებართვა არ იყო საჭირო. შეიძლება ითქვას, ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ჩვენ არავინ უნივერსიტეტის გახსნის უფლებას არ მოგვცემდა (ტაში).

შემდეგ როგორი პირობა იყო: უნდა დაწერილიყო მოხსენება, რომელშიაც, სამწუხაროდ, ორი ცნობილი მეცნიერი იყო გარეული, ორი აკადემიკოსი, ერთი — როგორც განათლების მინისტრი, მეორე — როგორც მომხსენებელი, და ნათქვამი იყო, რომ თვით ქართველებისათვისაც ხელსაყრელი არ არის, ბოლოს და ბოლოს, ქართული უნივერსიტეტის გახსნა. ეს დამაძინებელ გავლენას მოახდენს ქართულ სამეცნიერო აზრზე, მაგრამ თხოულობენ და რატომ არ მივსცეთ ნება, მხოლოდ — თბილისში თუ გაიხსნება, შესაძლებელია იყოს მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტი რუსულადო. ამას გარდა იქ არც ერთი სხვა უმაღლესი სასწავლებელი არ შეიძლება იყოს. ქართული უნივერსიტეტი სახალხო უნივერსიტეტი იყო და არასგზით არ შეიძლება, რომ სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება ჰქონდეს მიცემული, არც სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებათ. მე მოვახსენებთ, რით იყო გამოწვეული, რომ სამეცნიერო ხარისხისა და სამხედრო ბეგარის საკითხი იყო შეტანილი. ჩვენ ყველას კარგად გვესმოდა, რომ სამეცნიერო ხარისხზე არ არის დამოკიდებული მართლმეცნიერება. ისეთი მეცნიერებაც იყვნენ, რომელთაც სამეცნიერო ხარისხის მოპოვებისათვის არ უზრუნვიათ, მაგრამ უდიდესი ღვაწლი მიუძღვით. მხოლოდ ცხადი იყო, რომ, თუ ჩვენ უმაღლესი სასწავლებლის შექმნა გვსურდა, ჩვენი თანამშრომლები ისეთი კვალიფიკაციისა უნდა ყოფილიყვნენ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციაზე დაბლა არ მდგარიყვნენ. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ იმ გარკვეული წესით, რომელიც მაშინ არსებობდა და რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ესლაც არსებობს. ეს — ერთი გარემოება. შესაძლებელია, ეთქვას, რომ მობრძანდით და სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცავით! დიხ, ეს შეიძლება იყოს, რომ ისეთი სულიერი განწყობილება არ ყოფილიყო, რომელიც წარმოიშვა ასეთი დასკვნით. ყოველ შემთხვევაში, შეეძლოთ არც ერთი მეცნიერისათვის ხარისხი არ მიენიჭებინათ და, ამგვარად, ამ უმაღლეს სასწავლებელს დაბალი ხარისხის სასწავლებლის ფასი ჰქონოდა.

მეორე გარემოება, რომელიც გვაიძულებდა, რომ სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლებული ყოფილიყვნენ, გახლავთ ის, რომ, თუ ეს საქმე არ მოგვარდებოდა, ყოველი მობილიზაციის დროს უნივერსიტეტი უნდა დაკეტილიყო და პროფესორიდან მოყოლებული სტუდენტამდე უნდა წასულიყვნენ სამხედრო სამსახურში.

აი, ასეთი მდგომარეობა იყო, როდესაც უნივერსიტეტის დაარსებაზე პრაქტიკულად დაისვა საკითხი. შეტანილი იყო ეროვნულ საბჭოში განცხადება, რომ, აი, იხსნება კერძო სასწავლებელი, რაიმე ქონებრივი დახმარება მიეცით ამ უმაღლეს სასწავლებელსო. მე მასსოვს, რა გაცხარებული კამათი იყო მაშინ, საბჭომ უარყო — ჩვენ მაგისტრის ფული არ გვაქვსო, ფული არ აღმოჩნდა! მოწვეული იყო დამხმარე საზოგადოების კრება. ამ დამხმარე საზოგადოების კრებაზე რომ გაიგეს, ასეთი უარყოფითი პასუხი იყო მიღებული ეროვნული საბჭოსაგან, დაფრთხნენ — ჩვენ საიდანღა გავიღოთ ფულიო. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ უნდა ჩაშლილიყო საქმე, ჩვენ არ ვკისრულობთო, პირდაპირ



ნათქვამი იყო; ვერ ვიკისრებთ პასუხისმგებლობას, რომ უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნასო. ცოტა ფული, მართალია, იყო, მაგრამ ეს ფული მოხმარდებოდა მხოლოდ ჯამაგირს. ბინაც არსებობდა, განსვენებული ცხველადის მიერ აშენებული გიმნაზიისათვის, საკმაოდ დიდი და გამოსადეგი უნივერსიტეტისათვის. შთამომავლობამ უნდა დააფასოს ამ უანგარო მოღვაწის ღვაწლი. დაცინვის მიუხედავად, მან აავო ეს შენობა, რომელშიაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით.

შენობა იყო, მაგრამ თავისუფალი იყო მხოლოდ ზემოთა სართული. ამ ზემოთა სართულზე მოთავსებული იყო საავადმყოფო (ლაზარეთი). რასაკვირველია, ლაზარეთი დაიშალა. დარჩა სრულიად ცარიელი, გაპარტახებული ზემოთა სართული. ამგვარად, შენობა პატარა სამოთახიანი ფართობისა იყო. ავეჯი არა გვექონდა, განათება არ იყო, არც გათბობა. მუშაობა უნდა დაგვეწყო იანვარში, ფული იყო საჭირო. ის ფული, რაც გვექონდა, ძლივს ყოფნიდა იმ ავეჯს და გათბობას, რაც აუცილებელი იყო. ასეთ პირობებში ადვილად შეიძლება ადამიანმა ყოველგვარი სასოება დაკარგოს. იმ დროს უმრავლესობა ფიქრობდა, რომ არ კმარა პასუხისმგებლობა ამ საზოგადოების გამგეობისა და, ამგვარად, საქმე უნდა ჩაშლილიყო. მაშინ იმ პატარა ჯგუფმა¹ სთხოვა გამგეობას: თუ თქვენ ვერ კისრულობთ პასუხისმგებლობას, ნუ დაუშლით იმ ხალხს, რომელსაც უნდა თავისი პასუხისმგებლობით გახსნას უნივერსიტეტი. ის კისრულობს პასუხისმგებლობასო. ეს თანხმობა მიღებული იყო და, ამგვარად, გაიხსნა უნივერსიტეტი.

26 იანვარს შედგა პირველი საზეიმო სხდომა. საკმაოდ გულცივად შეხვდა მაშინდელი მენშევიკური მთავრობა უნივერსიტეტის გახსნას. გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი არ ყოფილა გახსნაზე: იყო მხოლოდ ერთი წევრი საკუთარი თაოსნობით. ამგვარად, მოკლებული იყო ყოველგვარ დახმარებას ეს ჯგუფი, რომელსაც უხდებოდა ასეთი მძიმე და პასუხსაგები საქმის დაწყება. მე მინდა მოგახსენოთ, რომ საქმე შესაძლებელია კატასტროფით დამთავრებულიყო და გამკილავი ჩვენში ბევრი მოიძებნებოდა მაშინ: ვაი იმათ, თუ მართლაც ასე წავიდოდა საქმე! ქუჩებში, გოლოვინის პროსპექტზე (მაშინ გოლოვინის პროსპექტი ეწოდებოდა) ბევრი ქართველი ინტელიგენტი დაბრძანდებოდა, რომელიც დაცინვით იხსენიებდა ამ საქმეს; აი რაღაცას ბორძიკობენ და მაშინ გაიგებენ ამ საქმის უსარგებლობას, როდესაც პირველ ლექციას ვერ წაიკითხავენო.

ამგვარად, 26 იანვარს, როდესაც გაიხსნა პირველი საზეიმო სხდომა, აუარებელი ხალხი დაესწრო, როგორც აღინიშნა, ძალაუფლების მქონეები წრეები ცივად შეხვდნენ მას. მხოლოდ რკინიგზის მუშების დელეგაცია მოვიდა წითელი დროშით (მხურვალე ტაში. ფეხზე დგებიან).


საზეიმო სხდომის შემდეგ ჩვენ ლექციები არ დაგვიწყია იმიტომ, რომ განათება არ გვექონდა და არც ავეჯი იყო მზად. მხოლოდ პირველ თებერვალს დავიწყეთ ლექციების კითხვა. ლექციები სადამოლობით მიმდინარეობდა. ჩაეწერა 500-მდე კაცი და ქალი, როგორც ახალგაზრდები, ისე ხანშიშესულები. რაც ყველაზე უფრო საინტერესო იყო, პირველ ქართულ უნივერსიტეტში ჭადარა ხალხს

¹ იგულისხმება პატრიოტ მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი მეთაურობდა — ს. ჯ.

ნახავდით. ნახავდით ისეთებსაც, რომელთაც უნივერსიტეტი გათავებული ჰქონდათ, დიპლომიც მიღებული, მაგრამ უნდოდათ, რომ დედაენაზე მოესმინათ ლექციები.

ესლა უნდა ითქვას, რომ იმ დაბრკოლების გარდა, რომელიც საქმეს ართულებდა, გაცილებით უფრო დიდი დაბრკოლება გველობებოდა წინ უნივერსიტეტის დაწყება-გაფართოებასთან დაკავშირებით. ის პირები, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ და რომელთაც დაიწყეს ლექციების კითხვა, კარგად იყვნენ მომზადებულნი იმდენად, რომ ქართულად თავისუფლად შეეძლოთ ლექციების წაკითხვა, მაგრამ შემდგომში როგორ იქნებოდა საქმე, სად იყო ის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია, ურომლისოდ ლექციების კითხვა არ შეიძლებოდა! აი, ეს დაბრკოლებები და, თუ გნებავთ, მთავარი საბუთი, რომელიც მოწინააღმდეგეებს ხელთ ჰქონდათ და პირში ბურთივით სჩრიდნენ ყოველ ჩვეთაგანს! გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ უსაფუძვლო არ იყო ის შიში, რომელიც არსებობდა, და ადვილი საქმე არ იყო იმ პირველ სიძნელეზე უფრო ძნელი გადასალახი. რასაკვირველია, გულგრილობაზე საშინელი არაფერია და ეს გულგრილობა იყო მიზეზი იმისა, რომ ასე უცნაურად მოხდა ამ ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსება: მარტო მხურვალე გულით არ კეთდება საქმე! ცოდნაა საჭირო მეცნიერებისა. უმაღლესი სასწავლებელი უნდა ჰვადღეს უმაღლეს სასწავლებელს. ის უნდა წარმოადგენდეს მართლაც მეცნიერების მწვერვალს და როგორ უნდა მოხერხებულიყო ეს, როდესაც ჩვენ საშუალო სასწავლებლისთვისაც არ გვქონდა მომზადებული ტერმინოლოგია. ჯერ ტერმინოლოგია უნდა შეგვექმნა. როდის შეიქმნებოდა ტერმინოლოგია? ამას შეიძლება ორი ათეული წელიწადი მოსდომებოდა. თუ მეცნიერები თავმოყრილი არ იქნებოდნენ, ვის უნდა გაეკეთებინა ეს საქმე? აი, სიძნელე მეორე, რომლის გადალახვაზე იყო დამოკიდებული მთელი საქმის ბედ-იღბალი. ამას ყველა მონაწილე გრძნობდა, ამის პასუხისმგებლობას გრძნობდნენ ჩვენი მსმენელებიც. წინადადება მივეცი მათ, შესდგომოდნენ მუშაობას (უსასყიდლოდ, იმიტომ რომ სხვა საშუალება არ გვქონდა), რომ ფიზიკაში, ქიმიაში რაც კი რამ არსებობდა, ტერმინოლოგია ამოეკრიბათ. ჩვენ ეს საშუალებას გვაძლევდა, გვესარგებლა იმით, რაც თავისთავად კარგი იყო, უარგვეყო ის, რაც უვარგისი იყო.

მთელი სემესტრის განმავლობაში ორ ათეულზე მეტი უმაღლესი სასწავლებელდამთავრებული მუშაობდა ამ მიმართულებით. არდადეგების დროს საშუალო სასწავლებლებს საგანგებო კურსები ჰქონდა. მთელი უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტორთა შემადგენლობა ჩაბმული იყო აქ საგნების მიხედვით; ლექციები ეკითხებოდათ მათ თვითუფლ დარგში. ყოველ დარგში დამზადებული სატერმინოლოგიო მასალა ყოველი ლექციის შემდეგ სხდომებზე განიხილებოდა. ასე შეიქმნა სახელდახელო შეთანხმებაზე დამყარებული ტერმინოლოგია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც სამეცნიერო ტერმინოლოგია ერთგვარია ყველგან — საშუალო სასწავლებელშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც. ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია ადამიანს ეთქვა, რომ—რა საქმეა საშუალო სკოლის ამ საგნების კურსებზე უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებისა და ლექტორების ზრუნვათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ღრმა, რწმენა ჰქონდათ, რომ საერთო ტერმინოლოგია იყო შესაქმნელი, რომ, როცა საშუალო სკოლიდან შემოვლენ უმაღლეს სკოლაში, მათთვის უცნობი არ ყოფილიყო.




ეს ტერმინოლოგია. შემდეგში დაარსდა სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ნიერო საბჭოების სხვადასხვა სახელწოდებებით, მუშაობა გრძელდებოდა, სატერმინოლოგიო საქმე თანდათანობით უმჯობესდებოდა და ჩამოყალიბდა სამეცნიერო ტერმინოლოგია, რომელმაც როგორც სამშუალო სკოლას, ისე უნივერსიტეტს უშუალოდ მისცა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულების შესაძლებლობა.

მე აღარ შეგაწუხებთ ჩემი მოგონებით და მოკლედ კიდევ გეტყვი, თუმცა ბევრი რამის თქმა შეიძლება.

პირველი სემესტრის განმავლობაში უნივერსიტეტი კერძო დაწესებულება იყო. წინასწარმეტყველებისდა მიუხედავად, რომ ეს უნივერსიტეტი დაიკეტებოდა იმიტომ, რომ არც ძალები ეყოლებოდა და არც მსმენელები, არც ენის ამოღების უნარი აღმოაჩნდებოდა, უნივერსიტეტი არათუ არსებობდა, არამედ ფართოდებოდა. აი, ამ დროს, მხოლოდ მეორე სემესტრის განმავლობაში, გამოცხადებული იყო, რომ ჩვენ დავაარსეთ სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს სწორი არ იყო. უნივერსიტეტი არსებობდა, მას დაარსება არ სჭირდებოდა. არსებულის დაარსება არ გაგონილა. (სიცილი), ამგვარად, ისტორიულადაც და ფაქტური თვალსაზრისითაც სწორი არ იყო ის განცხადება.

მოკლედ მოგახსენებთ, აგრეთვე, რატომ იყო, რომ ერთი ფაკულტეტი დაარსდა და რატომ იყო, რომ მას ეწოდებოდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. მე ამას მოგახსენებთ იმიტომ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის საწინააღმდეგო მოხსენებაში (რუსეთში რომ იყო) ნათქვამია, რომ ჩემულობენ გერმანული უნივერსიტეტის მსგავს პროგრამებსა და, აბა, მაგისტანა უნივერსიტეტს როგორ შექმნიანო! მე უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარი კავშირი ამ გერმანული უნივერსიტეტის პროგრამებთან არ ყოფილა. არსებითად ეს გამოწვეული იყო მიზანშეწონილობით. ჩვენ ცალკე ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის, ფიზიკა-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შექმნა არ შეგვეძლო. ხალხი არ გვყავდა და ერთი გაერთიანებული ფაკულტეტის შექმნისათვის კი ძალა მოიპოვებოდა. სისულელე იქნებოდა, რომ ჩვენ სამი ფაკულტეტი შეგვექმნა, გამოგვეცხადებინა, რომ სამი ფაკულტეტი გვაქვსო, და სისულელის გარდა მოტყუება იქნებოდა. სამაგიეროდ, ამ ფაკულტეტს რაიმე სახელი ხომ უნდა ჰქონოდა! რა უნდა გვეწოდებინა? „სიბრძნისმეტყველება“ ვუწოდეთ და მერმე, როდესაც გაფართოვდა, ფაკულტეტი გაიყო. ასე რომ, ჩვენ ამ შემთხვევაში მართო გერმანიის უნივერსიტეტის მაგალითით არ ვხელმძღვანელობდით. იმ დროს, უნდა მოგახსენოთ, გერმანიის უნივერსიტეტი ყველაზე მაღლა იდგა, — რომ მიგვებაძა, არაფერს სასირცხვოს არ წარმოადგენდა, მაგრამ როდესაც შემდეგში დაგვეჭირდა აგრონომიული ფაკულტეტი და პოლიტექნიკური, ასეთი გერმანიას არ მოეპოვებოდა, ამერიკის გარდა, შეიძლება ადამიანს ეთქვა, ამერიკას ბაძავთო. არაფერი მიმბაძველობის მსგავსი არ ყოფილა მაშინ, მიზანშეწონილობის გარდა. შემდგომ გაიზარდა ჩვენი უნივერსიტეტის ფაკულტეტები, ცალკე ინსტიტუტებად გამოიყო სამკურნალო ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ამგვარად, მრავალი უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნა ისეთ ადგილას, სადაც წინათ ადამიანი ვერც კი წარმოიდგენდა. იმ პროექტში კი ნაგულისხმევი არ არის, ქუთაისში რომ შეიქმნებოდა უმა-



დღესი სასწავლებელი, მაშინ, მე მგონია, ძალიან გამბედავი კაციც ვერ იქის-რებდა ამ ამბავს.

ამგვარად, შესაძლებელი შეიქმნა მომზადებულიყო ის სამეცნიერო ძალა, კადრები, რომელთაც გაფართოებულ საქმეს მისცეს მსვლელობა. ქონებრივად, რასაკვირველია, უნივერსიტეტი ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების ხანაში, ისე გაიზარდა, რომ წინათ ამაზე ოცნებაც შეუძლებელი იყო. ეხლა რა დავგრჩენია, მეცნიერები გამარჯვებული ვართ ყოველმხრივ. ოცი წლისთავის გადახდა კარგი დღესასწაულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი ფიქრობდნენ. — უნივერსიტეტი ოც დღესაც ვერ გაძლებსო. მაგრამ მაინც ბევრი რამ გვაქვს წინ. ყველაზე უფრო რთული ამოცანა ის ამოცანაა, რომელზედაც ამ ბოლო დროს მთავრობისა და პარტიის უმაღლეს ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღება აქვთ მიქცეული.

თქვენ წაკითხული გაქვთ როგორც საკავშირო მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა, ისე ხალხთა ბელადის მიმართვა, რომ უმთავრესი ყურადღება უნდა დაეთმოს კადრების მომზადებას. ეს საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია. ძველი თაობა, რომელიც იწყებდა ამ საქმეს, სანახევროზე მეტად ახალგაზრდობისაგან შედგებოდა. მათ გვერდში ამოუდგნენ თვით ამავე უნივერსიტეტში სწავლადამთავრებულები, რომელთაც შეძლეს არათუ მეცნიერული დისციპლინების სწავლება, არამედ ხელი შეუწყვეს მეცნიერების გაფართოებას. ყოველ ჩვენთაგანს, მეტადრე მოხუცებულებს, უნდა გვახსოვდეს, რომ „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. უნდა იზრუნოს ძველმა თაობამ, რომ ტურფა საბაღნარო ტურფა საბაღნაროდ დარჩეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ახალი, კარგად მომზადებული კადრების შექმნით, რომლებიც არათუ არ ჩამოუვარდებიან ამ ძველ თაობას, არამედ ძველ თაობაზე უკეთესები იქნებიან. აი, ამას უნდა მიექცეს ყურადღება და ამას, რასაკვირველია, ყოველი წევრი, რომელიც კი უმაღლეს სასწავლებელში მუშაობს, შეაღვეს მთელ თავის ძალღონეს. მაგრამ, უნდა მოვახსენოთ, კადრების მომზადების შესაძლებლობა მარტო მასწავლებლების საკითხი არ არის, თვითონ ასპირანტებმა უნდა შეიგნონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ აწევთ, — უნდა ესმოდეთ, რომ მხოლოდ საფუძვლიანი ცოდნა მისცემს მათ შესაძლებლობას, ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში. უნდა ახსოვდეთ, რომ სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება არასოდეს დიდი საქმე, გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერასოდეს დიდ საქმეს; უნდა უყვარდეს ყოველ მათგანს თავისი ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერება, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ შეალიოს თავისი ძალა მეცნიერებასაც და ხალხსაც (მხურვალე ტაში).

სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია. აი, ამ გრძნობას, შეგნებას არ დაივიწყებს ის ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლესი მეცნიერების შესათვისებლად ემზადება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართული მეცნიერების განვითარებას ვერაფერი შეაკავებს, მკვდრეთით აღდგა ის მეცნიერება და კულტურა, რომელიც მე-13 საუკუნის ბოლოდან მიკვდინებული იყო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს შე-



საძლებელი იყო ასეთ მოკლე პერიოდში? განა შესაძლებელია, რომ უფრო მთავარი იყო? ცხადია, არა, მაგრამ მომავალში თანდათანობით გამოსწორდება ყველა ნაკლი, თუკი სიყვარული და შეგნება არ უღალატებს არასოდეს იმ ახალგაზრდას, რომელმაც ძველი თაობისაგან უნდა მიიღოს მემკვიდრეობა და თვითონ ჩაუდგეს სათავეში ამ ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ პირობებში აყენებენ ეხლა ასპირანტებს. ჩვენს დროში სრულიად წარმოუდგენელი იყო, რომ ასე უხვად იქნებოდა სტიპენდიები და ახალგაზრდები ასე ყოველმხრივ უზრუნველყოფილი. როდესაც ამბობდნენ, რომ ხელშემწყობი გარემოება არ არის და ვერ ვმუშაობთ, უნდა მოგახსენოთ, არ მჯეროდა და არც ეხლა მჯერა; ვისაც საქმე უყვარს, ვისაც სურს მუშაობა, ავადმყოფობის დროსაც იმუშავენ. მე მინახავს ადამიანი, რომელიც მწოლიარე ავადმყოფი იყო და კალამი არ გაუგდია ხელიდან უკანასკნელ წუთამდე.

ეს შეგნება უნდა ჰქონდეს იმ პირს, რომელიც გადაწყვეტს — მეცნიერებას შესწიროს მთელი თავისი ძალღონე და გადაუხადოს სამაგიერო იმ ქვეყანას, იმ სახელმწიფოს, რომელმაც შეუქმნა მას შესაფერისი პირობები მეცნიერული მუშაობისათვის (მქუხარე ტაში).

И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

БОРЬБА ЗА СОЗДАНИЕ ГРУЗИНСКОГО УНИВЕРСИТЕТА

Резюме

Публикуется стенографическая запись доклада И. А. Джавахишвили, сделанного 25 мая 1938 года в Тбилисском университете.

„კოლხიდის“ და „კოლხების“ გაგებისათვის

ნოდარ ლომოური

როგორც ცნობილია, ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ) მწერლობაში დასავლეთი საქართველოს ტერიტორია „კოლხიდის“ (Κολχίς, — *შიც*), ხოლო აქაური მოსახლეობა „კოლხების“ (Κόλχοι) სახელითაა მოხსენებული. ამავე დროს, მეცნიერებმა კარგა ხანია მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ სახელწოდებები „კოლხიდა“ და „კოლხები“ სხვადასხვა წყაროში განსხვავებული შინაარსისაა: მათ ხან ფართო — კრებითი, ხან ვიწრო — ეთნიკური — შინაარსი აქვთ, ისინი ხან საქმაოდ ვრცელ ტერიტორიას აღნიშნავენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან — დიოსკურია-პიტუენტის სექტორიდან, ვიდრე მდ. ჭოროხის შესართავის რაიონამდე, ხან კი — შედარებით მცირე ოლქს ქ. ტრაპეზუნტის მიდამოებში.

ასე, მაგალითად, ჰეროდოტეს მიხედვით, ფაზისი (რიონი) კოლხების მიწა-წყალზეა (Hist., 1, 2; I, 104), მეორე მხრივ, იგივე ჰეროდოტე გვამცნობს, რომ მდინარე თერმოლონტთან და პართენიოსთან მცხოვრები სირიელებისა და მაკრონების სიტყვით, მათ წინადაცვეთა კოლხთაგან უსწავლიათ (Hist., II, 104). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ უკანასკნელი ცნობიდან ჩანს, „რომ წინათ კოლხებს თერმოლონტისა და მდ. პართენიოსის სანახების მეზობლად თუ არა, მახლობლად მაინც უნდა ეცხოვრათ“ ([1], 10).

ჰეროდოტეზე მოგვიანებით, ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისში, ისტორიკოსი ქსენოფონტი აღნიშნავს, რომ ქალაქები — ტრაპეზუნტი და კერასუნტი კოლხთა მიწა-წყალზე ყოფილა (Anab., IV, 8, 22; V, 3, 2).

ეს გარემოება ივ. ჯავახიშვილს საფუძველს აძლევს ივარაუდოს, რომ „მდ. რიონის აუზში გადაჭიმულ კოლხეთის გარდა, IV ს. ქსენოფონტის დროს, მეორე, ტრაპიზონის სანახებში მდებარე კოლხეთიც არსებობდა“, ამასთან, თუ პირველს „ზოგადი, პოლიტიკური ჰეგემონიის წყალობით გაჩენილი მნიშვნელობა ჰქონდა, ტრაპიზონის სანახების კოლხეთს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ ვიწრო, ტომობრივი მნიშვნელობა ჰქონოდა“ ([1], 11—12).

ძვ. წ. IV ს. მეორე ძეგლი — ე. წ. ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „ბერიპლუსი“ ტრაპეზუნტის სანახებში მცხოვრებ კოლხებს უკვე აღარ ახსენებს; ეს ქალაქი მას მაკროკეთალების ტომის მიწა-წყალზე აქვს ნაჩვენები (fr. 85). რაც შეეხება კოლხებს, მათ მიწა-წყალზე, ფსევდო-სკილაქსის მიერ ჩამოთვლილ გეოგრაფიულ პუნქტთა მიხედვით, ისინი ქ. დიოსკურიიდან (სოხუმი) მდ. აფსაროსის (ჭოროხი) შესართავის სექტორამდე ბინადრობენ ([2], 24—25, 33—34).



ძვ. წ. III ს. პოეტის აპოლონიოს როდოსელის აღწერილობით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მიყოლებით სახლობენ ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, ფილირები, მაკრონები, ბექირები და ბიძერები, ხოლო კოლხები მათ შემდეგ, მდ. ფაზისის მიდამოებში არიან დასახლებული (Argon., II, 1000—1270).

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მცხოვრები სტრაბონის აღწერილობით, კოლხეთი იმავე ფარგლებშია მოქცეული, როგორც ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“: ჩრდილოეთით მისი ტერიტორია პიტიუნტ-დიოსკურიის სექტორით ისაზღვრება, ხოლო სამხრეთით მას ქ. ტრაპეზუნტის სანახები ემიჯნება (Strabo, XI, 2, 14). ამასთან, თვით ტრაპეზუნტი, სტრაბონის მიხედვით, კოლხეთში აღარ არის — იგი უკანასკნელის მომდევნო მხარეა, მისგან განცალკევებითაა დასახლებული (იქვე, VII, 4, 3; XII, 3, 13, 17, 18).

გვიანდელი ავტორებისთვისაც კოლხიდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივაა გადაჭიმული ფაზისის ორივე მხარეს, დაახლოებით დიოსკურია-სოხუმიდან მდ. აფსაროს-ჭოროხის შესართავამდე. ასე, მაგალითად, ახ. წ. V ს. უცნობი ავტორის „პერიპლუსით“, „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილი“ (Anonym, PPE, § 7).

ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტერმინების — „კოლხიდისა“ და „კოლხების“ მიმართ ანტიკურ მწერლობაში ორგვარი მიდგომაა: ერთ შემთხვევაში ეს ტერმინები ფართო (გეოგრაფიული ან პოლიტიკური) მნიშვნელობით იხმარება და მათში კოლხიდა ივარაუდება დიოსკურია-სოხუმიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე, მეორე შემთხვევაში კი ისინი ვიწრო ეთნიკური გაგებითაა ნახმარი და მათ ქვეშ იგულისხმება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდ. ფაზისის ორივე ნაპირზე მდებარე მხარე და მისი მოსახლეობა — მერმინდელი ლაზები ანუ ეგრები (მეგრელები).

ასე ესმის საქმის ვითარება, მაგალითად, გ. მელიქიშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლხიდის ჩრდილოეთ საზღვრად დასახლებულია პიტიუნტ-დიოსკურიის რაიონი, ხოლო სამხრეთით მისი ტერიტორია გავრცელებულია ტრაპეზუნტის სანახებამდე, თვით ტერმინები „კოლხიდა“ და „კოლხები“ კრებითი ხასიათისაა და იხმარება გეოგრაფიული და არა ეთნიკური მნიშვნელობით და სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ ვრცელ ტერიტორიაზე ერთი ეთნიკური ჯგუფი — „კოლხები“ ბინადრობდა ([3], 63—64).

უფრო გარკვევით აყალიბებს ზემოაღნიშნულ აზრს ზ. ანჩაბაძე. იგი წერს: „კოლხიდა ფართო მნიშვნელობით მოიცავდა მთელი თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებს, ქ. ტრაპეზუნტის ჩათვლით... რაც შეეხება ტერმინ „კოლხების“ ვიწრო ეთნიკურ მნიშვნელობას, ანტიკური წყაროები გულისხმობენ მასში ეგრებს (ანუ ეგრიულებს) — თანამედროვე მეგრელების წინაპრებს, რომლებიც გვიანანტიკური ხანიდან ლაზების სახელით გვევლინებიან ([4], 132).

ის გარემოება, რომ დასახლებული ტერმინები ორი მნიშვნელობით — ფართო, გეოგრაფიული (ჩვენ დავუმატებთ — პოლიტიკური) და ვიწრო, ეთნიკური გაგებით იხმარება ანტიკურ მწერლობაში, ეჭვს არ იწვევს; ისიც უეჭველია, რომ ცნებებში „კოლხიდა“ და „კოლხები“ უმეტესწილ არ იგულისხმება

ერთი ეთნიკური ჯგუფი, ერთი ტომი. მაგრამ, ჩვენი აზრით, სრულიად უმართებულოა იმის მტკიცება, რომ „კოლხიდა“ ფართო გავებით გულისხმობდა მთელ ტერიტორიას დიოსკურია-პიტიუნტიდან ტრაპეზუნტამდე, უკანასკნელის ჩათვლით, ხოლო ვიწრო, ეთნიკური მნიშვნელობით ტერმინი „კოლხები“ აღნიშნავდა ეგრებს ანუ მერმინდელ ლაზებს.

ჯერ-ერთი, არც ერთ წყაროში არ გვხვდება შემთხვევა, რომ კოლხეთი დასახლებული იყოს დიოსკურია-პიტიუნტიდან ტრაპეზუნტამდე გადაჭიმულად. ისე, რომ უკანასკნელიც მის ფარგლებში იყოს მოქცეული. ის გარემოება, რომ ქსენოფონტი ტრაპეზუნტს კოლხების მიწაზე მდებარე ქალაქად ასახელებს, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ტრაპეზუნტის სახანებიცა და მის ჩრდილოეთით, ვიდრე დიოსკურიამდე მდებარე ტერიტორიასაც მწერალი „კოლხიდად“ გულისხმობს. რაც შეეხება დანარჩენ წყაროებს (ფსევდო-სკილაქსი, აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი), ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ კოლხები შავი ზღვის აღმოსავლეთ სახაპიროზე მოსახლეობენ და ტრაპეზუნტი არ მდებარეობს მათ მიწა-წყალზე.

მეორე: უმართებულოდ გვეჩვენება იმის მტკიცებაც, რომ ტერმინი „კოლხები“ ვიწრო ეთნიკური გავებით ნიშნავს იმავე ეგრებს (ეგრისელებს). ზ. ანჩაბაძეს ამ დებულების საბუთად მოაქვს V ს. ანონიმის ზემომოტანილი სიტყვები, რომ კოლხები ახლა ლაზებად იწოდებიანო. მაგრამ ზ. ანჩაბაძეს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ, როდესაც V ს. ავტორი თვით ლაზების სამოსახლო ტერიტორიას აფსაროს-ჭოროხსა და დიოსკურია-სოხუმს შორის აქცევს, აქ არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება ეთნიკური ლაზეთი. ცნობილია, რომ საკუთრივ ლაზები მდ. რიონ-ფაზისის ორივე ნაპირზე შედარებით მცირე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ხოლო V საუკუნისათვის ლაზეთად (ლაზიკად) იწოდებოდა ის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მათი ჰეგემონიით შეიქმნა და რომელიც დასავლეთ საქართველოს სხვა ტომებსაც აერთიანებდა, მისი ტერიტორია კი მართლაც ზემოდასახლებულ ფარგლებში იყო მოქცეული ([5], 30—78). ამრიგად, კოლხებისა და ლაზების გაიგივება მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით შეიძლება და არა ეთნიკური თვალსაზრისით.

მეორე მხრივ, როგორც სტრაბონის, ისე მერმინდელი მწერლების ცნობებიდან ამჟღავნაა, რომ პიტიუნტ-დიოსკურიასა და აფსაროსს შორის მდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ტომი ცხოვრობდა. სტრაბონი თუმცა წერს, რომ პიტიუნტი და დიოსკურია „კოლხიდის მხარეებია“, მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნავს, რომ დიოსკურიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სანაპიროს გასწვრივ ჰენიოხთა ტომი ბინადრობს (Strabo, XI, 2, 12). პლინიუსი დიოსკურია-სებასტოპოლისის მიდამოებში ასახელებს აფსილებსა და კორაქსებს, აფსაროსსა და დიოსკურიას შორის კი — მთელ რიგ ტომებს, მათ შორის — ჰენიოხებსა და ლაზებს (Plin., NH, VI, 12—15). პომპონიუს მელა დიოსკურიას ჰენიოხების მიწა-წყალზე დაარსებულად მიიჩნევს (De Chronogr., I, 19, III), ხოლო ახ. წ. II ს. 30-იანი წლებში ფლავიუს არიანე აფსაროსიდან დიოსკურიამდე ასახელებს ზიდრიტებს, ლაზებს, აფსილებს, აბსაგებსა და სანიგებს (Arrian., PPE, § II).

მამასადამე, როდესაც ფსევდო-სკილაქსი დიოსკურიასა და აფსაროსს შორის მოსახლედ კოლხებს ასახელებს, ხოლო სტრაბონი ამავე ტერიტორიას კოლხიდად აცხადებს, ეს ტერმინები არა ეთნიკური, ვიწრო-ტომობრივი მნიშვნელო-



ბისაა, არამედ კრებითი, პოლიტიკური ცნებებია და აღნიშნავს პოლიტიკურ რთიანებას — „კოლხეთის სამეფოს“.

იბადება კითხვა: რით უნდა აიხსნას, რომ ქსენოფონტთან კოლხები ტრაპეზუნტის მიდამოებში ჩანან, ხოლო მერმინდელ ავტორებთან მათი სამოსახლო უფრო ჩრდილოეთითაა აღნიშნული და ტრაპეზუნტი კოლხიდაში არაა დასახელებული. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქსენოფონტის დროს კრებითი სახელწოდება „კოლხიდა“ სამხრეთით ვრცელდებოდა ტრაპეზუნტამდე და, მაშასადამე, კოლხიდა ამ დროს მოიცავდა რიონის აუზსაც და ტრაპეზუნტის მიდამოებსაც, ხოლო შემდეგ ეს ვრცელი კოლხეთი შემეცირებულა, კოლხები ტრაპეზუნტის სანახებოში გამქრალან და მხოლოდ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე შემორჩენილან. სწორედ ასე ხსნის, როგორც ჩანს, ამ ვითარებას გ. მელიქიშვილი. იგი აღნიშნავს, რომ ქსენოფონტის შემდეგ სხვა ავტორები ტრაპეზუნტის რაიონში არავითარ კოლხებს აღარ ხვდებიან, ხოლო, როდესაც მერმინდელი ზოგიერთი ავტორი, — მაგალითად, ფლავიუს არიანე, — ტრაპეზუნტთან კოლხებს მაინც ასახელებს, ისინი უბრალოდ იმეორებენ ქსენოფონტის ცნობას და ამ ძველი ტრადიციის გავლენით ავრცელებენ ასე შორს სამხრეთისაკენ კოლხიდას ([3], 63).

მაგრამ, ვფიქრობთ, საქმე ასე იოლად არ წყდება. ქსენოფონტი თავის „ანაბაზისში“, როგორც ცნობილია, აგვიწერს ათი ათასი ბერძნის უკანდახვევას სპარსეთის სახელმწიფოს სიღრმიდან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირომდე. იგი თვით არის ამ ლაშქრობის მონაწილე და, მაშასადამე, თვითმხილველი აღწერილი მოვლენებისა და ადგილებისა. ტრაპეზუნტსა და მის გარშემო მდებარე კოლხთა სოფლებში ბერძნები ერთ თვეს დაჩინენ, თავდასხმებს აწყობდნენ კოლხების მიწა-წყალზე (Anab., IV, 8, 22). ცხადია ქსენოფონტმა კარგად გაიცნო ადგილობრივი ვითარება, გაიგო — ვინ იყვნენ ტრაპეზუნტის მიდამოების მცხოვრებნი, რა ერქვათ მათ, რომელ ტომს ეკუთვნოდნენ... ტრაპეზუნტის გვერდით მოსახლე ტომი რომ საკუთრივ კოლხები არ ყოფილიყვნენ და მათ ტერიტორიაზე მხოლოდ გავრცელებულიყო კოლხების კრებითი სახელწოდება, ქსენოფონტი ამას გაიგებდა და დასახელებდა მათ ვიწრო-ტომობრივ სახელსაც, როგორც ასახელებს კოლხების მეზობლად მცხოვრები დრილებისა და სხვა ისეთი ტომების სახელებს, რომლებიც სხვა ანტიკური ავტორებისათვის ცნობილი არ იყო, რადგან ეს სახელები, როგორც ჩანს, სხვა — უფრო ზოგადი — სახელებით იფარებოდა (მაგ., ტაოხებს, ფსაიანებს, სკვითინებს და სხვ.). ქსენოფონტი ნიშანდობლივ ლაპარაკობს აქ სწორედ კოლხთა ტომის შესახებ და ვფიქრობთ, მას ამ მხრივ არ შეიძლება არ ვენდოთ.

ახლა გადავიდეთ უფრო გვიანდელი ავტორის — ფლავიუს არიანეს ცნობის განხილვაზე.

არიანე წერს: „შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან კოლხები და ტომი, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი; ქსენოფონტი მათ დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან“ (Arrian., PPE, § II).

შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ არიანე აქ უბრალოდ იმეორებს ქსენოფონტის ცნობას და სინამდვილეში ტრაპეზუნტთან კოლხები არ სახლობდნენ? ვფიქრობთ, არა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არიანეს

„პერიპლუსი“ ფაქტობრივად წარმოადგენდა მისი, როგორც პროვინცია კაპადოკიის პროკონსულის, საინსპექციო მოგზაურობის ოფიციალურ ანგარიშს, ანდა მოხსენებით ბარათს იმპერატორ ადრიანესადმი, და, ამასთანავე, გავისხენებთ, რომ არიანე თვით იყო ამ დროს ტრაპეზუნტში (გაჩერდა აქ, დაათვალიერა იგი და აღწერა, საგანგებო ზომები მიიღო ურჩი სანების ტომის მიმართ და სხვა), მაშინ ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ მას მხოლოდ ქსენოფონტის ძველთაძველი ცნობის საფუძველზე ეუწყებინა იმპერატორისათვის, რომ ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი კოლხები არიანო. თვით კონტექსტიც არ იძლევა ამის საფუძველს: არიანე კი არ წერს — „როგორც ქსენოფონტი ამბობსო“, (*καθ'απερ Ξενοφών λέγει*), არამედ — „როგორც ქსენოფონტიც ამბობსო“ (*καθ'απερ και Ξενοφών λέγει*). საინტერესოა, რომ აქვე ის ქსენოფონტს ერთგვარად ეღაპრება კიდევაც, როცა ამბობს ტრაპეზუნტელთა მტრებზე — ქსენოფონტი მათ დრილებს უწოდებს, მე კი მგონია, რომ ისინი სანები არიანო. არიანეს, როგორც ჩანს, აქ დრილები აღარ დახვედრია, მათი სახელი ალბათ სანების (ჭანების) ზოგადი, კრებითი სახელით დაიფარა და იგი ბრმად კი არ იმეორებს ქსენოფონტს, არამედ აღნიშნავს მის თანამედროვე მდგომარეობას. ასევე იქცევა იგი სხვა ადგილასაც, როცა აღწერს კოტიორას, იგი ამბობს: „ეს ადგილი მოიხსენია ქსენოფონტმა და თქვა, რომ იგი სინოპელთა ახალშენია; ახლა კი პატარა სოფელია“ (Arrian., PPE, § 1).

მაშასადამე, არიანე იმოწმებს ქსენოფონტს, მაგრამ, როცა უკანასკნელის ცნობა რითიმე განსხვავდება მის მიერ ნახული სიტუაციისაგან, ამას აღნიშნავს და იმპერატორს მის თანამედროვე ვითარებას ამცნობს.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ არიანესაც ტრაპეზუნტთან კოლხები დახვედრია. ამდენად, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ხელთ არსებულ წყაროთაგან სწორედ იმ ორ თხზულებაში, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ადგილების თვითმხილველებს ეკუთვნის, ტრაპეზუნტის მიდამოებში დასახლებული არიან კოლხები. ეს კი ნიშნავს, რომ საკუთრივ კოლხთა ტომი სწორედ აქ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბინადრობდა და სწორედ ქსენოფონტთან და შემდეგ არიანესთან გვაქვს ამ ტერმინის ვიწრო ეთნიკური მნიშვნელობა შემონახული.

თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა მოხდა, რომ ანტიკურ ხანაში „კოლხიდის“ — კოლხების საბინადრო ადგილის სახელი, როგორც წესი, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, დიოსკურიასა და აფსაროსს შორის მდებარე ტერიტორიას მიეკუთვნება? გავარკვიოთ ეს საკითხი.

ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან ამიერკავკასიაში იწყება წარმოქმნა ტომთა მსხვილი კავშირებისა, რომელნიც საკმაოდ მრავალრიცხოვან ტომებსა და ფართო ტერიტორიას აერთიანებენ. ასეთი ტომთა გაერთიანება წარმოქმნილა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეც.

გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. XII ს. უნდა წარმოქმნილიყო კოლხურ ტომთა გაერთიანება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე და სწორედ ეს გაერთიანება იგულისხმება ასურეთის მეფის ტიგლათპალასარ I (1115—1077) წარწერაში, სადაც უკანასკნელის მიერ დალაშქრულ ქვეყნებს შორის დასახლებულია ქვეყანა **ḪAB-ḫi**, რომლის სახელი,



გ. მელიქიშვილის აზრით, შეიძლება წაკითხულ იქნეს როგორც „გილხი“ (kilhi, Gilhi), იგი ვარაუდობს, რომ კოლხური ტომების ამ გაერთიანების 60 „მეფე“ ანუ ბელადი მოვიდა ნაირის ქვეყნის დასახმარებლად ასურელთა წინააღმდეგ ([6], 22—26; [7], 320—321).

გ. მელიქიშვილის ეს მოსაზრება არ გაიზიარეს ი. დიაკონოვმა და ლ. ლიპინმა. კერძოდ, ი. დიაკონოვმა გაუმართლებლად მიიჩნია სიტყვა HAB-hi-ს წაკითხვა „კილხი“-დ ან „გილხი“-დ და აღნიშნა, რომ ქვეყანა „კილხი — გილხი“ საერთოდ არ არსებობდა ([8], 61; [9], 151—152).

გ. მელიქიშვილმა არ გაიზიარა ი. დიაკონოვისა და ლ. ლიპინის კრიტიკა და თავისი მოსაზრება გაიმეორა 1959 წელს თავის წიგნში ([3], 183) და 1962 წელს — სპეციალურ სტატიაში ([7], 320—321). მაგრამ, თუ XII ს. „კილხის“ გაერთიანების არსებობა შეიძლება ეჭვს იწვევდეს, უფრო გვიან, კერძოდ, ძვ. წ. VIII ს. ამ ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი და მძლავრი ტომთა კავშირის არსებობა სათუო აღარ არის.

ურარტუს მეფის სარდური II (767—735) წარწერებში აღწერილია მისი ორი ლაშქრობა „კულხას“ (როგორც ჩანს, იგივე „კოლხას“) ქვეყნის წინააღმდეგ. პირველ წარწერაში, რომელიც 750—748 წწ. ეხება, ლაპარაკია კულხას მეფის ხელქვეითი ქვეყნის — ხუშალხის დარბევაზე (YKH, 155C, სტრ. 1 და 2-ე მძვ.), ხოლო მეორე წარწერაში, რომელიც 744—742/1 წწ. ლაშქრობას აგვიწერს, საუბარია ურარტუს მეფის მიერ უკვე უშუალოდ კულხას ტერიტორიის დალაშქვრაზე (YKH, 155 D, სტრ. 1 და შემდ.).

ურარტუს მეფის ამ წარწერებში კულხა-კოლხა დახასიათებულია, როგორც ვრცელი ქვეყანა, რომელშიც არის ქალაქები (მაგალითად, „სამეფო ქალაქი ილდამუშა“), კულხას მეფეს ჰყავს „მეფის ნაცვალი“ თუ „მხედართმთავრები“ (Lúirdi), აქ განვითარებული ჩანს მეტალურგიული წარმოება ([7], 323).

ურარტუს მეფის პირველი წარწერა იმითაა აღსანიშნავი, რომ მასში კულხას მეფის კუთვნილ, ხელქვეით ქვეყანად დასახელებული ხუშალხი უფრო ადრე, კერძოდ, არგიშთი I (786—764) წარწერაში დიაუხის შემადგენლობაშია ნაჩვენები. ეს აძლევს საფუძველს გ. მელიქიშვილს აღნიშნოს, რომ ძვ. წ. VIII ს. 60-იან წლებში კულხას გაერთიანება ანადგურებს დიაუხის ტომთა კავშირს, იკავებს მის კუთვნილ ზოგიერთ ოლქს და უშუალოდ ურარტუს სამეფოს უმეზობლდება ([6], 412; [7], 322—323).

როგორც წარწერათა ანალიზიდან ჩანს, ის მიწა-წყალი, რომელიც ურარტუს მეფის მიერ ყოფილა დალაშქრული, წარმოადგენდა კულხას გაერთიანების მხოლოდ აღმოსავლეთ პერიფერიას: პირველი წარწერით ეს არის ხუშალხის ოლქი, რომელიც მანამდე დიაუხის შემადგენლობაში შედიოდა, მეორე წარწერით კი, მართალია, თვით კულხას ტერიტორია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც დასახელებულია მხოლოდ ოლქი და ქალაქი, რომელსაც მართავს „მეფის ნაცვალი“ (irdi). ამიტომ გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ კულხას გაერთიანების ცენტრი უნდა ყოფილიყო მდ. ჭოროხის შესართავის რაიონში და მერმინდელი კოლა-არტანის ოლქი; კერძოდ, სახელწოდება „კოლა“ მას შესაძლებლად მიაჩნია დაუკავშირდეს კოლხა-კულხას სახელს ([7], 323—324).

ამასთან დაკავშირებით გვინდა კვლავ დაუზღუდნეთ ქ. ტრაპეზუნტის მან-
ლობლად ქსენოფონტის მიერ დასახელებულ კოლხების ტომს. თუკი კულხას
გაერთიანების ცენტრი სადაც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს-
თან არის საგულგებელი, ჩვენი აზრით, ყველაზე გამართლებული იქნება ვიფიქ-
როთ, რომ ეს გაერთიანება შეიქმნა სწორედ ამ კოლხების ტომის მეთაურობით,
მისი პეგემონობით და რომ სწორედ ამიტომ მიიღო ამ გაერთიანებამ სახელწო-
დება „კულხა-კოლხა“.

კულხას გაერთიანების შესახებ ცნობები ურარტულ წარწერებში ძვ. წ. VIII
საუკუნემდე არ გვხვდება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ეს გაერთი-
ანება მხოლოდ ამ ხანებში წარმოიქმნა. ძვ. წ. VIII საუკუნის 60-იან წლებში ეს
გაერთიანება უკვე იმდენად ძლიერია, რომ მეზობელი დიაუხის გაერთიანების
წინააღმდეგ შეტევაზე გადმოდის და მას ზოგიერთ ოლქსაც კი ართმევს. ცხა-
დია, რომ მის ასეთ გაძლიერებას წინ უსწრებდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიო-
დი თანდათანობითი გაფართოებისა და ძალების მოკრებისა. მეორე მხრივ,
VIII ს. 60-იან წლებამდე ურარტუს დასავლეთით ემიჯნებოდა დიაუხის გაერ-
თიანება, რომელთანაც მას უხდება შეტაკებები, ხოლო დიაუხის დასავლეთით
მდებარე კულხასთან ურარტუს შეხების წერტილები არ ჰქონია, რითაც აიხს-
ნება სწორედ მის შესახებ დუმილი ურარტულ წყაროებში. VIII საუკუნეში კი
კულხა დიაუხის წინააღმდეგ შეტევაზე გადმოდის, იკავებს მის დასავლეთ
(ჩრდილო-დასავლეთ) ოლქებს და რადგან ამ ხანებისათვის ურარტუს სამეფო-
მაც ხელთ იგდო დიაუხის განადგურებული გაერთიანების აღმოსავლური ოლ-
ქები, კულხა და ურარტუ ერთმანეთს უშუალოდ უმეზობლდებიან ([6], 412;
[7], 322). სწორედ ამით აიხსნება კულხას სახელის გაჩენაც ურარტუს მეფის
წარწერებში. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ კულხას ტომთა კავშირი კოლ-
ხების ტომის მეთაურობით VIII საუკუნეზე ადრე უნდა წარმოქმნილიყო და
ურარტულ წარწერებში სახელის გაჩენამდე მას გაფართოებისა და გაძლიერე-
ბის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი უნდა გაველო.

ამას უნდა ადასტურებდეს ზოგიერთი სხვა მონაცემიც.

უბირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ე. წ. „კოლხური კულტურის“ ანუ
გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული არქეოლოგიური მასალა. ცნობილია,
რომ ძვ. წ. XIII—VIII სს. შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ
სანაპიროებზე ჩამოყალიბდა მაღალგანვითარებული ბრინჯაოს კულტურა, რო-
მელიც „კოლხური კულტურის“ სახელითაა ცნობილი. ასეთ ვრცელ ტერიტო-
რიაზე ერთგვაროვანი კულტურის გავრცელება აქ ტომთა დიდი გაერთიანების
არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ამ ხანის არქეოლოგიური მასალის შესწავ-
ლამ ცხადყო, რომ კოლხური კულტურის ინდუსტრიული ცენტრებიდან განსა-
კუთრებით მძლავრი, დაწინაურებული იყო ჭოროხის მეტალურგიული კერა.
სწორედ ჭოროხის აუზში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, აჭა-
რიდან ვიდრე ქ. ორდუს რაიონამდე, აღმოჩენილია ამ ხანის ბრინჯაოს ნივთების
ყველაზე მეტი ვაძი ([10], 129; [11]; 188—189; [12], 147). ამრიგად, გვიან-
ბრინჯაოს ხანის ყველაზე მძლავრი ინდუსტრიული კერა სწორედ იმ ტერიტო-
რიაზე ყალიბდება, სადაც მდებარეობდა კულხას გაერთიანების ცენტრი. ცხა-
დია, კოლხური კულტურა ორგანულად უკავშირდება დასავლურ-ქართულ ტომ-



თა ამ დიდ გაერთიანებას ([7], 321) და ეს კი გვაგვარაუდებინებს, რომ კულხას გაერთიანების წარმოქმნა სწორედ იმ ეპოქაზე მოდის, როდესაც იწყება კოლხური კულტურა, ე. ი. ძვ. წ. XIII საუკუნეზე.

ჩვენი ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დიაუხზე კულხას შემოტევას უთუოდ წინ უსწრებდა ამ უკანასკნელის გაძლიერება და ტერიტორიული გაფართოება. კულხას წინააღმდეგ სარდური II ლაშქრობათა აღწერილობის ანალიზი და თვით კულხას გაერთიანების სიძლიერე საფუძველს აძლევს მკვლევრებს ივარაუდონ, რომ ამ გაერთიანების ტერიტორია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ ვრცელდებოდა და რიონის აუზსაც მოიცავდა ([6], 412; [7], 321; [13], 228). ამას ადასტურებს კოლხური კულტურის გავრცელების არეალიც და ის საყურადღებო მოვლენა, რომ ჭოროხის მეტალურგიული კერის სხვადასხვა ნაწარმს, გარდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსი, ვხვდებით რიონის აუზში, მის ქვემო წელზე, ურეკში, გოგოლისუბანში და სხვ.; აქ აღმოჩენილი თხები, ცულები, სეგმენტისებური იარაღი ფორმითაც და ლითონის შემადგენლობითაც ჭოროხის მეტალურგიულ კერას უკავშირდება ([10], 113—114; [11], 190). ეს გარემოება, ჩვენი აზრით, უნდა იმაზე მიუთითებდეს, რომ კულხას გაერთიანება, რომელიც უკვე გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისში ჩამოყალიბდა, თავის გავლენას თავდაპირველად ჩრდილოეთისაკენ, რიონის აუზისაკენ ავრცელებდა და აწინდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე მონათესავე ტომებს იერთებდა. ამის გამო მას არ უხდება სამხრეთის მეზობლებთან (დიაუხი, ურარტუ) შეტაკება და არც მისი ხსენება ჩანს ურარტულ წყაროებში. VIII ს-ის 60-იანი წლებიდან კი იგი უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთით იწყებს ექსპანსიას და დიაუხის გაერთიანების განადგურებაში მონაწილეობს.

ამრიგად, ძვ. წ. VIII საუკუნისათვის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროების ტომები გაერთიანებული იყვნენ დიდ ტომთა კავშირში, რომლის ცენტრი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ამ გაერთიანების ჰეგემონი უნდა ყოფილიყო სწორედ აქ, სადაც ტრაპეზუნტის მიდამოებში მოხინაღრე ტომი — „კოლხები“, რის გამოც მთელ ამ გაერთიანებას „კოლხას“ ანუ „კულხას“ გაერთიანება ეწოდებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ბერძნებიც სწორედ ამ გაერთიანებას გაეცნენ და მას უწოდეს „კოლხიდა“ — ისევ ამ გაერთიანების ჰეგემონი ტომის „კოლხების“ მიხედვით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პირველი ბერძნული ახალშენი კოლხური (მეგრულ-ჭანური) ტომების მიწა-წყალზე — ქ. ტრაპეზუნტი დაარსებული იყო VIII ს. (757/756 წწ.) სწორედ იმ ტომის ტერიტორიაზე, რომელსაც ქსენოფონტი კოლხებს უწოდებს ([14], 43). აქვე ცოტა გვიან დაარსდა კიდევ ორი ბერძნული კოლონია: კერასუნტი და კოტიორა ([19], 71—73; [15], 247).

ყურადღაღებია ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, — რომელიც, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს, — რომ უფრო ადრეულ ხანებშიც ბერძნებს ურთიერთობა ჰქონდათ სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ტომებთან და „არგონავტების“ შესახებ მითის აღ-

საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი

რეული ვერსიები სწორედ აქ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე „კოლხეთს“ გულისხმობდა ([16], 173—179; [7], 324; [20]; 18—23)*.

სარღური II შემდეგ ურარტულ წყაროებში კულხას ხსენება აღარ არის. სპეციალისტები ამას ხსნიან იმით, რომ როგორც ურარტუს, ისე კულხას უხდება VIII ს-ის 20-იან წლებში ჩრდილოეთიდან შემოჭრილ კიმერიელთა თავდასხმების მოგვრება ([17], 50, 5,9—11; [18], 186—194); მკვლევართა აზრით, კიმერიელებს მცირე აზიაში შეჭრისას სწორედ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ უნდა გაევლოთ, ე. ი. გაევლოთ კულხას გაერთიანების მიწა-წყალზე ([18], 190—194). კიმერიელები, როგორც ჩანს, გარკვეული დროით ამიერკავკასიის სამხრეთ ოლქებში და კაპადოკიაში დამკვიდრებულან ([18], 191; [7], 324—325). ცხადია, ასეთ პირობებში კულხას გაერთიანების სწორედ ცენტრალური რაიონები, ე. ი. ჭოროხისპირა ოლქი, უნდა დაზარალებულიყო, რადგან ამ ოლქების უმუშალო მეზობლობაში, კაპადოკიაში დამკვიდრებული სკვითები პირველ რიგში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ლაშქრავდნენ უფრო სისტემატურად, მით უფრო, რომ სწორედ ეს იყო კულხას გაერთიანების უფრო დაწინაურებული და, ალბათ, უფრო მდიდარი მხარეც.

კულხას წამყვანი ჭოროხისპირა რაიონების დარბევამ, აქ სკვით-კიმერიელთა სისტემატურმა შემოსევებმა, გამოიწვია, როგორც ჩანს, ამ გაერთიანების პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთისაკენ გადასაცვლება. ამას, გარდა კიმერიელთა თავდასხმებისა, ხელი შეუწყო იმანაც, რომ VII ს-ის ბოლოს და VI ს-ის დასაწყისში სამხრეთ ამიერკავკასიაში შემოღწევას ლამობს მიდიის სახელმწიფო, ხოლო VI ს-ის შუა წლებში ამიერკავკასიის სამხრეთ რაიონებში მოსახლე ტომთა დიდი ნაწილი აქემენიდური ირანის მიერ აღმოჩნდა დაპყრობილი. ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის სამხრეთ ზონაში რთული კოლიზიები ზდებოდა, ხოლო ცენტრალური რაიონები ამ მოვლენებისაგან უფრო მოშორებით იყვნენ და უფრო მშვიდობიანი ცხოვრებისა და განვითარების პირობები ჰქონდათ. ამით უნდა აიხსნას სწორედ კოლხურ ტომთა გაერთიანებაში, ნაცვლად სამხრეთის, ჭოროხისპირა ოლქებისა, უფრო ჩრდილოეთით მდებარე, რიონ-ფაზისისპირა რაიონის დაწინაურება, მეგრულ-ჭანურ ტომთა გაერთიანების წამყვან მხარედ, მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრად ქცევა. რადგან ეს გაერთიანება ძირითადად იმავე ტომებისაგან შედგებოდა, რაც კულხას ტომთა კავშირი, ბერძენებისათვის ის კვლავინდებურად კოლხიდა იყო, მხოლოდ რამდენადაც ჩრდილოეთით ინაცვლებდა ამ გაერთიანების პოლიტიკური ცენტრი, იმდენადვე ჩრდილოეთით, რიონის აუზში, გადმოდიოდა თვით „კოლხიდის“ ცნებაც.

* თ. მიქელაძე ([16], 173—179) ვარაუდობს, რომ რეალურად არგონავტების ხანაში ბერძნებს ურთიერთობა ჰქონდათ დიაუხის გაერთიანებასთან. ამ მოსაზრების მთავარი არგუმენტია ის, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს, როცა შეიქმნა არგონავტების მითი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან არსებობდა მხოლოდ დიაუხის გაერთიანება, რადგან კულხას გაერთიანება პირველად მხოლოდ VIII ს-ში იხსენიება. მაგრამ, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კულხა სწორედ XIII—XII სს. უნდა ჩამოყალიბებულიყო, გარდა ამისა, დიაუხის გაერთიანება ზღვაზე არასოდეს გადიოდა. თ. მიქელაძის მსჯელობა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ნავარაუდევია „არგონავტების“ მითის კავშირი სწორედ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან.




გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ კულხას განადგურების შემდეგ კიმერიელთა მუდმივი თავდასხმების შედეგად კოლხეთის სამეფოს წამყვანი ეთნიკური ჯგუფი ნაწილობრივ განადგურდა, ნაწილობრივ განდევნილ იქნა თავისი ოლქიდან; ეს პროცესი, მისი აზრით, დაასრულეს მეზობლად მოსახლე ადგილობრივმა ტომებმა, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც იყო კულხას ცენტრი (მდ. ჭოროხის შესართავი და მის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალი) შემდგომში სხვა ტომები ჩანან, კერძოდ, ბიძერები, კატარძები და სხვანი, რომლებიც აღმოსავლეთიდან შემოიჭრნენ ყოფილი კულხას ტერიტორიაზე, გათიშეს ერთმანეთისაგან მეგრულ-ჭანური ტომების ერთიანი მასა და ამის შედეგად შეიქმნა ორი, ერთიმეორისაგან იზოლირებული, ოლქი, სადაც შემდგომში ხდება ახალ გაერთიანებათა წარმოქმნა; სამხრეთით ხალიტუს (ხალდების ანუ ჭანების) ტომთა კავშირი ყალიბდება, ხოლო ჩრდილოეთით, რიონის აუზში — კოლხეთის სამეფო, რომელსაც გ. მელიქიშვილი პირობითად ჩრდილოკოლხურ სამეფოს უწოდებს ([7], 325—326).

კიმერიელთა შემოსევამ, უდავოა, ერთგვარად აამოძრავა სამხრეთ ამიერკავკასიის ტომები, აქ მოხდა ტომთა გადაჯგუფება, ძველ კავშირთა დაშლა და ახალთა წარმოქმნა. ამ პროცესებს ხელი შეუწყო შემდგომში აქ მიდიის და აქემენიდური სპარსეთის მოძალებამაც. არაა გამორიცხული, რომ ასეთ პირობებში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მართლაც ახალი, აღმოსავლეთიდან გადმოსული ტომებიც გაჩნდნენ, მაგრამ, ჩვენი აზრით, არაა აუცილებელი ყველა იმ ტომის უთუოდ აქ გადმოსახლება ვივარაუდოთ, ამ ადგილებში რომ შემდგომი ხანის წყაროებითაა დადასტურებული. მათი ნაწილი უდავოდ ძველთაგანვე ამ რაიონში სახლობდა და, თუ ისინი წყაროებში არ ჩანდნენ, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მათ სახელებს გაერთიანების ჰეგემონი ტომის — კოლხების სახელი ფარავდა. შემდეგ კი, როდესაც ეს გაერთიანება დასუსტდა, მოიშალა მისი ცენტრი და კოლხებმა დაკარგეს თავისი წამყვანი როლი, უკანასკნელთა სახელის ქვეშ ამოფარებული ტომებიც გამოჩნდნენ და ცნობილი გახდნენ წყაროებისათვის. ერთი რამ, ყოველ შემთხვევაში, აშკარაა: საკუთრივ კოლხთა ტომი, რომელიც ოდესღაც ტომთა გაერთიანების ჰეგემონი იყო, არც გამოწყდარა და არც სხვაგან გასახლებულა; იგი შემდგომაც — ქსენოფონტის და უფრო გვიან, არიანეს ხანაშიც, აქვე, ქ. ტრაპეზუნტის სანახებში, სახლობს. ამ გაერთიანების პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთში გადმონაცვლებამ კი გამოიწვია ბერძნულ და შემდგომ — რომაულ მწერლობაში ტერმინების „კოლხიდისა“ და „კოლხების“ აგრეთვე ჩრდილოეთით გადანაცვლება და აწინდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისა და ძველი მოსახლეობისათვის მათი მიკუთვნება*.

უდავოდ ყურადსაღებად მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ ქართულ წყაროებში არავითარი ფორმითა და სახით არ შემონახულა დასავლეთ საქართველო-

* შესაბამისად გადმოინაცვლა აქ აგრეთვე ბერძენთა წარმოდგენაში „არგონავტების“ მითის სამოქმედო ასპარეზმაც და ბერძნულ ლიტერატურაში შენახული ნაწარმოებები, რომლებიც კი არგონავტების საკითხს ეხება, ყოველთვის გულისხმობს ფაზის-რიონის სანახების კოლხეთს და აქაურ გარემოში ცდილობენ მოუძებნონ შესატყვისი გეოგრაფიული ნომენკლატურაც თქმულებას არგონავტებზე.



სთვის, ან მისი რომელიმე ოლქისათვის სახელი „კოლხეთი“. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასავლეთ საქართველოზე ეს სახელი მწიგნობრული ვზით იქნა გადმოტანილი ბერძნების მიერ. საინტერესოა ერთი ფაქტიც: ბერძნულ წყაროებში შემონახულია ცნობა, რომელიც ძვ. წ. IV—III წ. მწერალთან — ჰერაკლიდეს პონტოელთანაა შენახული და რომლის მიხედვითაც ფაზისის უძველეს მოსახლეობად ჰენიოხები არიან დასახელებული, შემდეგ კი მილეტელები, ე. ი. ბერძენი კოლონისტები ([19], 218). ვინ იგულისხმება რეალურ-ისტორიულად ჰენიოხების ქვეშ, ძნელი სათქმელია; უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ერთ-ერთ დასავლურქართულ ტომს წარმოადგენდნენ. მთავარა ჩვენთვის ისაა, რომ ჰერაკლიდე, როგორც ჩანს, ემყარება რაღაც ძველ ტრადიციას, რომლის თანახმადაც ფაზისის მხარეში კოლხები არასოდეს არ ცხოვრობდნენ.

ყოველივე ზემოთქმული შემდეგი დასკვნების გაკეთების უფლებას გვაძლევს:

1. საკუთრივ კოლხები ძველთაგანვე ბინადრობდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ქ. ტრაპეზუნტის სანახებში. მაშასადამე, ტერმინის — „კოლხები“ ვიწრო ეთნიკური მნიშვნელობა ტრაპეზუნტის მიდამოებში ქსენოფონტისა და შემდეგ, უფრო გვიან, ფლავიუს არიანეს მიერ ნახსენებ კოლხებს გულისხმობს.


2. ამ კოლხების ტომის ჰეგემონობით ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა ტომთა გაერთიანება, რომელიც ურარტულ წყაროებში „კულხას“ („კოლხას“) სახელწოდებითაა ცნობილი და რომელსაც თავდაპირველად გულისხმობდა ბერძნული ტერმინი „კოლხიდაც“. ძვ. წ. VIII საუკუნისთვის ეს გაერთიანება უკვე იმდენად ძლიერი იყო, რომ მოიცავდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გარდა, მის აღმოსავლეთ სანაპიროსაც.

3. „კულხა-კოლხიდის“ გაერთიანების კიმერიელთაგან დარბევის შემდეგ ამ გაერთიანების პოლიტიკური ცენტრის გადნაცვლება მოხდა ჩრდილოეთით, რიონის აუზში და შესაბამისად აქეთ გადმონაცვლა ბერძნულ მწერლობაში ცნებებმა „კოლხიდა“ და „კოლხები“. აქემენიდურ ხანაში, როდესაც სპარსეთმა დაიპყრო და თავის სატრაპიებში მოაქცია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომებიც, ამ „ახალი კოლხეთის“ ტერიტორია სამხრეთით შემოიფარგლა მდ. ჭოროხ-ფსაროსის შესართავის სექტორით (ფსევდო-სკილაქსი, სტრაბონი და სხვ.), ტრაპეზუნტის მიდამოებში კი დარჩა კოლხთა ტომი, რომელმაც დაკარგა თავისი როლი და მნიშვნელობა, ხშირ შემთხვევაში იფარებოდა სხვა უფრო მსხვილი ტომების სახელით, რის გამოც მისი ხსენება გვხვდება მხოლოდ ისეთ წყაროებში, რომლებიც ტრაპეზუნტის მიდამოთა უშუალო თვითმხილველებს (ქსენოფონტი, არიანე) ეკუთვნით.

ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრა (რედაქციას მოუვიდა 1970 წ. 7 აპრილს)

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ივ. ჯავახიშვილი; ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950.



2. ბ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების სალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963.
3. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.
4. З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, Москва, 1964.
5. ბ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია (წარმოქმნიდან ახ. წ. V ს-ის ბოლომდე), თბილისი, 1968.
6. Г. А. Меликишвили, Наир-Урарту, Тбилиси, 1954.
7. Г. А. Меликишвили, Кулха (Из древней истории Южного Закавказья). «Древний мир», Сборник в честь акад. В. В. Струве, М.-Л., 1962.
8. И. М. Дьяконов, Рецензия на книгу Г. А. Меликишвили «Древневосточные материалы по истории народов Закавказья, т. I, Наир-Урарту», ВДИ, № 2, 1956.
9. Л. А. Липин, Рецензия на книгу Г. А. Меликишвили «Наир-Урарту», «Советское востоковедение», № 3, 1956.
10. А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК, вып. 120, 1935.
11. თ. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტ. 49, 1953.
12. საქართველოს არქეოლოგია, ა. აფაქიძის რედაქციით, თბილისი, 1959.
13. Очерки истории СССР, Первобытно-общинный строй и древнейшие государства на территории СССР, под ред. П. Н. Третьякова и А. Л. Монгайта, М., 1956.
14. М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1956.
15. W. Hamilton, Reisen in Kleinasien. Pontos und Armenien, Leipzig, 1843, 1, Bd..
16. თ. მიქელაძე, ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, საქ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 2, 1960.
17. И. М. Дьяконов, Ассирио-вавилонские источники по истории Урарту, ВДИ, № 3, 1951.
18. Е. И. Крупнов, О походах скифов через Кавказ. «Вопросы скифо-сарматской археологии» (по материалам конф. ИИМК АН СССР, 1952).
19. C. Müllerus, Fragmenta Historicorum Graecorum, vol. II, Parisii, 1879.
20. თ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966.

Н. Ю. ЛОМОУРИ

К ПОНИМАНИЮ ТЕРМИНОВ «КОЛХИДА» И «КОЛХИ»

Резюме

Как известно, в античной (греко-римской) литературе территория Западной Грузии упоминается под названием «Колхида», а здешнее население именуется «колхами». В то же время, специалисты давно обратили внимание на то обстоятельство, что названия «Колхида» и «колхи» в различных источниках употребляются в разных значениях: они имеют то широкое, собирательное, то узко-этническое содержание. В большинстве случаев античные авторы указывают Колхиду (и, соответственно колхов) на восточном побережье Черного моря в бассейне р. Фазис —

Риони, от района Питиунта-Диоскурии до устья р. Чорохи (древний Апсар). Но некоторые источники упоминают колхов и значительно южнее, по соседству с г. Трапезунтом.

Как это видно из сведений Ксенофонта и Флавия Арриана, именно здесь, на юго-восточном побережье Черного моря проживали собственно колхов, т. е. то племя, которое непосредственно носило это наименование. Следовательно, в узко этническом смысле термин «колхи» подразумевает именно это, соседнее с Трапезунтом племя.

Под гегемонией этих колхов в конце II тысячелетия до н. э. образовалось крупное объединение племен, известное в урартских источниках под именем «Кулха». Это объединение с центром в бассейне р. Чорохи первоначально подразумевалось и под греческим термином «Колхида». Надо полагать, что ранние версии мифа об аргонавтах имели в виду также это объединение, а не район Фазиса-Риони, как это засвидетельствовано в классическую эпоху.

В начале I тысячелетия до н. э. «Кулха-Колхида» включала и восточное побережье Черного моря, так что термин «Колхида» получил довольно широкое значение.

В конце VIII в. до н. э. это объединение подверглось нашествию кимерийских племен, от чего особенно пострадали южные области Кулха, т. е. как раз его ведущие районы, его политический и экономический центр. Это вызвало перемещение политического центра этого объединения на север, в бассейн р. Риони. Параллельно происходит и перенесение сюда же и понятий «Колхида» и «колхи». Позднее, когда Ахеменидская Персия захватила южные области Закавказья, в том числе и территорию племен юго-восточного Причерноморья, территория Колхиды оказалась ограниченной с юга сектором устья р. Чорохи (Псевдо-Скилак, Страбон и др.). С этих пор в греческой литературе «Колхидой» стала именоваться территория Западной Грузии, а «колхами» здешнее население, хотя собственно «колхи» остались на юге, в районе Трапезунта. Следовательно, применение терминов «Колхида» и «колхи» к территории и населению Западной Грузии является следствием искусственного переноса сюда этих названий греками в связи с перемещением с юга политических центров колхских (мегрело-чанских) племен.



საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა პარტიულ-საზოგადოებრივ სფეროში და განმეორებისათვის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.)

გივი კვაჭანტირაძე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და მისი განმტკიცებისათვის ბრძოლა ისტორიულად დაემთხვა რუსეთში სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის პერიოდს.

საქართველოში სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა არ ყოფილა გატარებული და, ამდენად, ქართველ კომუნისტებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ რკპ(ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებებითა და ვ. ი. ლენინის მითითებებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მოუხდათ ბრძოლის გაჩაღება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისა და გატარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მენშევიკების მიერ კატასტროფულ მდგომარეობამდე მიყვანილი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, რაც პარტიის, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ძალების უდიდეს დაძაბვას მოითხოვდა.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ სახალხო მეურნეობის წარმატებით აღდგენა შეუძლებელი იყო მასებში მიზანსწრაფული, სისტემატური და ფართო მასშტაბით ჩატარებული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარეშე. პარტიას უნარიანად უნდა გამოეყენებინა იდეოლოგიური მუშაობის ისეთი ძირითადი საშუალება, როგორცაა პრესა, რადგან პრესა ყოველთვის წარმოადგენდა კომუნისტური პარტიის ერთგულ თანამემწეს, მძლავრ და ნაცად იდეოლოგიურ იარაღს სოციალისტური მშენებლობის გამლის საქმეში.

თუ წინათ საქართველოს ბოლშევიკური პრესის ძირითადი ამოცანა იყო მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის დარაზმვა ექსპლოატატორთა ბატონობის დასამსხვრევად, პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგ პარტიული პრესის ფუნქციები არსებითად შეიცვალა და, ამავე დროს, გაფართოვდა კიდევაც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პრესა მოწოდებული იყო, მხარში ამოსდგომოდა კომუნისტურ პარტიას და მშრომელ ხალხს ახალი ცხოვრების ასაშენებლად.

განსაზღვრავდა რა პრესის ხასიათსა და ამოცანებს ახალ პირობებში, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „კაპიტალიზმი გაზეთებს აქცევდა კაპიტალისტურ საწარმოებად, მდიდრების გამოჩინების, მათი ინფორმაციისა და თავის შექცევის იარაღად. ჩვენ დავამსხვრიეთ გამდიდრებისა და მოტყუების იარაღები. ჩვენ დავიწყეთ გაზეთის გადაქცევა იმის იარაღად, რომ გავანათლოთ მასები და ვასწავ-



ლოთ მათ ცხოვრება და თავიანთი მეურნეობის შენება უმემამულეებზე და უკაპიტალისტებზე“ ([1], 150—151).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში პარტიულ-საბჭოთა პრესა ვერ იდგა მოწოდების სიმადლეზე. პრესის სუსტი მუშაობა გაპირობებული იყო ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით.

რესპუბლიკის ეკონომიური სიძნელეები ხელს უშლიდა პრესის მუშაობას. მენშევიკების მიერ დაუძღვრებული საქართველო, სადაც თითქმის მთლიანად მოშლილი იყო მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების — საგაზეთო ქაღალდისა და სუბსიდიის, მოწყობილი სტამბებისა და ხარისხიანი შრიფტის უკმარობა გავლენას ახდენდა პრესის გარეგან სახეზე. არადაამყამაყოფილებელი იყო ბეჭდვითი ნაწარმოებების ვაგრცელება, რაც, ერთი მხრივ, ფოსტა-ტელეგრაფისა და ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის მოუგვარებელი მუშაობის, ხოლო, მეორე მხრივ, მოუწესრიგებელი გზებისა და მიმოსვლის საშუალებათა შედეგი იყო.

მეფის რუსეთის პოლიციურ-ქანდაკული რეჟიმის პირობებში, ხოლო შემდეგ მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველოს მოსახლეობის სწავლავანათლების საქმეს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამის შედეგი იყო, რომ სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველ წლებში საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პრესას არ ჰყავდა არა მხოლოდ კომუნისტ-ყურნალისტების, არამედ, საერთოდ, საგაზეთო მუშაკების საკმარისი კადრი, რის შედეგადაც მოიკოჭლებდა პრესის იდეური მხარე. პრესას არ ჰყავდა კორესპონდენტთა საკმარისი რაოდენობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მის მუშაობაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობას პარტიულ-საბჭოთა პრესისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ისიც ართულებდა, რომ საქართველო მრავალეროვანი იყო. იგი კომპაქტურად იყო დასახლებული სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებლებით.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, როდესაც ქართული და რუსული ენების მცოდნე საგაზეთო საქმის სპეციალისტების მწვავე უკმარობა იგრძნობოდა, ეროვნულ უმცირესობათა ენებზე მომზადებული კომუნისტ-ყურნალისტების გამოჩნება და პრესის მუშაობაში მათი ჩაბმა არცთუ იოლი საქმე იყო. სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ეროვნულ უმცირესობათა პრესის სათანადო შრიფტითა და ტექნიკური აღჭურვილობით მომარაგება. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის შედეგად სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, გარდა ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული ყურნალ-გაზეთებისა, რესპუბლიკაში გამოდიოდა გაზეთები: აფხაზურ ენაზე — „აფსნი კაპშ“ („წითელი აფხაზეთი“), ოსურ ენაზე — „ხურზარინ“ („სინათლის სხივი“), სომხურ ენაზე — „კარმირ ასტლ“ („წითელი ვარსკვლავი“), თურქულ ენაზე — „იენი ფიქირ“ („ახალი აზრი“) და „იენი ჰაიათ“ („ახალი ცხოვრება“), ბერძნულ ენაზე — „კომუნისტი“, გერმანულ ენაზე — „ლანდ არბაიტ“ („მიწის მუშა“).

ამავე დროს, რესპუბლიკის პრესის სუსტი მუშაობა გაპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ თითქმის სრულიად არ იყვნენ აღრიცხულნი და მუშაობაში ჩაბმულნი ყურნალისტები და კორესპონდენტები.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას მოუხდა მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელება პრესის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამ რთული და საბასუხისმგებლო საქმის განხორციელებისას საქართველოს კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებებით ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა პრესის ამოცანების შესახებ, რკპ(ბ) ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებისა და საქართველოს კპ(ბ) ყრილობებისა და კონფერენციების გადაწყვეტილებებით, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებებითა და ცირკულარებით. პრესაზე მუდმივ ხელმძღვანელობას საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ახორციელებდა აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების საშუალებით, რომელიც 1921 წლის 1 აპრილს ჩამოყალიბდა.

აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება ხელმძღვანელობდა სააგიტაციო და საპროპაგანდო მუშაობას მთელ რუსუბლიკაში. იგი იყოფოდა პროპაგანდის, აგიტაციის, ქალთა შორის მუშაობის, საგამომცემლო-ლიტერატურულ და ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილებებად. მათგან პრესის ხელმძღვანელობა ევალებოდა საგამომცემლო-ლიტერატურულ ქვეგანყოფილებას. საგამომცემლო მუშაობას ეროვნულ უმცირესობათა შორის ხელმძღვანელობდა ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილება.

საგამომცემლო-ლიტერატურულმა ქვეგანყოფილებამ გარკვეული როლი შეასრულა საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პრესის ჩამოყალიბების პროცესში.

1922 წლის აპრილში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებასთან შეიქმნა ბეჭდვითი სიტყვის ქვეგანყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობდა და წარმართავდა როგორც ცენტრალურ, ისე საოლქო და სამაზრო პრესის მუშაობას.

პარტიულ-საბჭოთა პრესის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მენშევიკური და სხვა ბურჟუაზიული გაზეთების ლიკვიდაციას.

1921 წლის 11 აპრილს საქართველოს რევკომმა გაზეთების გამოცემის შესახებ ზოგადი გადაწყვეტილება მიიღო: საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ პარტიებსა და ჯგუფებს პერიოდული ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის უფლება მიეცათ ([3], ფ. 34).

ამავე დროს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და რევოლუციურმა კომიტეტმა აკრძალეს მენშევიკური და სხვა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული გაზეთების გამოცემა.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, განიხილა რა საკითხი მენშევიკური გაზეთის გამოცემის ნებართვის შესახებ, დაადგინა: რაკი მენშევიკების 1921 წლის 10 აპრილის კრებაზე მიღებული რეზოლუცია საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულ განწყობილებებზე იყო დამყარებული, ამის გამო გაზეთის გამოცემა არ ყოფილიყო ნებადართული ([3] ფ. 40). ამის შემდეგ მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელებმა გაზეთის გამოცემისა და კრებების მოწყობის ნებართვა სთხოვეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 16 მაისის პლენუმმა უარყო მენშევიკების ეს მოთხოვნა ([4], ფ. 22). ასევე უარყოფილ იქნა საქართველოს რევკომის მიერ 1921



წლის 3 მაისს დაშნაკციუტუნის პარტიის შუამდგომლობა გაზეთ „აშნაკციუტუნის“ გამოცემის თაობაზე ([3], ფ. 61).

რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური კომიტეტის მიერ ნებადართული, საბჭოთა ხელისუფლებისადმი თითქოს ლოიალურად განწყობილი ზოგიერთი გაზეთი თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ახერხებდა შენიღბვას, საბჭოთა ხელისუფლებისადმი თავიანთი მტრული დამოკიდებულების დაფარვას, შემდეგ კი ძალაუვნებურად ავლენდა თავის ნამდვილ სახეს. მაგალითად, გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ 1921 წლის 24 ივლისს პროვოკაციული სტატიით გამოვიდა საბჭოთა აფხაზეთის საბჭოთა საქართველოსთან დამოკიდებულების შესახებ. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აშკარა პროვოკაციული პოლიტიკა. საქართველოს კ(ბ) თბილისის კომიტეტის ბიურომ 1921 წლის 25 ივლისს იმსჯელა ამ საკითხზე და თხოვნით მიმართა ცენტრალურ კომიტეტს — დაეხურა გაზეთი, როგორც ანტისაბჭოთა პლატფორმაზე მდგომი ორგანო და შეეწყვიტა მისთვის ყოველგვარი სუბსიდიის მიცემა ([5], ფ. 49). 1921 წლის აგვისტოდან შეწყდა გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი“ გამოცემა. იგი შეცვალა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ყოველდღიურმა გაზეთმა „ტრიბუნამ“, რომელიც 1923 წლის ბოლომდე გამოდიოდა.

გარდა სხვა პარტიების პერიოდული პრესისა, ანტისაბჭოთა პლატფორმაზე დადგა ზოგიერთი საბჭოთა გაზეთი და ჟურნალი. ასეთები იყო, მაგალითად, საქართველოს მწერალთა კავშირის ზოგიერთი არაჯანსაღი განწყობილების ლიტერატურული ორგანო. ისინი საბოტაჟს უწყევდნენ რუსული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეს, უგულვებელყოფდნენ საბჭოთა მწერლობას და ორიენტაცია ჰქონდათ ადებულებული ევროპულ ლიტერატურაზე.

საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ავითაცია-პროპაგანდის განყოფილების ბეჭდვითი სიტყვის ქვეგანყოფილებამ დროულად მიაქცია ყურადღება მწერალთა კავშირის ამ ორგანოების აშკარა მტრულ გამოსვლებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე მოაწყო ლიტერატურული ლაშქრობა ამ პერიოდული ორგანოების გარშემო შემოკრებულ ანტისაბჭოთა პარტიის წარმომადგენელთაგან შემდგარი პოლიტიკური კავშირის წინააღმდეგ. ჟურნალი „კავკასიონი“ და გაზეთი „ქართული სიტყვა“ დაიხურა ([6], ფ. 4).

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ 1923 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი „ლომისი“ და საქართველოს ახალი მწერლობის საბჭოს სალიტერატურო გაზეთი „პოეზიის დღე“. 1923 წლის 15 მაისს საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა ამ გაზეთების ანტისაბჭოთა მოქმედება, დაადგინა — დახურულიყო გაზეთი „ლომისი“ და მიიღო კონკრეტული ღონისძიებები რესპუბლიკის გამოცემებზე მკაცრი თვალყურის საწარმოებლად.

ამასთანავე, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის გასაშლელად აუცილებელი იყო რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა პრესის სათანადო დონეზე დაყენება, მისი გაუმჯობესება და განმტკიცება. პრესას უნდა გამოეხატა ფართო მშრომელი მასის ინტერესები, ხასიათი და იმედები. იგი უნდა ყოფილიყო ავი-

ტატორი, პროპაგანდისტი და მასების ორგანიზატორი სოციალიზმის საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, პარტიას უნდა განეხორციელებინა ღონისძიებები პრესის იდეური მხარის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა რუსეთის პერიოდული პრესის არსებითი ნაკლოვანებები მკვეთრად გამოაშკარავებულ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ თავის სტატიებსა და გამოსვლებში. იგივე ნაკლოვანებები დამახასიათებელი იყო საქართველოს უმეტესი ცენტრალური და ადგილობრივი გამოცემებისთვისაც.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა საბჭოთა რუსეთის პერიოდული პრესის შემდგომ ნაკლოვან მხარეებზე: „ნაკლები პოლიტიკური რახარუხი, ნაკლები ზოგადი მსჯელობა და აბსტრაქტული ლოზუნგები... მეტი საწარმოო პროპაგანდა, ყველაზე მეტად კი — პრაქტიკული გამოცდილების საქმიანი, უნარიანი, მასის განვითარების დონესთან შეგუებული გათვალისწინება“ ([1], 151).

პრესის შინაარსის გაუმჯობესებისა და მისი მუშაობის ნაკლოვანი მხარეების გამოსასწორებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1923 წლის 18 სექტემბრიდან გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გაშალა დისკუსია, რომლის მიზანი იყო რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა პრესის მუშაობის ყველა დეფექტის გამოვლინება და მათი აღმოფხვრის გზების ჩვენება. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გაზეთებმა „რაბოჩაია პრავდა“, „მუშამ“, „ბრძოლამ“ და „სპარტაკამ“.

გამოვლინდა რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა პრესის მუშაობის მთელი რიგი ნაკლოვანი მხარეები და წამოყენებულ იქნა კონკრეტული წინადადებები მათ აღმოსაფხვრელად.

ჩატარებული დისკუსიის შედეგად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამუშავა და პარტორგანიზაციებსა და ყველა გაზეთის რედაქციებს დაუგზავნა ორი ცირკულარი: ერთი — სპეციალურად საოლქო და სამაზრო გაზეთებისათვის, მეორე კი — საერთოდ პარტიული და საბჭოთა პრესის მუშაობის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, თელავის, ბათუმისა და სოხუმის გაზეთებს გაეგზავნათ საინსტრუქციო წერილები ([7], ფ. 32, ფ. 154, ფ. 407).

კომკავშირული პრესის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით 1923 წლის დეკემბერში გაზეთ „სპარტაკის“ ფურცლებზე გაიშალა მწვავე დისკუსია.

დისკუსიამ გამოავლინა კომკავშირული პრესის მუშაობის ნაკლოვანი მხარეები. გაზეთში იშვიათად თავსდებოდა წერილები კომკავშირის მუშაობის შესახებ ეკონომიურ სფეროში, ადგილობრივ გამოცდილებათა შესახებ სასოფლო-სამეურნეო დარგში, ძუნწად იბეჭდებოდა ცნობები აფხაზეთის, სვანეთის, ქუთაისის ცხოვრებიდან. გამოითქვა სურვილი, რომ გაზეთს შემოეღო ვ. ი. ლენინისა და ანტირელიგიური კუთხეები, გაეხსნა ტრანსპორტის განყოფილება, განეხორციელებინა ღონისძიებები ხელისმომწერთა გაზრდისათვის და გაზეთის გავრცელების სისტემის მოსაგვარებლად [8].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ იცემოდა ისეთი ყურნალ-გაზეთები, რომლებიც არ ამართლებდნენ თავის დანიშნულებას არც პოლიტიკური და არც სამეურნეო თვალსაზრისით. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1923 წლის 26 ოქტომბერს დაადგინა, რომ დახურულიყო



საქართველოს

10 ყურნალი (უმთავრესად საუწყებო) და 8 გაზეთი. შეიცვალა გაზეთისა და ყურნალის გამოცემის სახე და პერიოდულობა. გადაწყდა, რომ გაზეთი „მიწის მუშა“ გამოცემულიყო კვირაში ორჯერ ყურნალის სახით, გაზეთი „ტრუდოვოი ბატუმი“ კი—კვირაში ორჯერ ([9], ფ. 195).

საქართველოს კომუნისტური პარტიის აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო დანარჩენი ყურნალ-გაზეთების შინაარსის გაუმჯობესებას და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის შედეგად საკუთარი შემოსავლით ხარჯების დაფარვას.

პრესის მნიშვნელობის ამაღლებისა და მისი შინაარსის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი იყო, დიდი ყურადღებითა და გულმოდგინებით შერჩეულიყვნენ გამოცდილი ყურნალისტები, საჭირო იყო ყურნალისტთა ახალი კადრების სისტემატური მომზადება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე 1922 წლის თებერვალს ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა საგამომცემლო საქმის ჩამორჩენილობას, იმ გარემოებას, რომ პარტიას არ შეეძლო საგამომცემლო საქმის გაშლა სათანადოდ მომზადებული ამხანაგების გარეშე, რომ ჩვენს პრესაში იგრძნობოდა ცენტრალური კომიტეტის საგამომცემლო განყოფილების სისუსტე, რაკი მას არ შეეძლო ჯერჯერობით განეხორციელებინა ის ამოცანები, რომლებიც იდგა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინაშე ([10], ფ. 18).

პრესის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გზაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ნაბიჯი იყო ზრუნვა ყურნალისტ-კომუნისტების ზუსტი აღრიცხვისათვის ([11], ფ. 143).

1921 წლის დეკემბერსა და 1922 წლის იანვარში საქართველოს კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა კომუნისტ-ყურნალისტების სრული აღრიცხვა, რამაც გამოავლინა რესპუბლიკაში მცხოვრები კომუნისტ-ყურნალისტები. ზოგი მათგანი მუშაობდა ბეჭდვითს ორგანოებში, ზოგი კი სხვადასხვა პარტიულ და სამეურნეო სამუშაოსთან ყურნალისტურ საქმიანობას ვეღარ ათავსებდა.

ყურნალისტ-კომუნისტების აღრიცხვამ ნათელყო, რომ იმ დროისათვის მათი რაოდენობა საკმარისი არ იყო პრესის მუშაობის გასაუმჯობესებლად, მისი ავტორიტეტის ასამაღლებლად. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა, პრესის მუშაობაში ჩაება ძველი ყურნალისტები და ახალი კადრები გაეზარდა უპირატესად მუშათა და გლეხთა წრიდან ([12], ფ. 57).

1921 წ. 8 ივლისს საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალდებულა სახალხო კომისრები — რეგულარულად მოეთავსებინათ პრესაში სახელმძღვანელო სტატიები კომისარიატების მუშაობასთან დაკავშირებით ([4], ფ. 36).

ამ დადგენილებას ორგვარი დადებითი შედეგის მოცემა შეეძლო. ჯერ ერთი, სახკომები შეუწყობდნენ ხელს პრესის შინაარსის გაუმჯობესებას. მეორეც, თითოეული სახალხო კომისარიატის მუშაობის მიმოხილვა, იმის ჩვენება, თუ რა სარგებლობა მოუტანა თითოეულმა მათგანმა რესპუბლიკის აღორძინებისა და წინსვლის საქმეს, თვალნათლივ ნათელყოფდა საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვას მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის.

ყურნალისტთა კადრების გაზრდას საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ

იმთავითვე მიაქცია ყურადღება. კვალიფიციური ჟურნალისტების აღზრდად მომზადების მიზნით 1921 წელს თბილისში საქართველო-კავკასია-რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსთან („გრუკავროსტა“) გაიხსნა ჟურნალისტიკის კურსები 50 კაცისათვის. სწავლა მიმდინარეობდა ქართულ და რუსულ განყოფილებებზე. მსმენელებს ეკითხებოდათ როგორც საერთო, ისე სპეციალური საგაზეთო-ტექნიკური კურსის თეორიული საგნები და უტარდებოდათ პრაქტიკული მეცადინეობები ([13], ფ. 70).

საქართველოს კომუნისტური პარტია განუხრელად ზრუნავდა პროფტექნიკური განათლების განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა, კერძოდ, სასტამბო საქმის სპეციალისტების, კორექტორების, ასოთამწყოების, ქაღალდის დამწყოების, სასტამბო საქმის აქციდენტური სამუშაოების მუშაკთა მომზადებას; საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა მათ ნაკლებობას მწვავედ განიცდიდა.

თბილისში სხვადასხვა დროს არსებობდა კორექტორთა და ასოთამწყოთა მოსამზადებელი კურსები ([14], ფ. 42, ფ. 17) და ქართული სტენოგრაფიის შემსწავლელი კურსები [15].

ცხადია, მოკლევადიან კურსებზე შეუძლებელი იყო პოლიგრაფიული წარმოების კვალიფიციური მუშაკების მომზადება. დღის წესრიგში დადგა პოლიგრაფიული სკოლების გახსნის აუცილებლობა. 1923 წლის 20 ნოემბერს პოლიგრაფიულ წარმოებასთან გაიხსნა კიდევაც ვ. ბოლქვაძის სახელობის პოლიგრაფიული სკოლა, სადაც სწავლება 4-წლიანი სასწავლო გეგმით ტარდებოდა. 1927 წელს პოლიგრაფიულმა სკოლამ პირველი ნაკადი გამოიშვა. სკოლა დაამთავრა 18 მოწაფემ, მათგან — 12 ასოთამწობმა, 4 მბეჭდავმა და 2 მკინდავმა.

პრესის მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭირო იყო მტკიცე პოლიგრაფიული ბაზის შექმნა და გაზეთის ქაღალდით რედაქციების მომარაგება. უამისოდ ფიქრიც კი არ შეიძლებოდა ხელისმომწერთა რიცხვისა და გაზეთების ტირაჟის რაოდენობის გაზრდაზე.

თავიდანვე გადამჭრელი ზომები იქნა მიღებული ქაღალდის მიზანშეწონილად და ეკონომიურად ხარჯვის მოსაგვარებლად ([13], ფ. 7), კერძომფლობელთა მიერ საწყობებში და სარდაფებში გადაძალადული ქაღალდის მარაგის ამოსაღებად ([16], ფ. 3) და სხვა.

1921 წლის 4 ივნისს, საქართველოს სსრ რევკომის დადგენილებით, დაარსდა ქაღალდის აღრიცხვისა და განაწილების მთავარი სამმართველო, რომელსაც სათავეში ს. თოდრია ჩაუდგა. რესპუბლიკის ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას წინადადება ეძლეოდა, დაუყოვნებლივ ჩაეხარებინათ სამმართველოსათვის მათ განკარგულებაში არსებული ქაღალდის მთელი რაოდენობა. დადგენილების დამრღვევნი სასტიკ პასუხისგებაში ეძლეოდნენ, თანახმად რევოლუციური დროის კანონებისა [17].

მტკიცე პოლიგრაფიული ბაზის შესაქმნელად აუცილებელი იყო პოლიგრაფიული წარმოების აღდგენა, მოძველებული და უვარგისი სასტამბო ტექნიკის შეცვლა ახალი მანქანა-დანადგარებით და მოწყობილი სტამბების რედაქციებისათვის გადაცემა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1921 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით, შეიქმნა პოლიგრაფიული განყოფი-



ლება, რომელსაც პოლიგრაფიული საწარმოების ხელმძღვანელობა პატრონობა დაევალა.

პოლიგრაფიულ განყოფილებაში თავდაპირველად გაერთიანდა 31 პოლიგრაფიული საწარმო, მათ შორის — 26 სტამბა, 1 ასოთხამომსხმელი სახელოსნო და 4 ლითოგრაფია, მაგრამ მანქანა-დანადგარებისა და სტამბის შენობების უვარგისობის გამო 1921 წლის ბოლოს მუშაობა დაიწყო მხოლოდ 8 სტამბამ, 1 ასოთხამომსხმელმა სახელოსნომ და 2 ლითოგრაფიამ.

საქართველოს რევკომმა 1921 წლის 30 მარტის დეკრეტით, მოახდინა 3 კერძო სტამბა-ლითოგრაფიის ნაციონალიზაცია ([18], ფ. 4), ხოლო 5 ივლისის დეკრეტით, დანარჩენი სტამბების, ასოთხამომსხმელი სახელოსნოებისა და ლითოგრაფიების ნაციონალიზაცია ([18], ფ. 49).

1922 წლის 24 დეკემბერს თბილისში გაიხსნა იმდროინდელი პირობებისათვის სანიმუშო პირველი სტამბა; ერთ მსხვილ საწარმოში რამდენიმე სტამბა გაერთიანდა. 1924 წლის ბოლოს სტამბები რედაქციებს გადაეცათ, რამაც განამტკიცა პრესის მატერიალური ბაზა, განაპირობა მისი გაიაფება და საკუთარი ხარჯების დაფარვაზე გადასვლა.

გაზეთების გაიაფებისა და ბეჭდვის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ვადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ტექნიკურად გაუმჯობესებულ სასტამბო მანქანებს. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საქმის მოსაგვარებლად გამოყო სათანადო კომისია ([19], ფ. 84). 1925 წლის ოქტომბერში გერმანიიდან მიიღეს 2 როტაციული და 7 ასოთსაწყობი მანქანა, რამაც დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, პირველად ქართველი ერის ისტორიაში, ქართული სასტამბო შრიფტის გაუმჯობესება სახელმწიფოს მზრუნველობის საგნად იქცა. სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის დახმარებით პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა მრავალი ღირსების მატარებელი და დიდი განვითარების შესაძლებლობის მქონე ქართული შრიფტისათვის უფრო მეტი მკაფიობის, სილამაზის, სიმარტივისა და ეკონომიურობის მიზნით.

პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევდა პრესის მატერიალური მხარის განმტკიცებას. აგტაცია-პროპაგანდის განყოფილებას შედგენილი ჰქონდა პრესის სახელმწიფო სუბსიდიის ხარჯთაღრიცხვა ([20], ფ. 93), მაგრამ გამოყოფილი სუბსიდია გაზეთებს არ ჰყოფნიდა. საჭირო იყო პრესისათვის დოტაციის გამოსაძებნად გზებისა და საშუალებების ძიება. ასეთი საშუალება იყო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებზე სუბსიდიების დაკისრება ([21], ფ. 58, ფ. 277, ფ. 219, ფ. 59), განცხადებებისა და რეკლამებისაგან მიღებული შემოსავალი, აგრეთვე პრესის სამეურნეო გაერთიანება, რაც უზრუნველყოფდა გაბნეული საგამომცემლო და გამავრცელებელი აპარატებისა და ფულადი სახსრების კონცენტრირებას ([4], ფ. 83).

1922 წლის 1 იანვრიდან რესპუბლიკის პრესა სამეურნეო ანგარიშზე იქნა გადაყვანილი. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ ახალი ამოცანები დააყენა რეს-

პუბლიკის პრესის წინაშე. თუ მანამდე მკითხველებს გაზეთები უფასოდ უფრთხვოდებოდათ და რედაქციების უმეტესობა დაინტერესებულიც არ იყო გაზეთების კითხვადობით, არ ჰქონდათ შესწავლილი მკითხველთა ინტერესები და სურვილები, ამიერიდან პრესას ძირფესვიანად უნდა გარდაექმნა თავისი მუშაობა. გაზეთის საკუთარი მკითხველი უნდა მოენახა და თავის გარშემო შემოეკრიბა. საქართველოს კომპარტია ყოველნაირად ეხმარებოდა რედაქციებს, რათა გაზრდილიყო პერიოდულ პრესაზე ხელისმომწერთა რიცხვი და გაუმჯობესებულიყო გამავრცელებელი აპარატის მუშაობა.

ვ. ი. ლენინი კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად გაზეთებისა და პროპაგანდისტული ბროშურების სწორად განწილებასა და ხალხამდე მიღწევას თვლიდა ([22], ფ. 68).

დიდი ყურადღება უნდა დასთმობოდა პრესის გავრცელების იმ ხერხების გამონახვას, რომელთა მეშვეობით თითოეული წიგნის, ბროშურის თუ გაზეთის წაკითხვას მკითხველთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა მოახერხებდა ([23], ფ. 316) და ბეჭდურ გამოცემათა კითხვადობა გადიდებოდა. ეს ნიშნავდა ტირაჟის გადიდებას ([23], ფ. 317).

ერთ-ერთ ასეთ ხერხად და საშუალებად მიჩნეული იყო ქოხ-სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებში გაზეთებისა და ჟურნალების ხმამაღალი, ჯგუფური კითხვის მოწყობა და ზრუნვა რესპუბლიკის ქალაქებსა და თემებში ქოხ-სამკითხველოების გახსნისა და მათი ლიტერატურითა და პერიოდული გამოცემებით მომარაგებისათვის ([24], ფ. 3, ფ. 15).

სათემო ქოხ-სამკითხველო გადაიქცა პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის ცენტრად. იგი კლუბებისა და სახალხო სახლების მუშაობასაც ხელმძღვანელობდა. სათემო ქოხ-სამკითხველოების გარდა, 1923—24 წლებში რესპუბლიკის სარაიონო ცენტრებში დაარსდა 60 სანიმუშო ქოხ-სამკითხველო.

სოფლად ბეჭდურ ნაწარმოებებზე ხელისმომწერის ცხოვრებაში გატარება პარტიამ განათლების სახალხო კომისარიატს, კოოპერაციისა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს დაავალა. სკოლებთან, ქოხ-სამკითხველოებთან, კოოპერატიულ მაღაზიებთან და საფოსტო განყოფილებებთან ეწყობოდა პერიოდულ გამოცემებზე ხელისმომწერა და ხდებოდა მათი გავრცელება [25], ფ. 27).

საქართველოს კომუნისტური პარტია რეგულარულად იხილავდა პრესაზე ხელისმომწერისა და გავრცელების საკითხებს, აქვეყნებდა შესაბამის ცირკულარებს, რომლებშიც სახავდა კონკრეტულ ღონისძიებებს ამ საქმის მოსაგვარებლად ([26], ფ. 74, ფ. 98, ფ. 571, ფფ. 49, 50, 66, 79), პრესის გამავრცელებელი აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად, პრესის გადაზავნისათვის შეღავათიანი პირობების დასაწესებლად ([27], ფ. 32), აწყობდა საგანგებო კვირეულებს, საუკეთესო გამავრცელებელთა კონკურსებს და სხვ.

გაზეთი რომ შინაარსობრივად საინტერესო ყოფილიყო და ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების სწორი სურათი დაეხატა, მას თავის გარშემო უნდა შემოეკრიბა კორესპონდენტთა ფართო ქსელი.

კორესპონდენტი კომუნისტურ პარტიასთან, პარტიულ და საბჭოთა პრესასთან მშრომელი მასის დამაკავშირებელი რგოლი იყო. მასებთან მჭიდრო კავშირი პარტიასა და რედაქციებს საშუალებას აძლევდა სცოდნოდათ, თუ „როგორ



ესმით პრაქტიკოსებს ესა თუ ის დებულება, როგორ ახორციელებენ პრაქტიკაში ამ თუ იმ შეხედულებას... ითვისებენ თუ არა მის ქადაგებას, ენმარებიან თუ არა მას, ცხოვრება როგორ უცვლის მას სახეს, რა შესწორებები, რა დამატებებია საჭირო“ ([28], ფ. 386).

ი. ბ. სტალინმა მუშაოფლკორებს ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის ნაკლოვანებათა მამხილებელნი, ამ ნაკლოვანებათა მოსპობისათვის მებრძოლნი, პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის მეთაურნი უწოდა ([29], ფ. 6).

მუშკორთა მოძრაობა საქართველოში მასობრივ ხასიათს იღებს 1923 წლის მეორე ნახევრიდან, ხოლო სოფლკორთა მოძრაობა — 1924 წლის ბოლოდან. მუშაოფლკორთა მოძრაობის მასობრივ მოძრაობად გადაზრდამ კომუნისტური პარტიის წინაშე ამ მოძრაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაწევის, მისი სწორი მიმართულებით წარმართვის ამოცანა დააყენა.

კორესპონდენტთა ქსელის გაფართოებისათვის სხვადასხვა მეთოდი იყო გამოყენებული. ადგილობრივი გაზეთების რედაქციების დასახმარებლად ოლქებსა და მაზრებში იგზავნებოდნენ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორები და საგაზეთო საქმის სპეციალისტები, ტარდებოდა პრესის ორკვირეული. პერიოდული პრესის მკითხველებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას დიდად შეუწყობდა რკპ(ბ) XI ყრილობის გადაწყვეტილების შედეგად ჩატარებულმა ბეჭდვითი სიტყვის დღის კამპანიების ჩატარებამ.

მუშაოფლკორთა მოძრაობისადმი საქართველოს კომუნისტური პარტიის მზრუნველობასა და ხელმძღვანელობას მოჰყვა მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რიცხვის შესამჩნევი ზრდა. 1925 წლის 1 მარტისათვის რესპუბლიკაში 1932 კორესპონდენტი ითვლებოდა, მათ შორის 905 მუშკორი, 977 სოფლკორი, 50 სამხკორი (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ციფრები სიზუსტეს მოკლებულია, რადგან კორესპონდენტთა ზუსტი აღრიცხვა გაძნელებული იყო).

საქართველოს კომპარტია დიდი ყურადღებით ეკიდებოდა პარტიული და საბჭოთა პრესის იდეურ სიწმინდეს, პერიოდული პრესის საერთო პარტიული ხაზის დაცვას.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ განაპირობა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთგვარი გააქტიურება. მუშათა კლასი გარშემორტყმული იყო წვრილბურჟუაზიულ-მეშჩანური სტიქიით, რომელიც მას იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ გარდაქმნას უპირებდა. ის ლამობდა, რომ სულიერად, იდეურად დაეპყრო მშრომელი მასა, მოეწამლა მისი შეგნება, თავს მოეხვია მანვე შეხედულებები, ჩაენერგა მისთვის საბჭოთა ხელისუფლების მოსპობისა და ძველი ბურჟუაზიული ურთიერთობის აღდგენის გარდუვალობის რწმენა.

პროლეტარიატს ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის უნდა დაეპირისპირებინა თავისი გამოკვეთილი კლასობრივი იდეოლოგია, გამოეაშკარავებინა მისი რეაქციული, ანტისაბჭოთა ბუნება და დაუნდობელი ბრძოლით გაენადგურებინა. ამისათვის კი აუცილებელი იყო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითად გამოყენება.

ბურჟუაზიული სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის განადგურების საქმეში გადაწყვეტი როლის შესრულება შეეძლო რესპუბლიკის პარტიულ პრესას, რადგან პრესა ყველაზე ტიპური იდეოლოგიური ორგანო იყო.

საქართველოს პარტიულმა პრესამ შეძლო ამ რთული საქმის შესრულება. მან ბურჟუაზიის გავლენის სფეროდან გამოიყვანა მშრომელი მასები, წმინდად დაიცვა მარქსისტულ-ლენინური თეორია და პარტიული ერთიანობა, აღზარდა პარტიის წევრები, მშრომელთა ფართო მასები კომუნისზმის სულისკვეთებით. საქართველოს კომუნისტურ პარტიას მუდმივი კონტროლისა და საერთო პარტიული ხელმძღვანელობის ქვეშ ჰყავდა პრესა. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა პრესის ღირსებად უნდა ჩაითვალოს პარტიის იდეოლოგიური კურსის სწორად გატარება, მაგრამ, თუ რომელიმე გაზეთი იშვიათად სწორი პარტიული ხაზიდან გადაუხვევდა, ეს გარემოება პარტიის პრინციპული მსჯელობის საგანი ხდებოდა ([4], ფ. 73).

პარტიულ-საბჭოთა პრესის ფურცლებზე სოციალისტური იდეოლოგიისათვის შეუფერებელი მასალების თავიდან ასაცილებლად და, საერთოდ, პერიოდული პრესის იდეური სიწმინდის დასაცავად 1923 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსდა „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მმართველობა“.

იმისათვის, რომ პრესას აქტიური მონაწილეობა მიეღო ადგილობრივ ცხოვრებაში, მჭიდრო კავშირი დაემყარებინა მშრომელებთან, ფართოდ და ყოველმხრივ გაეშუქებინა ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის საკითხები; რომ იგი კონკრეტულად შეფარდებოდა მკითხველთა სხვადასხვა კატეგორიის პოლიტიკური და საერთო განვითარების დონეს, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ აუცილებლად მიიჩნია პრესის დიფერენციაცია და მკითხველთა თითოეული ძირითადი ფენისათვის გაზეთის განსაკუთრებული ტიპის გამოყოფა.

ხელმძღვანელი პარტიული პერიოდული პრესის გარდა, რომელიც მეტნაკლებად მომზადებული მკითხველისათვის იყო გათვალისწინებული, დაარსდა მუშათა გაზეთები — „მუშა“ და „რაბოჩაია პრავდა“, გლეხთა გაზეთები — „მიწის მუშა“ და „ახალი სოფელი“, ყურნალი „ახალი სოფელი“, აგრეთვე მუშა და გლეხ ქალთა, წითელარმიული, ახალგაზრდული, მოსწავლეთა, პიონერული, საბავშვო და სხვა პერიოდული გამოცემები.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდის დასასრულისათვის რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა პრესის მშენებლობისა და მისი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული. უდავოა, რომ პრესის ამ წარმატებებში გარკვეული გავლენა იქონია მშვიდობიანმა მშენებლობამ ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის, მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლებამ და პროგრესული და კულტურული ძალების აქტიურმა მონაწილეობამ საბჭოთა აღმშენებლობაში.

საქართველოს კომპარტიამ სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში უდიდესი მუშაობა გასწია პარტიული და საბჭოთა პრესის მშენებლობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში. პარტია იდეურად ხელმძღვანელობდა პრესას, სწორ მიმართულებას აძლევდა მის ყოველდღიურ მუშაობას. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა პრესა გადაიქცა მძლავრ იარაღად სოციალისტური მშენებლობის სფეროში.



1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32.
2. Всесоюзная перепись населения 17 декабря 1926 г. Краткие сводки, вып. IV, М., 1928.
3. საქ. სსრ ცსა, ფ. 300, აღწ. 1, ს. 2.
4. მლისფა, ფ. 14, ს. 2.
5. მლისფა, ფ. 17, ს. 4.
6. მლისფა, ფ. 14, ს. 1054
7. მლისფა, ფ. 14, ს. 866, ს. 906, ს. 581
8. „სპარტაკი“, 1923 წ. 23 დეკემბერი, 1924 წ. 1, 15, 22 იანვარი, ვ. 10 თებერვალი, 2 მარტი.
9. მლისფა, ფ. 14, ს. 532.
10. Материалы 1-го съезда Компартии Грузии, Тифлис, 1923.
11. მლისფა, ფ. 14, ს. 8.
12. მლისფა, ფ. 14, ს. 471
13. მლისფა, ფ. 14, ს. 140
14. საქ. სსრ ცსა, ფ. 300, ს. 11, ფ. 300, აღწ. 2, ს. 16
15. „კომუნისტი“, 1923 წ. 12 სექტემბერი.
16. საქ. სსრ ცსა, ფ. 281, ს. 14.
17. „კომუნისტი“, 1921 წ. 8 ივნისი.
18. საქ. სსრ ცსა, ფ. 303, ს. 1.
19. მლისფა, ფ. 14, ს. 1368 ა.
20. მლისფა, ფ. 14, ს. 906.
21. მლისფა, ფ. 14, ს. 983, ს. 1303, ს. 532, ს. 7.
22. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33.
23. „პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“.
24. მლისფა, ფ. 14, ს. 21
25. მლისფა, ფ. 14, ს. 1370
26. მლისფა, ფ. 14, ს. 448, ს. 1369, 1370.
27. მლისფა, ფ. 14, ს. 327
28. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 34.
29. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6.

Г. А. КВАЧАНТИРАДЗЕ

**БОРЬБА КОММУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ ГРУЗИИ ЗА СОЗДАНИЕ И
УКРЕПЛЕНИЕ ПАРТИЙНО-СОВЕТСКОЙ ПРЕССЫ В ВОССТАНОВИТЕЛЬНЫЙ
ПЕРИОД НАРОДНОГО ХОЗЯЙСТВА (1921—1925 ГОДЫ)**

Резюме

Трудящимся Грузии под руководством Коммунистической партии со дня установления Советской власти пришлось развернуть борьбу за проведение в жизнь новой экономической политики и, в первую очередь, за восстановление народного хозяйства.

В. И. Ленин неоднократно указывал, что успех в деле восстановления народного хозяйства немислим без планомерной систематической идейно-воспитательной работы среди широких масс.

Партийно-советская пресса Грузии в период восстановления народ-

ного хозяйства служила могучим и испытанным идеологическим оружием Коммунистической партии в социалистическом строительстве.

В первые годы восстановления народного хозяйства партийно-советская пресса испытывала временные трудности, которые были обусловлены объективными и субъективными факторами.

Основным объективным фактором, мешающим работе прессы республики являлся, с одной стороны, сравнительно низкий экономический уровень тогдашней Грузии, определивший, недостаток материально-технических ресурсов-субсидий и газетной бумаги, оборудованных типографий и качественного шрифта, что в значительной степени снижало качество прессы, а с другой—недостаточное количество коммунистов-журналистов, что в свою очередь также отрицательно отразилось на идейной стороне прессы. К тому же слабая работа почты, телеграфа, экспедиций печати, а также неисправность дорог и транспортных средств мешали распространению прессы.

Серьезные трудности в работе прессы были обусловлены также и субъективным фактором. Почти совершенно не были привлечены к работе журналисты и корреспонденты.

Для того чтобы периодическая пресса с честью выполняла роль помощника партии, Коммунистической партией Грузии была проделана большая работа по поднятию ее идейного уровня и улучшения материально-технической базы.

При решении этих важнейших задач Компартия Грузии руководствовалась указаниями В. И. Ленина о роли партийно-советской прессы, постановлениями и директивами съездов партии, Центрального Комитета РКП(б), съездов закавказских партийных организаций и Коммунистической партии Грузии.

В результате осуществления Коммунистической партией Грузии идейных и организационных работ в период восстановления народного хозяйства не только были ликвидированы временные трудности, но и повысился партийно-политический уровень прессы. Она была укреплена коммунистами-журналистами, организационно окрепло рабселькоровское движение, теснее стала связь между трудящимися массами и периодической прессой, заметно улучшилась работа по распространению прессы. Всё это вызвало рост тиража и постепенный переход к самокупаемости.

ОБ ОДНОМ СООБЩЕНИИ ВИЗАНТИЙСКОГО СБОРНИКА

ΙΩΝΙΑ

А. В. УРУШАДЗЕ

Известно, что до нас дошел историко-мифологический словарь (Dic-tionarium Historico-Mythologicum) — сборник мифологических и разных других рассказов — под названием *Ἰωνία* (варианты названия: *Ἰώνια*, *Ἰωνία*), по латыни „*Violarium*“, т. е. „Сборник фиалок“ [1]. Происхождение этого сборника относится к поздневизантийскому периоду. В течение долгого времени его автором считали императрицу-писательницу XI века Евдокию Макремволитиссу, супругу Константина X Дуки, которая в 1071 году постриглась в монахини. Полагали, что упомянутый выше сборник Евдокия составила в монастыре. Но позднее ее авторство в научной литературе было поставлено под большое сомнение. Вопрос об авторстве сборника был поднят в исследовании Г. Флаха [2]. Впоследствии К. Крумбахер попытался доказать, что Евдокия Макремволитисса ошибочно была признана автором сборника и что *Ἰωνία* составлен в 1543 году или около этого времени известным компилятором Константином Палеокапом [3].

При составлении сборника *Ἰωνία* автор-компилятор пользовался источниками самого разнообразного характера как античного, так и византийского периодов. Многие источники можно установить точно. В параграфах сборника часто указываются источники, на которые составитель опирался (указывается, например: Гомер, Гесиод, Архилох, Эпименид, Эфор из Кимы, Аристотель, Аполлоний Родосский, Дионисий Скитобрахион, Аполлодор, Квинт Смирнский и другие).

С точки зрения картвелологии, большой интерес представляют помещенные в сборнике статьи, касающиеся мифа об аргонавтах, в которых мы находим ряд заслуживающих внимания сведений о Колхиде и колхских племенах. Эти статьи следующие: *Περὶ Αἰήτου* (37), *Περὶ Ἀδάμαντος* (28), *Περὶ Ἀλκιμέδης* (45), *Περὶ Ἀμαζόνων* (51), *Περὶ Ἀφύρτου* (144), *Περὶ Ἀργού* (197), *Περὶ Ἀργούς* (198), *Περὶ Αὐγείου* (209), *Περὶ Ἀφύρτου τοῦ υἱοῦ Αἰήτου* (214), *Περὶ Ἐκάτης* (336), *Περὶ Ἑλλης καὶ Φρίξου* (342), *Περὶ Ζήτου καὶ Καλάδος* (416), *Ποσοὶ καὶ τίνες οἱ Ἀργοναῦται ἥρωες καὶ τίνες καὶ πόθεν* (439), *Περὶ τοῦ Ἰάσονος* (478a), *Ἰάσονος γενεαλογία καὶ πῶς*



ἀπέχειτο αὐτῷ κληρονομήσαι τὸ χρυσόμαλλον δέρας (478b), *Περὶ Κρίου* (543), *Περὶ Κίρκης* (537), *Περὶ Μηδείας* (647), *Περὶ Φρίξου* [ἐν ᾧ καὶ γενεαλογία αὐτοῦ τε καὶ πάντων τῶν ἐξ αὐτῆς τῆς ρίξης ἀναβλαστησάντων ἡρώων] (954).

Известно, что мифы о Прометее и аргонавтах содержат богатый материал, который позволяет раскрыть все новые и новые перспективы для изучения некоторых периодов общественной и культурной жизни колхских племен, а с другой стороны, новые возможности понимания истинного смысла разных версий этих мифов, сохранных греческими и римскими авторами.

В данный момент наше внимание особенно привлекает одно сообщение сборника *Ἰωνιά*, а именно, параграф 478в: *Ἰάσονος γενεαλογία καὶ πῶς ἀπέχειτο αὐτῷ κληρονομήσαι τὸ χρυσόμαλλον δέρας*, в котором картвельское (гесп. колхское) племя мегрелов (мингрельцев) идентифицируется с кавказскими албанами. Здесь сказано следующее: *ἔθανον γὰρ οἱ υἱοὶ Φρίξου* (*Ἄργος, Κυτίσσωρος, Μέλας, Φρόντις*) *ἐν τῷ τῶν Ἀλβανῶν πολέμῳ, μὴ λιπόντες σπέρμα. Ἀλβανοὶ δὲ οἱ νῦν Μίγκρελλοι*—т. е.—внуки предводителя колхов—царя скифов Айэта (*Αἰήτου τῶν Σκυθῶν βασιλέως*)—сыновья Фрикса и Халкиопы „погибли в албанской войне, не оставив после себя наследников. Албаны — нынешние мингрельцы“.

Мегрелы, или мингрельцы (груз., *megrel-n-i* || *megr-n-i* || *me-n-grel-n-i*), которые по древним античным источникам называются макронами (*Μάκρωνες*), наряду с лазами (чанами), имеющими общее название *заны* (*οἱ Ζάννοι*), являются, как известно, древнейшими картвельскими (гесп. колхскими) племенами, представителями того западного объединения картвельских племен, которое греки называли Колхидой.

Племенное название мегрелов впервые встречается в „Географическом руководстве“ (*Γεωγραφικὴ ὑφήγησις*) Клавдия Птолемея (IX, 5) в форме *Μάνραλοι*. По нашему мнению, здесь палеографическая ошибка: вместо комплекса *vr*—должно быть *γr*—(или *γγr*—, или же *γkr*—); следовательно, правильная форма племенного названия *Μάγραλοι* (или *Μάγγραλοι*, или же *Μάγκραλοι*), а не *Μάνραλοι*.

Второй случай упоминания этого племени мы находим в сборнике *Ἰωνιά* в форме *Μίγκρελλοι*—с двумя λ.

Кавказская Албания, основным племенем которой, по сообщению сборника *Ἰωνιά*, считаются мингрельцы (*Μίγκρελλοι*),—одно из древних государств Закавказья. Вопрос этнического происхождения албанов пока еще не решен. Принято считать, что албанский народ является одним из предков народов закавказского Азербайджана и горного Дагестана*.

Письменные источники и археологические данные свидетельствуют о древней и высокой культуре кавказских албанов. Эту культуру албаны развивали на всем протяжении своей исторической жизни, насыщенной

* Первым обобщающим трудом по истории кавказской Албании является известная книга [4].

непрестанной и тяжелой борьбой, которую они вели совместно с другими народами Кавказа, защищая свою независимость.

Кавказские албаны на исторической арене появились уже в IV в. до н. э., но античные авторы о них стали писать только с I века до н. э. (Страбон, Плутарх, Аммиан Марцелин и другие).

В армянских источниках кавказские албаны называются именем *աղվանք* *aluan-k'* (алванцы), в грузинских же источниках—*აღვანელები*.

А. Г. Шанидзе утверждает, что „язык кавказских албанцев был явно кавказский и тесно примыкал к удинскому, а возможно, был даже идентичен с древнеудинским...“ ([5] 188).

Сообщение о тождественности албанов и мегрелов (*Ἀλβανοὶ δὲ οἱ οὖν Μιγρηλλοὶ*), данное в сборнике *Ἰωνία*, не должно быть случайным. Автор сборника—компилятор; для своей компиляции он всегда опирается на источники. По каким-то источникам ему было известно, что картвельское (resp. колхское) племя мегрелов когда-то называлось албанским. По-видимому, существовала традиция, которая генетически тесно связывала мегрелов с кавказскими албанами. Мы склонны думать, что эта идентификация, которая восходит к древним источникам, имела реальную основу.

Задача дальнейшего исследования состоит в том, чтобы нащупать следы источника сообщения. При этом надо принять во внимание следующее:

1) может быть, название албанов (*Ἀλβανοὶ*)—собирательное слово для обозначения разных племен, живших на территории кавказской Албании;

2) наименование одного народа может переноситься на другой народ и одним и тем же именем в разные эпохи могут называться разные народы.

Кафедра классической филологии

(Поступило в редакцию
20 апреля 1970 г.)

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Eudociae Augustae Violarium, Recensuit et emendabat fontium testimonia subscripsit Ioannes Flach. Lipsiae, 1880.
2. I. Flach, Die kaiserin Eudokia. Tübing. 1876.
3. K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Litteratur München, 1897, 579.
4. К. В. Тревер, Очерки по истории и культуре кавказской Албании, М.—Л., 1959, см. также Georges Dumézil, Une chrétienté disparue. Les albaniens du Caucase. Mélanges asiatiques. Années, 1940—1941. А. Г. Шанидзе, Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки: Известия инсти-



тута языка, истории и материальной культуры Грузинского филиала АН СССР (ИЯИМК), т. IV, 1938; И. В. Абуладзе, К открытию алфавита кавказских албанцев: Известия ИЯИМК, IV, 1938.

5. А. Г. Шанидзе, Язык и письмо кавказских албанцев: Вестник отделения общественных наук АН Гр. ССР, № 1, 1960.

ა. ურუშადე

ბიზანტიური კრებულის ΙΟΝΙΑ-ს ერთი ცნობის შესახებ

რეზიუმე

წერილში განხილულია კომპილტორულ კრებულ „იონიაში“ დაცული ერთი ცნობა ალბანებისა და მეგრელების იგივეობის თაობაზე. ამ ცნობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ალბანთა ეთნოგენეზის პრობლემისათვის.

**მასალები ძვ. წ. V ს. კოლხეთის მხატვრული
კულტურის ისტორიისათვის**

(ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით)

ოთარ ლორთქიფანიძე


კოლხთა ეთნიკური სახელის პირველი მოხსენიება წერილობით ძეგლებში ძვ. წ. XII—XI სს. განეკუთვნება: ასურეთის მეფე ტიგლათბილესერ I (ძვ. წ. 1115—1077 წწ.) ერთ-ერთ წარწერაში თავის თავს უწოდებს „ნაირის ქვეყნების დამპყრობელს თუმედან, ვიდრე დაიყენიდე, (აგრეთვე) კილხის ქვეყნის დამპყრობელს, ვიდრე დიდ ზღვამდე“ ([1], 31).

გ. მელიქიშვილი „კილხს“ „კოლხს“ უკავშირებს, ხოლო „დიდ ზღვას“ აიგივებს შავ ზღვასთან, რომელიც ასურულ წყაროებში იხსენიება აგრეთვე „ზემო ზღვის“ სახელწოდებით [1].

ძველ კოლხურ ტომთა ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანია ამიტომ „ზემო ზღვის“ (ე. ი. შავი ზღვის) და მის „ნაპირას მდებარე ქვეყნების 40 მეფის“ მოხსენიება ასურეთის მეფის თუქულთი-ნინურტა I (ძვ. წ. 1245—1209) წარწერებში, რაც ძვ. წ. XIII საუკუნისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხური მოდგმის ტომთა დიდი გაერთიანების არსებობის დოკუმენტურ მოწმობადაა მიჩნეული ([1], 31). ეს ის ხანაა (ძვ. წ. XIV—XIII სს.), როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (და მთელ დასავლეთ საქართველოში) განვითარების ახალ და მაღალ საფეხურზე აღის ბრინჯაოს კულტურა, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური კულტურის“ სახელითაა ფართოდ ცნობილი¹. ამ კულტურის შემქმნელ და მატარებელ კოლხურ ტომთა ძლიერების ხანა უნდა არეკლილიყო აგრეთვე ძველ ბერძნულ თქმულებებში არგონავტთა ლაშქრობის შესახებ, რაც, ანტიკური ტრადიციის თანახმად, წინ უსწრებდა ტროას ომს (დაახლ. ძვ. წ. XIII ს., 40-იანი წლები) ([3], 9—23) და ქრონოლოგიურად ემთხვევა შავიზღვისპირეთში კოლხთა ტომების დიდი გაერთიანების პირველ მოხსენიებას ასურულ წყაროებში.

შავიზღვისპირეთის კოლხურ ტომთა გაერთიანება, რომელსაც უთუოდ მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციასთან, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში თანდათან იქცევა ძლიერ სახელმწიფოდ: ძვ. წ. VIII საუკუნის ურარტულ წყაროებში იგი მოიხსენიება, როგორც „კოლხას“ სამე-

¹ კოლხური ბრინჯაოს კულტურის შესახებ დაწვრ. იხ. [2] და იქვე დასახ. ლიტერატურა.



ფო¹, რომელიც წარმატებით ებრძოდა მეზობელ სახელმწიფოებს (ურარტულ-დიკურს). გ. მელიქიშვილის აზრით, „კოლხას“ პოლიტიკური ცენტრი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ჭოროხის აუზში) მდებარეობდა, ხოლო მისი გავლენა ვრცელდებოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზეც. „კოლხას“ განადგურების შემდეგ პოლიტიკურმა ცენტრმა გადმოინაცვლა ჩრდილოეთით—მდ. რიონის აუზში [7], დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალზე, სადაც უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან ყალიბდება ახალი ძლიერი სახელმწიფო—მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო. მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, რომ ძვ. წ. V ს. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე კოლხებს წინა აზიის დიდი და ძლიერი მონარქიების—ირანისა და მიდიის—გვერდით იხსენიებს (IV, 37. შტრ. [3], 34—36). რამდენადაც მიდიამ ფრავარტიშის აჯანყების დამარცხების (521 წ.) შემდეგ საბოლოოდ დაკარგა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და აქემენიდური ირანის რიგით სატრაპიად იქცა ([8], 440), უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰეროდოტეს შემომოტანილი ცნობა, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. VI ს. 20-იან წლებზე ადრინდელ ვითარებას ასახავს.


წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, ძვ. წ. VI—V სს. კოლხეთის სამეფო წარმოგვიდგება, როგორც ეკონომიურად და კულტურულად მაღალდაწინაურებული სახელმწიფო—მრავალრიცხოვანი ქალაქებით თუ ქალაქური ტიპის დასახლებებით, განვითარებული ხელოსნური წარმოებითა და ფულადი მეურნეობით, გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობით გარე სამყაროსთან ([3], 9—116).

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები გვაძლევენ უაღრესად საინტერესო მასალას აგრეთვე კოლხური მხატვრული კულტურის ისტორიისათვის. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანია ვანის არქეოლოგიური მონაპოვარი ([5], [9], [10]), რომელიც წარმოადგენს უმდიდრეს წყაროს ძვ. წ. V ს. კოლხეთის მხატვრული ხელოსნობისა და განსაკუთრებით—ოქრომჭედლობის ისტორიისათვის.

კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები ჰერჯერობით სამკაულებითაა წარმოდგენილი. ძვ. წ. V ს. კოლხ წარჩინებულთა თავსამკაულის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი საკმაოდ თავისებური ფორმის დიადემა, რომელიც მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი: ესაა გრებილი რკალი, რომისებური ფირფიტებით დაბოლოებული (სურ. 1). კოლხეთის სხვადასხვა ცენტრში ნაპოვნია უმთავრესად ვერცხლის, ხოლო ვანში აგრეთვე ოქროს დიადემები. ვერცხლის დიადემები თითქმის ყველა ერთნაირადაა შემკული: რომბული ფირფიტა ორ ნაწილადაა გაყოფილი, ხოლო ამგვარად მიღებულ თითოეულ სამკაულებში გამოსახულია თავისებური ვარდულა და თითისტარისებური ბურცობი ([6], 32—34)². საქართველოს ფარგლებს გარეთ ასეთი დიადემის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევა ცნობილი (ნესტოროვოს სამაროვანი ჩრდ. კავკასიაში) და ისიც საქართველოდან გატანილადაა მიჩნეული ([6], 33). ასე რომ, კედური ორნამენტით მორ-

¹ ამ დროს (ძვ. წ. VIII—VII სს.) კოლხეთის თემა (მითი არგონავტების შესახებ) ძალზე პოპულარულია აგრეთვე ბერძნულ ეპიკურ ძეგლებში (ჰესიოდე და მისი სკოლა, ევმელოს კორინთელი, კინეთონი, ე. წ. ნავბაქტიური ეპოსი, ეპიმენიდე) ([4], 20 და შემდ., 194—195).

² ოდნავ განსხვავებულია გუდა-იხუს (სოხუმის მახლობლად) აღმოჩენილი დიადემის შემკულობა: რომბულ ფირფიტაზე ზენური ხეობია გამოსახული [12].



თული რომისებურფირფიტინი და გრეხილრკალიანი დიადემა წმინდა კოლხური თავსამკაულია¹. განსაკუთრებით შესანიშნავია ვანში ნაპოვნი ოქროს დიადემები, რომელნიც ძვ. წ. V ს. კოლხური ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ ([10], 68, [5], 26). ფორმით ისინი თითქმის ზუსტად იმეორებენ ვერცხლის დიადემებს, მაგრამ მათი რომბული ფირფიტები ცხოველთა ბრძოლის სცენებთანაა მორთული. 1969 წ. აღმოჩენილ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნი ოქროს დიადემის (სურ. 1) თითოეულ ფირფიტაზე ამოტივრული გამოსახულება ორ-ორჯერ მეორდება (ორრიგი ნაჭდევებით შემკული გამყოფი რელიეფური პორიზონტალური სარტყლის ზემოთ და ქვემოთ). ორივე ფირფიტაზე ბრძოლის ფინალია გამოსახული. ერთზე — ორი ლომი გლეჯს უკვე დამარცხებულ და ზურგზე განრთხმულ ხარს (სურ. 2), ხოლო მეორეზე — წინა მუხლებზე წაჩოქილ ქურციკს (სურ. 3). ორსავე შემთხვევაში დამარცხებული ცხოველი ცენტრშია გამოსახული, ლომები კი აქეთ-იქეთ (ე. ი. ლომები ამ ფიგურის მიმართ ჰერალდიკურადაა მოცემული).

ცხოველთა ბრძოლის თემა ფართოდაა გავრცელებული ძველ წინააზიაში უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან (მესობოტამიის გლიპტიკური ძეგლები), განსაკუთრებით კი ასურულსა და აქემენიდური ხანის ხელოვნებაში: ლომის მიერ დათრგუნვილი ხარის გამოსახულებას ასტროლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა [16] და აღიქმებოდა, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების სიმბოლო ([16], [17])².

ძვ. წ. VIII ს. დასასრულსა და VII საუკუნეში (ე. წ. ორიენტალიზებული სტილის ხანაში) ცხოველთა ბრძოლის თემა ფართოდ ვრცელდება აგრეთვე ბერძნულ სამყაროში. მაგრამ, თუ აქემენიდური ირანის სახეით ხელოვნებაში, როგორც წესი, ორი ცხოველის ბრძოლაა წარმოდგენილი (ლომი და ხარი, ლომი და ირემი, ლომი და თხა და ა. შ.), ბერძნულ ხელოვნებაში ვხვდავთ კომპოზიციის გართულებას და დრამატული ეფექტის გაძლიერებას: ძვ. წ. VII ს. დასასრულს და VI ს. როგორც კერამიკულ ფერწერაში (აღმ. ბერძნულ, კორინთულ და ატიკურ), ასევე გლიპტიკურ ძეგლებსა და მონუმენტურ რელიეფებზე (პართენონის ძველი ტაძრის ფრონტონი, სიფნოსელთა საგანძური დელფოში) საკმაოდ ხშირადაა წარმოდგენილი სცენა, სადაც ორი ლომი გლეჯს მუხლზე წაჩოქილ ან ზურგზე გართხმულ ხარს [18], [19]³.

¹ ტიპოლოგიურად კოლხურ დიადემას ემსგავსება ტავრთა სამარხებში ნაპოვნი დიადემები [11], რომელთა გავრცელება მითან ყირიშში ძვ. წ. I ათასწლეულში კოლხური კულტურის გავლენით უნდა აიხსნას, რაზედაც, როგორც ცნობილია, სხვა ფაქტებიც მიუთითებენ (მდრ. [11], 133 და შემდ.).

² ძველ აღმოსავლეთში ლომის მიერ დათრგუნვილი ხარის გამოსახულება აღიქმებოდა, როგორც გზაფხულის ბუნიობის სიმბოლო: თებერვლის დასაწყისში ლომის თანავარსკვლავედი გადაეფარებოდა ხოლმე („კლავდა“) ხარისას. ამ დროს კი იწყებოდა ახალი სამიწათმოქმედო წელი... ასურულ და შემდეგ აქემენიდურ ეპოქაში იგი ითვლებოდა ზოროსტრული კალენდრის უმთავრეს დღედ და რელიგიურ დღესასწაულად, როდესაც ხდებოდა მეფეთა მეფის საზეიმო კორონაცია.

³ საკმაოდ რთულია საკითხი ბერძნულ ხელოვნებაში ლომის ხართან (აგრეთვე სხვა ცხოველებთან) ბრძოლის გამოსახულებათა სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, მას წმინდა დეკორატიული მნიშვნელობა ჰქონდა, თუმც უკანასკნელ ხანებში საპირისპირო მოსაზრებაც გამოითქვა [19].



ამრიგად, ვანის ოქროს დიადემაზე წარმოდგენილია აღმოსავლურა და ანტიკურ ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტები ცხოველთა ბრძოლისა, რომელიც უთუოდ გამოჩენილი ოსტატის მიერაა შესრულებული ძვ. წ. V ს. შუა ხანებში¹. ამას მოწმობს მარჯველ აგებული ჯგუფური კომპოზიცია, ცხოველთა დამახასიათებელი ნიშნების ხაზგასმა, ნათელი და მკვეთრი ნახატი.

აღსანიშნავია, რომ ზუსტი და პირდაპირი ანალოგია ვანის დიადემის გამოსახულებებს ვერ ეძებნება. ჩანს, ოსტატმა-დეკორატორმა უბრალოდ კი არ გამომეორა რომელიმე ცნობილი ნაწარმოები, არამედ თავისებურად და მაღალი მხატვრული ოსტატობით დაამუშავა მახლობელ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტები, რომელთაც იქნებ ძველ კოლხეთშიც გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა².

ვანის დიადემის ოსტატმა—ოქრომჭედელმა შეძლო ჭედური ხელოვნების ხერხებით გადმოეცა ხარსა და ქურციკზე ლომების თავდასხმის სცენა, მისი სარკისებურად ასახვა რომბული მოყვანილობის ფირფიტებზე და ამასთან სამფიგურიანი კომპოზიციების სამკუთხა ჩარჩოში მოთავსება, რაც უფრო მონუმენტური რელიეფისა და, კერძოდ, ფრონტონული კომპოზიციისთვისაა დამახასიათებელი. სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვანის დიადემის დეკორატიორი კარგად იცნობდა ბერძნული ფრონტონული რელიეფის წარმოსახვის რთულ პრინციპებს: თანაბარი ზომის ფიგურები ზომიერად აესებენ გამოსახულებისათვის განკუთვნილ მთელ სამკუთხა სივრცეს³, რაც აგრე დამახასიათებელია გვიანარქაული ხანის ბერძნული ხელოვნებისათვის. მაგრამ გამოსახულების შესრულების მანერა და სტილი საესებით განსხვავებულია ბერძნულისაგან და ერთი შეხედვით თით-

¹ ჩვენი დათარიღება დაფუძნებულია სამარხეული კომპლექსის ანალიზზე: ნაპოვნია ერთი წყება ბერძნული ნივთებისა (ბრინჯაოს პატერა, ვერცხლისა და შავლაკიანი ატიკური კილიკები, და სხვ), რომლებიც ზუსტად დათარიღდება ძვ. წ. V საუკუნის მეორე მეოთხედით.

² ვერ ვიტყვი, რომ ვანის დიადემაზე გამოსახულ ლომისა და ხარის ბრძოლას ისეთივე სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც აქემენიდური ირანის ხელოვნებაში (პერსეპოლისის რელიეფები, ფორუგის ვერცხლის თასი და სხვ. შდრ. [17]). მით უფრო, რომ იმავე დიადემის მეორე ფირფიტაზე ლომების ქურციკზე თავდასხმა წარმოდგენილი. ვანშივე 1961 წ. ნაპოვნ ოქროს დიადემაზე ლომები ტახებთან ერთად არიან გამოსახული. ძველ ხალხებში ლომი მზისა და სინათლის განსახიერებად იყო მიჩნეული (სხვათაშორის, საქართველოს მეზობელ არმენიაში, აგრეთვე პირკანიაში ანტიკურ ხანაში ლომების გავრცელების შესახებ ბერძენ-ლათინი მწერლებიც იუწყებებიან ([20], 37); ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ქართული ეთნოგრაფიული მასალებიც სივანური დროის „ლემ“-ის შესახებ), რაც მის ასტროლოგიურ მნიშვნელობასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ საკმაოდ ხშირია ვარსკვლავებით მოჭედილი ლომის გამოსახულებანი ([20], 37 და შემდ.). უაღრესად საინტერესოა, რომ კოლხურ ვერცხლის რომბულფირფიტებთან დიადემებზე გამოსახული მზის ნიშანი ([6], 32), ამიტომ იქნებ კოლხური დიადემის გამოსახულებანი ასახედნენ სიკვდილისა და სიცოცხლის, მზისა და სიბნელის კვიდილის სიმბოლოს. სავიჭრებელია, რომ ეს დიადემები საგანგებოდ მზადდებოდა დასაკრძალავი რიტუალისათვის და არ წარმოადგენდა ხელისუფლების ინსიგნიას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარჩინებულთა სამარხებშია ნაპოვნი (შდრ. [6], 34). ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ვანში 1969 წ. ნაპოვნ წარჩინებული კოლხთ ქალის სამარხში კიდევ აღმოჩნდა სამი ჩონჩხი, როგორც ჩანს, მოახლეებისა, რომელნიც შედარებით ღარიბულად იყვნენ მორთული. მათგან ორს ჰქონდა თავზე ვერცხლის დიადემა, ხოლო ერთს—ორი ერთად!

³ ფიგურების განლაგება ემორჩილება ერთ სუერთო გეგმას, თუმცა დეტალებში შეინიშნება ერთგვარი თავისუფლება და გადახვევა.


ქოს ემსგავსება აღმოსავლურს, ე. წ. აქემენიდურს, თუმცა არ ემორჩილება მის კანონიკურ ნორმებს. ასე, მაგ., აქემენიდურია თითქოს ქურციკი, დამახასიათებელი დაღარული რქებით¹, მაგრამ სრულიად უჩვეულოა მის ზურგზე გამოსახული ბეწვი². აქემენიდური ხელოვნების გავლენა თვალსაჩინოდ იგრძნობა ზურგზე განრთხმული ხარის ზოგიერთ დეტალში (რელიეფური და მკვეთრად მოდელირებული სახე, ამოზიდული რელიეფური თვალი, რქა), იმავე დროს, მეტად თავისებურია ლომების გამოსახულება: თუ პროფილში მოცემული მოქნილი, ძლიერი და მკვეთრად მოდელირებული ტანი გამოხატავს ბრძოლის დაძაბულობას, სამაგიეროდ, მაყურებლისაკენ მომზირალი პატარა თავი რამდენადმე გაყინული და უსიცოცხლოა. რელიეფურად აღნიშნული ზოგიერთი ანატომიური დეტალი (ნეკნები, დაკუნთული კიდურები) შესაძლოა მიუთითებენ ასურული ნატურალისტური ხელოვნებიდან მომდინარე ტრადიციებზე, სარგონიდების ხანის ასურულ რელიეფებზე რომაა წარმოდგენილი. ასევე, კუჩქის ასურულ რელიეფებზე გამოსახულ ლომებს აქვთ ისეთივე ფოთლისებური ყურები ([20], სურ. 12), როგორც ვანის ოქროს დიადემის ლომებს. საკმაოდ თავისებურადაა გადმოცემული ვანის დიადემაზე ლომის ფაფარიც: თავსა და კისერზე იგი რომულად დაშტრიხული გრავირებული ხაზებითაა აღნიშნული, ზურგზე კი—ირიბი მოკლე ნაჭდევებით. ლომის ფაფრის გადმოცემა რომული ხაზებით გვხვდება აქემენიდურ საბეჭდავებზე [23] და ისიც, ისევე როგორც კორინთულ კერამიკულ ფერწერაში [24], ასურულ ტრადიციადაა აღიარებული. მაგრამ სრულიად უჩვეულოა ძვ. წ. VI—V სს. აქემენიდური (და აგრეთვე ბერძნული) ხელოვნების ძეგლებზე ლომის ზურგზე ფაფრის აღნიშვნა. ამ სტილისტურ დეტალს ჩვენ ვხედავთ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ და ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესო ზივიეს ვანძის ძვ. წ. VII ს. დასასრულით დათარიღებულ ოქროსა და სპილოს ძვლის ფირფიტებზე ([25], 95, სურ. 83; [26]), რომელნიც ადგილობრივი (მანეურ-მიდიური) ხელოვნების ძეგლებადაა მიჩნეული.

ამრიგად, ვანის ოქროს დიადემა, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. V ს. შუა ხანებშია დამზადებული, თავისი ფორმით წმინდა კოლხურია, მაგრამ მისი მორთულობაა მეტად რთული. იგი თითქოს აერთიანებს ძველამოსავლურ და ანტიკურ სიუჟეტებსა და კომპოზიციებს, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, წინააზიის (ასურეთი, მანა-მიდია, აქემენიდური ირანი) ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სტილისტურ თვისებებს, სახეებსა და ცალკეულ ნიშნებს³. ეს გარემოებაც მოწმობს კოლხური ცივილიზაციის ძველამოსავლურ ისტორიულ-კულტურულ ფესვებს („კილხი“—„კოლხას“ ხანიდან მომდინარეს) და მის მჭიდრო კონტაქ-

¹ აქემენიდური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი დაღარულრქიანი თხისა და ქურციკის გამოსახულება [21] ასურული ხელოვნებიდან მომდინარეობს (შდრ. [22]).

² ამ თვალსაზრისით საინტერესოა პლინიუსის ცნობის გახსენება: „ტრაგელაფოსი (თხაირემი) გვხვდება მხოლოდ მდ. ფასისის გაყოლებაზე. იგი ირმის სახისაა, მაგრამ გამოირჩევა მარტო წვერით და ბანჯგვლიანი ბეჭებით“ (VIII, 20). შდრ. ([25], 22-23, სურ. 13).

³ რამდენადმე უფრო გვიანდელია (ძვ. წ. V ს. დასასრული—IV ს. დასაწყისი) და სტილისტურადაც განსხვავებულია 1961 წ. ვანში აღმოჩენილი ოქროს დიადემა, რომელზედაც ლომები და ტახია გამოსახული ([10] 69, სურ. 2). გამოსახულების სიუჟეტსა და კომპოზიციაში, აგრეთვე, სტილში შედარებით თვალსაჩინოა იონიურ-ბერძნული ხელოვნების გავლენა. მაგრამ ყოველივე ეს მოითხოვს საგანგებო შესწავლას.



ტებს თანადროული აქემენიდური ირანისა და ანტიკური სამყაროს კვირულურ რებთან.

ვანის ოქროს დიადემა (სურ. 1—3), ჩემი აზრით, ნახელავია ადგილობრივი ოსტატისა, რომელიც აღზრდილი იყო ძველ წინააზიურ მხატვრულ ტრადიციებზე, მაგრამ განიცდიდა აგრეთვე თანამედროვე ირანული და, აგრეთვე, რამდენაღმე, ბერძნული ხელოვნების გავლენას¹.


კოლხური ოქრომჭედლობის თავისებურსა და მრავალფეროვან ჯგუფს ქმნიან საყურეები და სასაფეთქლე რგოლები. მათგან ერთი წყება მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი და, როგორც წესი, არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ. ასეთებია, პირველ ყოვლისა, ე. წ. სხივანა საყურეები (სურ. 4)², რომელნიც (როგორც ოქროს, ასევე ვერცხლისაგან დამზადებული) ძვ. წ. V საუკუნეში მთელ კოლხეთშია გავრცელებული ([9], 157; [10], 70—71). ასევეა ჭვირულბურთულიანი საყურეებიც (სურ. 5) ([9], 157, ტაბ. 1V/3; [5], 25—26). მათთან ერთად ვანში ნაპოვნია აგრეთვე ისეთი ფორმის საყურეები თუ სასაფეთქლე რგოლები, რომელნიც ამ დროს სხვა ქვეყნებშიცაა ფართოდ გავრცელებული. ასეთებია ოქროს სასაფეთქლეები, რომელნიც გამოსახვენ ეტლზე მდგარ ცხენოსნებს ([10], 71) და მოგვაგონებენ ახალგორის სასაფეთქლეებს [14], ანალოგიები რომ ძვ. წ. V ს. აქემენიდურ ხელოვნებაში ვერ ეძებნებათ, აგრეთვე, ე. წ. ნახევარმთვარისებური (თუ ნავისებური) საყურეები, რომელთა ფორმა ძვ. წ. VIII—VII სს. მოკიდებული ფართოდაა გავრცელებული, როგორც წინა აზიაში (ასურეთი, ურარტუ [15] ირანი)³, ასევე ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და ჩრდ. შავიზღვისპირეთში ([27], 21; [28], ტაბ. LXXV, 293—294). ვანსა და კოლხეთის სხვა ცენტრებში ნაპოვნი ზემოდასახელებული ოთხივე სახეობის ოქროს საყურე გასაოცარი სტილისტური ერთიანობით ხასიათდება: საყურე რგოლის საფასადო მხარე შემკულია მინიატურული ვარდულითა და ცვარათი გაწყობილი ან დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი „მარყუქები“. ესაა საყურე რგოლის მხატვრული გაფორმების თავისებურება ([10], 71), რომელიც ამ სახით არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ⁴. მასთან ერთად საყურეებისა და სასაფეთქლეების მორთვაში უხვადაა გამოყენებული ზედაპირის დაცვარვა სამკეთხა თუ რომბული სახეებით, ხოლო სხივანა და ჭვირულბურთულიანი საყურეების შემკობა—ცვარა-

¹ ამ ნიშნით იგი შეიძლება პირობით მოვთავსოთ ე. წ. „ბერძნულ-სპარსული“ სტილის ძეგლების თავისებურ ვანშტაბებში (ვეფლისხმობთ ტერმინის „ბერძნულ-სპარსულის“ არაა. ფურტვენგლერისებურ გაგებას, არამედ იმ ახალ შინაარსს, რომელსაც ამ რიგის ხელოვნების ძეგლებს აძლევენ მ. მაქსიმოვა, ტ. კნიპოვიჩი, ა. სეირივი და სხვ. [13]).


² წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში [15], 26) ნაპოვნი ეს საყურეები (სურ. 4) კოლხ ოქრომჭედელთა ფილიგრანული ტექნიკის შესანიშნავი ნიმუშია: თითოეული მათგანი 8 სმ-ია და მის მოსართავად დამზადებულია რამდენიმე ასული ოქროს ცვარა, რომელთა დიამეტრი ნახევარ მილიმეტრს არ აღემატება და მით გამოყვანილია რთული სახეები (პირამიდები, ფრინველის ცალკეული დეტალები).

³ ასეთი საყურეები წარმოდგენილია, მაგ., პერსეპოლისის ტრიპილიონის (ძვ. წ. VI ს. დასასრული—V ს. დასაწყისი) ერთ-ერთ კაბიტელზე, რომელიც ადამიანის თავს გამოსახავს.


⁴ ვარდულის ელემენტარული საყურეებზე ბერძნულ სამყაროში ადრევეა გავრცელებული, მაგრამ საყურე რგოლის მორთვა მხოლოდ ძვ. წ. V ს. დასასრულიდან, უფრო კი—ძვ. წ. IV და III სს. გვხვდება. მაგრამ ბერძნული ვარდულისანი საყურეები ამ დროს ტიპოლოგიურად და სტილისტურად სრულიად განსხვავებულია კოლხურისაგან (შდრ. [29], [28], ტაბ. VI, 402).




სურ. 1. ოქროს დიადემა




სურ. 2. დიადემის რომბული ფირფიტა (დეტალი)




სურ. 3. დიადემის რომბული ფირფიტა (დეტალი)




სურ. 4. ოქროს „სხივან“ სასაფეთქლები




სურ. 5. ოქროს ჭვირულბურთა
ლებიანი საყურეები



სურ. 6. კუს გამოსახულებიანი საკიდებით შედგენილი ოქროს ყელსაბამი



სურ. 6 ა. ოქროს ყელსაბამის დეტალი



სურ. 7. ოქროს სამაჯურები

თი შედგენილი პირამიდებით. ასეთივე მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით ნასიათდება ძვ. წ. V ს. ვანის სამარხებში ნაპოვნი მრავალრიცხოვანი ოქროს მძივები და საკიდები (ჩიტის, ვერძისა და ხბოს თავის მინიატურული გამოსახულებანი). საგანგებოდაა აღსანიშნავი კუს გამოსახულებიანი საკიდები (ყელსაბამის შემადგენელი ნაწილი): თვალები პასტითაა ინკრუსტირებული, ხოლო ზურგი—ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებითაა მორთული (სურ. 6).

ძვ. წ. V ს. კოლხური ოქრომჭედლობის ძეგლებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე სამაჯურები, რომელთა საუკეთესო ნიმუშები ვანშია ნაპოვნი. მათგან ერთი ნაწილი სრულიად აქემენიდური სტილითაა შესრულებული და იმეორებს ძვ. წ. V—IV სს. ფართოდ გავრცელებულ ცხოველის თავის გამოსახულებებით შემკულ სამაჯურებს. ასეთებია ვანში 1961 წ. ნაპოვნი სამაჯურები, რომელნიც ჯიხვის, ლომისა და ხბოს თავებითაა დაბოლოებული ([10], 69)¹. განსაკუთრებით საინტერესოა, და უნიკალურიც, 1969 წ. აღმოჩენილი ოქროს სამაჯურები, რომელნიც ტახის სკულპტურული გამოსახულებებითაა შემკული (სურ. 7). სტილისტური თვალსაზრისით იმ სამაჯურის ტახი რამდენადმე ემსგავსება ძვ. წ. VII—V სს. ირანსა და მცირე აზიის ტერიტორიიდან ცნობილ ბრინჯაოს ტახის მინიატურულ გამოსახულებებს (შდრ. [31]), მაგრამ მათგან განსხვავდება ზოგიერთი დეტალის (ყურის, ჯაგრის) გადმოცემით და, რაც მთავარია, უფრო გრაფიკულ-დეკორატიული სტილით, აგრეთვე რამდენადმე სკულპტურულობით. ყურადსაღებია, რომ იმავე სამარხში ნაპოვნია ვერცხლის საკიდები, რომელნიც თითქმის ზედმიწევნით იმეორებენ სამაჯურებზე გამოსახულ ტახის ფიგურას.

ამრიგად, ვანსა და კოლხეთის სხვა ცენტრებში მოპოვებული ოქროს სამკაული საკმაოდ მრავალფეროვანია და მეტად მრავალრიცხოვანი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვანის 1961 წ. ნაპოვნი სამარხში ათასამდე ოქროს ნივთია ნაპოვნი [10], ხოლო 1969 წ.—ათას ექვსასზე მეტი [5]. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა ისინი ხასიათდება ვასაოცარი მხატვრულ-სტილისტური ერთიანობით. ოქროს სამკაულთა ადგილობრივ, ე. ი. კოლხურ წარმომავლობაზე, მიუთითებს მხატვრული ფორმის ორიგინალობა, რომელიც მეტწილად მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი, ზოგიერთ შემთხვევაში გენეტურად უკავშირდება (როგორც ფორმით, ასევე დეკორით) წინამორბედი ხანის ბრინჯაოს კულტურის ძეგლებს და, როგორც წესი, არ ვგვხვდება კოლხეთის (და, საერთოდ, ძველი საქართველოს) ფარგლებს გარეთ. ასეთებია დიადემა, „სხივანა“ და ჭვირულბურთულიანი საყურეები, მძივსაკიდების ზოგიერთი ფორმა და სხვ., რომლებსაც იმეორებენ აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი.

ვანსა და კოლხეთის სხვა ცენტრებში ნაპოვნი ოქროსა და ვერცხლის სამკაულის ადგილობრივ დამზადების უტყუარი მოწმობაა აგრეთვე მათი სტილისტური და ტექნიკური ერთიანობა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა საყურეებსა და სასაფეთქლეებში. სულ სხვადასხვა საყურე, —მიუხედავად იმისა, მათი ფორ-

¹ ანალოგიური ოქროსა და ვერცხლის სამაჯურები ნაპოვნია აგრეთვე კვიბროსზე, სირიაში, ეგვიპტეში და სხვ. მათ ძვ. წ. V ს. დასასრულით და IV ს. პირველი ნახევრით ათარიღებენ ([30], 14—15, 20, ტაბ. 11—12). ამ სამაჯურების დამზადების ცენტრი ჯერ განსაზღვრული არაა. ფიქრობენ, რომ მათ აქემენიდური სამყაროსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების სხვადასხვა სახელოსნოებში ამზადებდნენ ([30], 18).



მა ორიგინალურია („სხივანა“ და ჭვირულბურთულიანი), თუ ნასესხებები („სხივანა“ მთვარისებური),—მანც ერთნაირადაა მორთული: რგოლის საფასადო მხარე შემკულია მინიატურული ვარდულით და უხვადაა დაცვარული, რაც ძვ. წ. V საუკუნეში მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი და ამ სახით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ გვხვდება ძველი საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძვ. წ. V საუკუნის კოლხური ოქროს სამკაულისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გავარსის ფართოდ გამოყენება: სულ სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ნივთები (საყურეები, სასაფეთქლები, ნაირსახოვანი საკიდები და მიძივები, ბალოები) უხვადაა დაცვარული, ამასთან შემკულია ცვარათი გამოყვანილი პირამიდებით, სამკუთხედებით, რომბული ან სხვა გეომეტრიული სახეებით. საყურადღებოა, რომ ძვ. წ. V ს. ვანის მდიდრულ სამარხებში გვხვდება აგრეთვე ასევე დაცვარული ვერცხლის ნივთები, რაც, საერთოდ, ძალზე იშვიათია და კოლხეთში გავარსის ტექნიკის ფართოდ გავრცელების კიდევ ერთი თვალსაჩინო მოწმობაა.

ოქროს ნივთებისა და სამკაულის მორთვა ცვარათი შედგენილი პირამიდებით, აგრეთვე, რომბული, სამკუთხა თუ სხვა გეომეტრიული სახეებით—ძვ. წ. VI—IV სს.—ში ფართოდ გავრცელებული მხატვრულ-სტილისტური ხერხია აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის მაღალკულტურულ ქვეყნებში. მის საწყისებს ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ, ძვ. წ. II ათასწლეულის შუმერის მხატვრულ კულტურაში ეძიებენ, მაგრამ სრულიად ჩამოყალიბებული სახით, დაცვარული პირამიდებით დაბლოებული საყურეები და ცვარათი შედგენილი სამკუთხედებით მორთული ოქროს ნივთები აღმოჩნდა მარლიკის სამაროვანზე (ირანი, ჰილიანის ოლქი), რომელსაც ძვ. წ. 1200—900 წწ. ათარიღებენ და უკავშირებენ მანას სამეფოს კულტურას [32], რომლის უფრო გვიანდელი ძეგლები 1947 წ. ზივიეში აღმოჩნდა [25]. როგორც ჩანს, სწორედ მანას სამეფოს ტერიტორიაზე (ურმიის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე) ყალიბდებოდა ოქროს ნივთებისა და სამკაულის მორთვა დაცვარული პირამიდებითა თუ სამკუთხა და სხვ. გეომეტრიული სახეებით, რაც ძვ. წ. VIII და, განსაკუთრებით, VII საუკუნიდან ფართოდ გავრცელდა მახლობელ აღმოსავლეთში (ურარტუ, ირანი), ხოლო ძვ. წ. VII—IV საუკუნეებში თავისებურ მოდად იქცა მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთსა (კვიპროსი, სამოსი, კონტინენტური საბერძნეთი და მაკედონია, ეტრურია) და შავიზღვისპირეთში (შდრ. [15], [33], [34], [35]).

ამ დიდმა მხატვრულ-კულტურულმა ტალღამ მიაღწია აგრეთვე კოლხეთამდე¹, სადაც მოხდა მისი თავისებური ათვისება, გადაამუშავება და ორგანულად

1 მანას სამეფოდან მომდინარე მხატვრულ-კულტურული ელემენტები, როგორც დავინახეთ, ჩანს აგრეთვე ოქროს დიადემის შემკულობაში, რაც ზოგიერთ პარალელს ზივიეს ძეგლებში პოულობს. შესაძლოა იმავე კულტურული წრიდან მომდინარეობს ყურ-მილიანი დოქების ფორმაც, რომელიც ძველი მანა-მიდიის ტერიტორიაზე (პასანლუ, ზივიე) ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისშია გავრცელებული [36], [37], ხოლო კოლხეთისათვის ძვ. წ. VI—IV საუკუნეებისთვისაა ძალზე ტიპური. ეს, თუმცა ჯერ კიდევ მეტად მცირერიცხოვანი, მასალები აყენებენ ჩვენს წინაშე ძვ. წ. VI—V სს. კოლხური კულტურის შემადგენელი ელემენტების ისტორიული ფესვების საკითხს. ხომ არ ისახა აქ ქართველი ტომების (კოლხები, სასპერები) ეთნიკურ-კულტურული კონტაქტები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ძველი მანასა და მიდიის სურიტულ-ურარტულ მოსახლეობასთან, რომელზედაც მიუთითებს ჰეროდოტე (III, 94, IV, 37, VII, 62), შდრ. [8], 58, 226, 338—39, 355).



დაკავშირება საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ადგილობრივ მხატვრულ ფორმებთან და სახეებთან. ამის შედეგად შეიქმნა თავისებური, კოლხური ოქრო-მჭედლობის განუმეორებელი სტილი, რომლის შესანიშნავი ნიმუშები ვანშია მრავლად აღმოჩენილი.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი იმისათვის, რომ ძვ. წ. VI—V საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ოქრომჭედლობით ცნობილი ცენტრების (მიდია, ირანი, ეგვიპტე, კვიპროსი, ლიდია, არმენია, ბაქტრიანა) გვერდით ([30], 18) კოლხეთიც დავასახელოთ. აღსანიშნავია, რომ კოლხეთში ოქროს მოპოვებასა და დამუშავებაზე ბერძენი მწერლებიც (სტრაბონი, აპიანე) მოგვითხრობენ და მას „ოქრომრავალ“ ქვეყანას უწოდებენ ([3], 114—116).

არქეოლოგიის კათედრა

(რედაქციას მოუვიდა 1970 წ. 15 მაისს)

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА—REFERENCES

1. გ. მელიქიშვილი, შავი ზღვა ძვ. წ. XIII—XII სს.-ის ასურულ ლურსმულ წარწერებში „კავკასიის ისტორიის საკითხები“ (ნ. ბერძენიშვილისადმი მიძღვნილი კრებული), თბილისი, 1966.
2. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965.
3. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო დი ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966.
4. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964.
5. ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთუჩიძე, არქეოლოგიური გათხრები ვანში, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1969, № 12.
6. ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXV-B, 1968.
7. Г. А. Меликишвили, Кулха, „Древний мир“ (Сб. в честь В. В. Струве), М., 1962.
8. И. М. Дьяконов, История Мидии, М.—Л., 1956.
9. Н. В. Хоштария, Археологические исследования в Вани и Ванском районе. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბილისი, 1959.
10. Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Вани, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, II, თბილისი, 1962.
11. А. М. Лесков, Горный Крым в первом тысячелетии до н. э., Киев, 1965, გვ. 108, სურ. 21/19.
12. М. М. Трапш, Труды, II, Сухуми, 1969, გვ. 36, 68; ტაბ. III/2—3.
13. Н. М. Никулина, Малоазийская глиптика второй половины V—IV вв. до н. э. и проблема „восточно-греческого“ и „греко-персидского“ искусства (Автореферат кандидатской диссертации), М., 1966.
14. Я. А. Смирнов, Ахалгорийский клад, Тбилиси, 1934, ტაბ. II, 5.
15. Б. Б. Пиотровский, Искусство Урарту, Л., 1962, გვ. 87—88, სურ. 52—53.
16. W. Hartner, R. Ettinghausen, The Conquering Lion, The Life Cycle of a Symbol. „Oriens“, 17, 1964, გვ. 161 და შემდ.
17. R. Ghirshman, Un plat Achéménid de la Collection Forughi, Artibus Asiae, XIV, 1961.
18. E. Buschor, Burglöwen. Mitteilungen des Deutschen Archäologischen Instituts. Athenische Abteilung, XLVII, გვ. 101 და შემდ. ტაბ XII/2 XIII/2; H. Luschey, Zur Wiederkehr archaischer Bildzeichen in der attischen Grabmalkunst des 4.



- Jahrhunderts v. Chr. (Festschrift B. Schweitzer), 1956, გვ. 121 და შემდ.
- J. Boardman, Archaic Greek Gems, London 1963, გვ. 121 და შემდ.
19. Marie-Luise und Hans Schlenmeyer, Über griechische und altorientalische Tierkampfgruppen. „Antike Kunst“, 1/2, 1593.
 20. O. Keller, Die antike Tierwelt, I, Leipzig, 1909.
 21. H. Kantor, Achaemenid Jewellery in the Oriental Institute. JNES (-Journal of Near Eastern Studies), XVI/1, 1957, ტაბ. IV, VI c.
 22. A. Parrot, Assur, Paris, 1961.
 23. E. Porada, Iran ancien, Paris, 1963. გვ. 174 სურ. 36.
 24. H. Payne, Necrocorinthia, Oxford, 1931, სურ. 14/2, 18.
 25. A. Godard, Le Trésor de Ziwiyé. Haarlem, 1950.
 26. 7000 années d'art en Iran (exposition). Paris, 1961, ტაბ. XXXIX; შდრ. გერმანული კატალოგის № 283.
 27. K. Hadazek, Der Ohrschmuck der Griechen und Etrusker, Wien, 1903.
 28. G. Becatti, Oreficerie antiche. Roma 1955.
 29. F. H. Marshall, Catalogue of the Jewellery Greek, Etruscan and Roman in the Departments of Antiquities. „British Museum“, London, 1911, №№. 1845—46; 1849—60, 1894 და სვ.
 30. P. Amandry, Orfèvererie Achéménide. „Antike Kunst“, 1/1, 1958.
 31. P. Amandry. Un motif „scythe“ en Iran and Greece. JNES, XXIV 3, 1965, გვ. 153 და შემდ.
 32. Ezat O. Negahban, A Preliminary Report on Marlik Excavation, Teheran, 1964, გვ. 21—22, სურ. 66, 88, 79; შდრ. JNES, XXIX/5, 1965 გვ. 308—327,
 33. Collection Héléne Stathatos, III, Strasburg, 1962: P. Amandry, Objets d'or et d'Argent, გვ. 118 და შემდ. გვ. 198—199.
 34. R. A. Higgins, Greek and Roman Jewellery, London, გვ. 112 (სურ. 20), გვ. 122—123 (სურ. 24 f-g).
 35. P. Amandry, L'Art Scythe Archaïque. „Archäologischer Anzeiger“, 4, 1965, გვ. 895 და შემდ. სურ. 4—6.
 36. R. Ghirshman, Perse. Proto-Iraniens, Medes, Achéménides, Paris, 1963.
 37. R. H. Dyson, Problems of Protohistoric Iran. JNES, XXIV/3, 1965, გვ. 200, სურ. 7.

О. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ХУДОЖЕСТВЕННОЙ КУЛЬТУРЫ КОЛХИДЫ V в. до н. э.

(По новейшим археологическим открытиям)

Резюме

В свете новейших археологических исследований и данных письменных источников в VI—V вв. до н. э. Колхида представляла собой высоко развитое государство с многочисленными поселениями городского типа, денежным хозяйством, многоотраслевым товарным ремесленным производством (металлообработка, ювелирное, керамическое, текстильное ремесла). Наиболее яркие памятники колхидской художественной культуры за пос-

ледние годы открыты в Вани—одном из самых значительных центров древней Колхиды (в ее внутренней части, на левом берегу р. Риони—древнего Фасиса, примерно в 100 км. от морского берега). В статье исследуются изделия из золота, найденные в 1969 г. в погребении знатной колхидянки, датированном серединой V в. до н. э.¹

Золотые изделия, найденные в Вани и в других местах древней Колхиды, весьма многочисленны и довольно разнообразны по своим назначениям. Среди украшений головного убора в V в. до н. э. характерными являются золотые (и серебряные) диадемы, крученный ободок которых оканчивается ромбовидными пластинками, украшенными чеканенными или штампованными изображениями. На золотой диадеме (рис. 1) из погребения знатной колхидянки (открытом в 1969 г.) оттиснуты широко распространенные на Древнем Востоке и в искусстве архаической Греции сцены борьбы животных: на одной пластинке—львы, терзающие распростертого на спине быка (рис. 2), а на другой (рис. 3)—припавшая на передние ноги газель, с рифлеными изогнутыми рогами и шерстью на спине (!).

Умелое построение трехфигурной композиции, ясный и четкий рисунок, реалистическая передача характерных черт животных, сочетающаяся со стилизацией отдельных деталей, выдают очень своеобразного и интересного мастера. Удачное распределение фигур в треугольной раме (характерное для фронтовой композиции), а также отдельные композиционные детали свидетельствуют о знакомстве мастера с памятниками греческого архаического искусства. Художественно-стилистический же анализ выявляет отдельные черты и образы, берущие начало в искусстве Ассирии, Манейского царства и Мидии, ахеменидского мира, что, в свою очередь, указывает на древне-восточные корни колхидской художественной культуры. По нашему мнению, ванская золотая диадема и ее украшения являются изделием местного мастера, воспитанного на древне-восточных художественных традициях, но испытавшего также влияние ахеменидского, а в некоторой степени и поздне-архаического греческого искусства.

Исключительным разнообразием и многочисленностью отличаются серьги и височные кольца, также являющиеся частью головного убора. Наиболее характерными являются широко распространенные в V в. до н. э. по всей Колхиде (и, как правило, неизвестные за пределами Грузии), золотые и серебряные височные серьги, крупное кольцо которых украшено отходящими от него „лучами“ (рис. 4), а также ажурными (рис. 5) или полыми сферическими подвесками, всегда обильно украшенными зернью. Наряду с этими типично колхидскими формами в Вани найдены также (в 1961 г.) т. н. калачеобразные серьги, широко распрост-

¹ В погребении найден ряд греческих импортных изделий, часть которых датируется довольно точно, в том числе: бронзовая патера с антропоморфной ручкой т. н. акропольской группы (500—480 гг. до н. э.), два серебряных и один чернолаковый аттические килики второй четверти V в. до н. э. и др.



раненные в Передней Азии и по всему Средиземноморью. Но найденные в Колхиде серьги объединяются единым стилем: на передней части кольца, украшенного зернью или филигранью, имеется миниатюрная розетка, что является особенностью колхидских золотых серег (Н. В. Хоштария) еще не известных за пределами Грузии в V в. до н. э.

Отдельную группу составляют также золотые браслеты, которые украшаются скульптурными головками льва, тельца, барана, тура и в стилистическом отношении почти не отличаются от аналогичных браслетов, распространенных по всему ахеменидскому миру и в Средиземноморье. Большой интерес представляют золотые браслеты (из погребения знатной колхидянки), украшенные скульптурными изображениями дикого кабана (рис. 7), которые находят аналогии в бронзовых фигурах из Ирана и Малой Азии, но отличаются от них передачей некоторых деталей, а также более графическо-декоративным стилем и некоторой скульптурностью (в том же погребении найдены и серебряные подвески в виде кабанов, исполненных совершенно в том же стиле).

В целом золотые изделия, найденные в Вани и других местах Колхиды, чрезвычайно разнообразны (многочисленные подвески в виде миниатюрных фигурок птиц, тельца, баранов, черепах и т. д.; также весьма разнообразны бусы, геральдические изображения орлов и т. д.) и многочисленны. Тем не менее, почти все они характеризуются строгим художественно-стилистическим и техническим единством, что указывает на то, что они являются произведениями одной художественной школы. На их местное, т. е. колхидское происхождение, указывает оригинальность художественных форм, которые характерны большей частью лишь для Колхиды; генетически связываются с памятниками материальной культуры доантичной эпохи и, как правило, неизвестны за пределами Грузии. Таковы диадемы, серьги и височные кольца с „лучами“ или сферическими подвесками и др., которые повторяются также в серебряных и бронзовых изделиях.

Для колхидских золотых изделий V в. до н. э. весьма характерно обильное применение зерни (пирамиды, треугольные, ромбовидные и другие геометрические узоры)¹, что в VII—V вв. до н. э. широко распространено по всей Передней Азии и Средиземноморью, но, судя по новейшим археологическим открытиям, берет начало в памятниках культуры конца II и начала I тысячелетия до н. э., открытых в 60-х годах на территории Ирана (Марлик). Исходящая из Мана-Мидийского искусства (Марлик, Зивие) художественная волна достигла и Колхиды (чему способствовали, вероятно, и этно-культурные контакты в середине I тысячелетия до н. э. с хурито-урарским населением Мана и Мидии, засвидетельствованные и сведениями Геродота), где происходит их дальнейшая

¹ Весьма интересно, что наряду с золотыми встречаются и серебряные изделия, украшенные зернью.

переработка и органическое сочетание с выработанными веками местными художественными формами. В итоге и создается своеобразный и неповторимый стиль колхидских золотых изделий, замечательные образцы которых исключительно обильно представлены в Вани: в погребении знатной колхидянки (открытом в 1969 г.) найдено свыше 1600 золотых предметов, что прекрасно иллюстрирует греческие представления о „золотобильной Колхиде“.

ქველი ქართული ენის ლექსიკიდან

(„მაწვა“)

ილია აბულაძე

იშვიათი ხმარებისა ჩანს ეს სიტყვა ძველ ქართულში. ამიტომ მის მნიშვნელობასა და წარმომავლობაზე ნათელი წარმოდგენა არ მოიპოვება.

სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც საგანგებოდ კრებდა და იკვლევდა ძველი ქართულის ლექსიკას, აღნიშნული ზმნა, როგორც ლექსიკური ერთეული, ისეთი ფორმით მოჰყავს თავის „ქართულ ლექსიკონში“, როგორც მას გაუგონია. ეს კი იმით უნდა აიხსნას, რომ ლექსიკოლოგისათვის უცნობია ამ ზმნის ამოსავალი ანუ, როგორც იტყვიან, ძირითადი ფორმა, საწყისი. სულხან-საბა ორბელიანისათვის არც შინაარსი ყოფილა გარკვეული, რადგან განუმარტავდ მოჰყავს იმ კონტექსტით, რომელშიც შეუნიშნავს:

იმაწე: „იმაწე დიდ ყოფა წინაშე ღთისა“.

მომდევნო სიტყვები, — (+, „რამეთუ წინაშე ღუთისა შეურაცხ იქმენ“ (+ „მაწანებელი“ L) — როგორც ირკვევა, მოყვანილი ციტატის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს [1].

როგორც ცნობილია, დიდ ქართველ ლექსიკოგრაფს განსამარტავ ლექსიკურ ერთეულთან მხოლოდ მაშინ მოჰყავს ციტატი, როცა საქმე ავტორისათვის აუხსნელ სიტყვას ეხება. ასეა ყველა მსგავს შემთხვევაში, ასევეა აქაც ამ ზმნასთან.

Совпадение, о котором мы говорили, действительно, очень многозначуще. Восьмидесятилетие Л. Толстого совпало с разгулом общественно-политической реакции. Последняя не замедлила поднять на щит все наиболее слабые и реакционные стороны философско-нравственно-религиозного учения гениального писателя и сделать его орудием, направленным против социал-демократии и революционной идеологии.

Величайшей заслугой Горького следует считать его неустанную и целеустремленную работу в области «социальной гигиены», и несомненно, что появление «Исповеди» находит свое объяснение в связи с той борьбой, которую великий пролетарский писатель вел против всего того, что вело к пассивно- созерцательному отношению к жизни, что снижало общественную активность. Строя «новую» веру как «радостное и гордое чувство», он стремился, тем самым, создать нечто вроде панацеи против того пессимистического мироощущения, которое находило выражение в самых различных формах в те годы, когда пессимизм в силу известных причин стал чем-то вроде знаменья времени. Другое

* В дорволюционной критике на это обратил внимание Львов-Рогачевский, по словам которого, «Исповедь» Горького представляет огромный интерес, как своего рода ответ на «Исповедь» Л. Толстого, им же намечены пункты расходования между двумя произведениями (17).



дело, что из этого получилось. По замыслу же богостроительство с его «радостным» ощущением связи человека с природой и людьми должно было противостоять и «ужасу смерти», свойственному толстовству, и «ужасу жизни», присущему многим ответвлениям буржуазной мысли, литературе, искусству,— вообще всем тем «ужасам», богатый ассортимент которых составлял необходимую принадлежность эпохи реакции — эпохи, когда, как волчий вой в ночи, со всех сторон раздавалось завывание разлагающегося буржуазно-мещанского общества, которое устами своих бардов, «господ Смертяшкиных» разных мастей и калибров, цинично и откровенно обнажая язвы души своей, жаловалось и кричало:

«Мне больно, мне страшно, а потому,— будь вы все прокляты с вашей наукой, политикой, обществом, со всем, что мешает вам видеть мои страдания!» (14, 70).

По собственному признанию Горького, смысл всей его деятельности заключался в том, чтобы внушить людям активное, творческое революционное отношение к действительности — с тем, чтобы человек — Человек с большой буквы — стал подлинным хозяином жизни и своей собственной судьбы. Разрешению этой великой задачи посвящены все произведения Горького, все его творчество и — по замыслу — «неудачная» повесть «Исповедь».

* * *

Мы рассмотрели некоторые стороны интересующей нас проблемы; можно сделать выводы.

В своих отправных тезисах богостроительство «Исповеди» не представляет чего-либо совершенно неожиданного или, тем более, случайного в общем потоке горьковских идей. Случайность, вообще, не та категория, которая может быть применена к такому художнику и мыслителю, как Горький.

Богостроительство Горького основано на глубокой вере в народ, в мощь коллективизма. Сама по себе вера в народ — далеко еще не религия. Для Горького народ всегда представлял силу — решающую силу — всякого общественного прогресса и революции. Вера в народ, как в силу, определяющую развитие новых форм социальной жизни, двигала пером создателя «Матери» и других революционных произведений. Религией эта вера в народ стала в системе богостроительства, сообщившего ей черты, свойственные религии, — элементы мистики и чудесного...

«Единение всех по пути к единой цели» — эта богостроительская формула обнаруживает отход Горького от революционной почвы. Все другие произведения Горького, посвященные изображению революционной борьбы, дают великолепную иллюстрацию единения людей, но единения не на зыбкой основе богостроительской «всеобщности», понимаемой буквально, — подлинное братство, как это показал пролетарский писатель, возникает и укрепляется в беспощадной классовой борьбе народа против своих социальных врагов. В богостроительстве же Горький пошел дальше в развитии идеи «единения» и пришел к расплывчато-идеалистическому идеалу «единения всех по пути к единой цели». Кого это «всех»? И есть ли вообще в природе «единая цель» для «всех»?

В составе «новой» религии, помимо веры в народ и чувства кол-

лективизма, можно без труда обнаружить и другие черты мировоззрения Горького — любовь к жизни, оптимизм, бодрость и т. д.

Но «несчастье» этой «неудачной» повести заключается в том, что разрешение острых жизненных проблем Горький перенес в область религиозных категорий, а такое не проходит бесследно: религиозная доктрина не только сообщила этим проблемам специфическую окраску, но и начисто зачеркнула даже самую возможность действительного разрешения этих проблем и обрелась «народушко» на пассивное, то есть антигорьковское, созерцательное отношение к жизни.

Очень правильно говорится, что о работе писателя следует судить не по его субъективным намерениям, а по ее объективным результатам. Субъективные намерения автора «Исповеди», как это не трудно увидеть, были самые наилучшие и основывались не на заимствованных идеях. А вот результаты оказались отрицательными. Попытка поставить религию, какой бы «хорошей» она ни была, на службу социализму кончилась провалом. Иначе и быть не могло. Религия есть религия. «Богоискательство отличается от богостроительства или богосозидательства или боготворчества и т. п., — писал В. И. Ленин Горькому, — ничуть не больше, чем желтый черт отличается от черта синего» (18, 105).

Принципиальная, глубоко партийная критика В. И. Лениным богостроительских ошибок Горького, развернутая в его письмах к нему, не оставляет места ни для каких компромиссных решений в вопросе об общественной ценности «Исповеди». Вождь революции прекрасно видел, что создавая «новую» религию, Горький руководствовался самыми лучшими побуждениями. «Но это ваше доброе желание остается вашим личным достоянием, субъективным «невинным пожеланием», — писал В. И. Ленин Горькому. — Раз вы его написали, оно пошло в массу и его значение определяется не вашим добрым пожеланием, а соотношением общественных сил, объективным соотношением классов (19, 110—111). В. И. Ленин указывает, что были в истории времена, когда «борьба демократии и пролетариата шла в форме борьбы одной религиозной идеи против другой.

Но и это время давно прошло.

Теперь и в Европе и в России всякая я, даже самая утонченная, самая благонамеренная защита или оправдание идеи бога есть оправдание реакции» (18, 111).

Так писал В. И. Ленин, вскрывая корень, самую сущность ошибочной позиции, занятой Горьким в «Исповеди». Письма вождя революции по поводу «Исповеди» — высочайший образец принципиальной партийной критики — поражают отеческой заботой о писателе, для которого идеи ленинизма всегда были вдохновляющей и направляющей силой на его жизненном и творческом пути.

1. А. А. Поликанов, З. В. Уданова, И. Т. Трофимов, Русская литература конца XIX — начала XX вв., М., 1965.
2. Д. Философов, Евсей и Матвей. «Московский еженедельник», 1908, № 29.
3. К. И., Богоискагельство М. Горького (по поводу последней его повести «Исповедь», Берлин, 1908). «Московский еженедельник», 1908, № 35.
4. С. А., Литературное наследие 1908 г., «Слово», 1909, 4/1.
5. А. Нинов, Каприйкие встречи (Ленин и Горький в 1908—1910 годах). «Вопросы литературы», 1965, № 7.
6. Г. В. Плеханов, Избранные философские произведения, т. III, М., 1957. Статья Плеханова «О так называемых религиозных исканиях в России», откуда взята нами эта цитата, впервые опубликована в «Современном мире», 1909, №№ 9, 10, 12.
7. Архив А. М. Горького, т. IV, М., 1954.
8. М. Горький, Собр. соч. в тридцати томах, т. 29.
9. Летопись жизни и творчества А. М. Горького, т. II.
10. «Образование», 1907, № 10.
11. «Образование», 1908, № 7.
12. М. Горький, Собр. соч. в тридцати томах, т. 26.
13. Архив А. М. Горького, т. VII.
14. М. Горький, Собр. соч. в тридцати томах, т. 24.
15. Б. Бялик, Статьи о Горьком, М., 1947.
16. М. Горький, Собр. соч. в тридцати томах, т. 8.
17. В. Львов, Новая вера (по поводу «Исповеди» М. Горького). «Образование», 1908, № 7.
18. В. И. Ленин и А. М. Горький, Письма, воспоминания, документы, АН СССР, М., 1958.

ბ. ბიბოლოვი

მ. გორკის ერთი „სუსტი“ მოთხრობის შესახებ

რეზიუმე

ჩვეულებრივ ითვლება, რომ „აღსარება“ მ. გორკის „სუსტი“ მოთხრობაა, რადგანაც იგი, თითქოს, დაწერილია ა. ლუნაჩარსკის დემერტომუნებლობის იდეათა ძლიერი გავლენით. ამავე დროს, მრავალრიცხოვანი მონაცემები მეტყველებს იმის შესახებ, რომ გორკის ეს მოთხრობა იქმნებოდა ლუნაჩარსკის მიერ ამ საკითხზე დაწერილ წიგნთან — „რელიგია და სოციალიზმი“ ერთდროულად და დამოუკიდებლად და ამიტომ საეჭვოა ვიფიქროთ, რომ მან გავლენა მოახდინა „აღსარების“ ავტორზე.

მ. გორკის შემოქმედებაში „აღსარება“ შემთხვევითი რგოლი არ არის. მას საფუძვლად უდევს ცხოვრებისეული ზოგიერთი მოვლენა, რომელთა შესახებ თვითონ გორკი ლაპარაკობდა და, რაც მთავარია, ის განწყობილებანი და იდეე-

ბი, რომლებიც გორკის გაუჩნდა გარკვეულ ეპოქაში. მისი აზრით, შეხედულება-
 თა და გრძნობათა ღმერთმშენებლური სისტემა უნდა დაპირისპირებოდა „ჩვეუ-
 ლებრივ“ რელიგიას, მისტიკასა და ინდივიდუალისტურ განწყობილებათა თა-
 ვაწყვეტას რეაქციის წლებში, დაპირისპირებოდა როგორც ახალი მსოფლ-
 შეგნება — ხალისიანი, აქტიური, კოლექტივისტური. ასეთი იყო ის სუბიექ-
 ტური მიზეზები, რომლებმაც გორკის „აღსარება“ დააწერინა. ობიექტურად კი
 „აღსარება“ ადასტურებდა იმას, რომ მისმა ავტორმა დათმო რევოლუციური
 პოზიციები და მატერიალიზმი. მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და მორალური
 ხასიათის საკითხების გადაწყვეტა მ. გორკიმ გადაიტანა სოციალური სიბრტყე-
 დან რელიგიურ ძიებათა სფეროში, შეეცადა ღმერთმშენებლობა სოციალიზმის
 სამსახურში ჩაეყენებინა და ამით დაუშვა შეცდომა, რომლის ძირები და რეაქ-
 ციული არსი ვ. ი. ლენინმა გამოაშკარავა.



ივანე კოტლიარევსკი და ქართველი საზოგადოებრიობა

ოთარ ბაქანიძე

ახალი უკრაინული ლიტერატურის ფუძემდებლის — ივანე კოტლიარევსკის შემოქმედება იზიდავდა და ხიბლავდა არა მარტო უკრაინელ ხალხს, არამედ ქართველ საზოგადოებრიობასაც.

ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, საქართველო ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ეცნობა სახელოვანი უკრაინელი მწერლის დრამატურგიულ შემოქმედებას. უკრაინელი მოღვაწით დაინტერესება ქართული კულტურის ისტორიაში არ იყო მოულოდნელი და შემთხვევითი მოვლენა. საქართველოში იმ დროისათვის უკვე ცნობილი იყო უკრაინელი მოღვაწეების — პეტრე მოგილას, დიმიტრი ტუპტალოს, სტეფანე იავორსკის, თეოფანე პროკოპოვიჩისა თუ სხვათა შემოქმედება.

1845 წელს თბილისში არსდება რუსული თეატრი. საქართველოს დედაქალაქში გამართულ პირველივე სპექტაკლებზე წარმოდგენილ იქნა უკრაინული პიესებიც, მათ შორის ი. კოტლიარევსკის ორი პიესა — „პოლტაველი ნატალკა“ და „ჯადოქარი სალდათი“.

როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა, უკრაინული წარმოდგენები — სადმი ინტერესი ისეთი დიდი ყოფილა, რომ სპექტაკლის გამოცხადების დღეს სულ ერთი საათის განმავლობაში გაყიდულა ყველა ბილეთი. „ჩვენმა ახალმა დასმა, — აღნიშნულია ჟურნალ „რეპერტუარ ი პანტეონში“, — თავი გამოიჩინა. დღეს დილით ერთი საათის განმავლობაში ყველა ბილეთი გაიყიდა. ბევრი დარჩა უბილეთოდ“ ([1], 41). ამ ჟურნალის ინფორმაციაში ძალზე ძუნწად, მაგრამ მაინც სწორად არის აღნიშნული, რომ ი. კოტლიარევსკის პიესებში თბილისელმა მკითხველმა გაიგონა ცოცხალი, გულწრფელი სიტყვა. გაეცნო უკრაინელების ცხოვრებასა და ყოფას.

გაზეთი „კავკაზი“ ასევე აღნიშნავს თბილისში უკრაინელთა წარმატებას. იგი წერს: „პიესები „შკლმენკო“, „პოლტაველი ნატალკა“, „ნიშნობა გონჩარის უბანში“, ხოლო ყველაზე უფრო „ჯადოქარი სალდათი“ ისე გამოკვეთილად, ბუნებრივად და, შეიძლება ითქვას, ხელოვნურად სრულდებოდა, რომ ყველაზე მომთხროვნმა კრიტიკოსმა... უნდა აღიაროს, რომ მათი უკეთ შესრულება შეუძლებელია“ ([2], 2)

ასე გულითადად მიიღო საქართველოს საზოგადოებრიობამ ი. კოტლიარევსკის ნაწარმოებები „პოლტაველი ნატალკა“ და „ჯადოქარი სალდათი“.

ამ დროიდან გავიდა ხანი და ი. კოტლიარევსკის სამშობლოსთან, მისი ხალხის კულტურასთან ქართველი ხალხის კავშირი თანდათან გაფართოვდა და



გაღრმავდა. განსაკუთრებით განმტკიცდა იგი XIX საუკუნის მეორე ნახევარ-სათვის. პოლტავის, ხარკოვის, კიევის თუ სხვა ქალაქების გარდა, ქართულ-უკრაინული კონტაქტებისათვის ნოყიერი ნიადაგი გახდა რუსეთის ცენტრები, განსაკუთრებით — პეტერბურგი.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში შეხვდნენ ერთმეორეს გიორგი მანსურაძე და ტარას შევჩენკო. ამ ქალაქთანაა დაკავშირებული ბრწყინვალე ფურტლები ქართულ-უკრაინული კულტურული ურთიერთობისა — აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს შეხვედრან. კოსტომაროვის ბინაზე, დიმიტრი ყიფიანის მოგონება ლიტერატურულ საღამოზე შევჩენკოს გამოსვლის შესახებ და სხვ.

უკრაინისა და საქართველოს საზოგადოებრიობის ურთიერთდაახლოებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მრავალი ქართველი სწავლა-განათლების მისაღებად უკრაინას მიემგზავრებოდა. კიევის, ხარკოვის, ოდესის სასწავლებლებში მიიღეს განათლება შემდგომში სახელგანთქმულმა მოღვაწეებმა: ივანე გოგებაშვილმა, ვასილ პეტრიაშვილმა, პეტრე მელიქიშვილმა, შიო ჩიტაძემ, ნიკო ლომოურმა და სხვა მრავალმა.

უკრაინაში ჩასული ქართველები ეწაფებოდნენ არა მარტო მეცნიერებას, არამედ უკრაინელი ხალხის კულტურასაც. ისინი სწავლობდნენ და ეცნობოდნენ ამ ხალხის ყოფასა და ცხოვრებას, მათ კულტურას. უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილების — ივანე კოტლიარევსკისა თუ ტარას შევჩენკოს შემოქმედება, რა თქმა უნდა, მათი ყურადღების ცენტრში იქნებოდა. მაგრამ ქართველი საზოგადოებრიობის ფართო ფენები ი. კოტლიარევსკის დრამატურგიულ შემოქმედებას ახლოს გაეცნენ საქართველოში, უკრაინული პროფესიული დასების მეშვეობით.

მაღალი ხელოვნებით განებივრებული და თეატრალურ საქმეში საქმაოდ გამოვინებადახვეწილი მაცურებლის წინაშე მოუხდა გამოსვლა იმხანად ჩამოყალიბებულ უკრაინულ პროფესიულ დასებს მ. სტარიცკის, მ. კროპივნიცკის, მ. სადოვსკისა და სხვათა მეთაურობით.

საქართველოში ჩამოვიდნენ და ქართველი მაცურებლების სამსჯავროს წინაშე წარდგნენ გამოჩენილი უკრაინელი ხელოვანნი, უკრაინული პროფესიული თეატრისა და რეალისტური უკრაინული დრამატურგიის ფუძემდებლები, რომელთა მდიდარ რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ივანე კოტლიარევსკის პიესებს.

1889 წელს საქართველოში გასტროლების დროს მ. სტარიცკის მეთაურობით უკრაინულმა დასმა ქართველ მაცურებელს უჩვენა ი. კოტლიარევსკის პიესები „პოლტაველი ნატალკა“ და „ჯადოქარი სალდათი“. გაზეთების ფურცლებსა თუ თეატრალურ აფიშებზე კვლავ გამოჩნდა უკრაინელი შემოქმედის — ი. კოტლიარევსკის სახელი. უკრაინული დასების წარმოდგენების მეშვეობით ქართველ ხალხს საშუალება მიეცა ერთგვარად მთლიანობაში გაეაზრებინა ი. კოტლიარევსკის შემოქმედება.

როგორც პრესის ფურცლებიდან ჩანს, თბილისელებს განსაკუთრებით მოსწონებიათ ი. კოტლიარევსკის „პოლტაველი ნატალკა“. ეს პიესა ხალხის მოთხოვნით უკრაინულ დასს რამდენჯერმე წარმოუდგენია, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო მ. კროპივნიცკის რეჟისორობით განხორციელებული დადგმა.

1890 წელს უკრაინული თეატრის „მამის“, უკრაინული პროფესიონალიზმის ტრის დამაარსებლის, მ. კროპიენიციუს მეთაურობით საქართველოს ეწვია უკრაინული დასი, რომელმაც საქართველოს საზოგადოებრიობის წინაშე წარმოადგინა ი. კოტლიარევსკის „პოლტაველი ნატალკა“ და „ჯადოქარი სალდათი“. თბილისის გაზეთებმა მაღალი შეფასება მისცეს უკრაინული თეატრის მიერ წარმოდგენილ პიესას — „პოლტაველ ნატალკას“. სპექტაკლმა „საუცხოოდ ჩაიარა“ ([3], 3), მ. კროპიენიციუს თამაში „ტაშის გრიას იწვევდა“ ([4], 1), აღნიშნავდა პრესა.

მარკო კროპიენიციუმ, როგორც თანამედროვეთა მოგონებებიდან და იმ პერიოდის პრესიდან ჩანს, შეძლო მსაყურებლისათვის დაენახებინა მამასახლისის სიემშაყე და გაიძვერობა, ბრწყინვალედ გაეხსნა პიესის ავტორის — ი. კოტლიარევსკის ღრმა აზრები, ჩაქსოვილი მამასახლისის მხატვრულ სახეში და, საერთოდ, მთელ პიესაში.

1890-იან წლებში საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში კვლავ არაერთგზის ამოტივტივებულა ი. კოტლიარევსკის სახელი. ამ პერიოდში საქართველოში საგანსტროლოდ ჩამოსული უკრაინული დასების რეპერტუარში ი. კოტლიარევსკის პიესებს სავანგებო ადგილი ეკავათ. ასე წარდგა საქართველოს საზოგადოებრიობის წინაშე თავისი პიესებით ი. კოტლიარევსკი. ასე დიდი იყო მისი მხატვრული ქმნილებების წარმატებანი ქართული თეატრის სცენაზე.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში უკრაინულმა დასებმა ი. კოტლიარევსკის დრამატურგიული ხელოვნება, მის ნაწარმოებებში დაფარული ავტორისეული ღრმა აზრები დიდი ოსტატობით გაუხსნეს საქართველოს საზოგადოებრიობას. ქართველი მსაყურებელი ჩასწვდა უკრაინელი პოეტის ნაწარმოებთა დედაარსს, ამოიცნო იგი და გაუგო მის შემოქმედს. ამიერიდან მისთვის ი. კოტლიარევსკი ახლობელი და საყვარელი ხელოვანი გახდა.

საქართველოს საზოგადოებრიობა მხოლოდ ზემოთ მოხსენებული პიესებით როდი აფასებდა ი. კოტლიარევსკის მნიშვნელობას. მისთვის ნათელი იყო ის დიდი როლიც, რომელიც ი. კოტლიარევსკიმ შეასრულა ახალი უკრაინული ლიტერატურის დაფუძნებისათვის ბრძოლაში. ქართველი ინტელიგენცია იცნობდა უკრაინელი მგოსნის „ენეიდას“ და არა მარტო მის მხატვრულ ღირსებებზე მსჯელობდა, არამედ გახაზავდა ამ ნაწარმოების ეპოქალურ მნიშვნელობას ეროვნული მოძრაობის განვითარებაში, ეროვნული თვითშეგნების ამოღლებასა და ახალი უკრაინული ლიტერატურის შექმნაში.

გაზეთ „ივერიის“ მოწინავეში ცნობილი ქართველი მოღვაწე ა. ფრონელი ახსიათებდა რა XIX საუკუნეს, აღნიშნავდა, რომ „მეცხრამეტე საუკუნესაც თავისი საკუთარი ფერი და სხვა საუკუნის არამსგავსი ხასიათი და მიმართულება დაეტყო. ამ საუკუნემ წინ წამოაყენა სრულიად ახალი და ძველად უცნობი აზრი, აზრი ეროვნებისა, ანუ ევროპული ტერმინოლოგიით რომ ვიხმაროთ, ნაციონალიზმი“ ([5], 1).

სტატიის ავტორი გაცვრით იხსენებს უკრაინელი ხალხის მძიმე წარსულს, მშრომელი ხალხის შავ დღეებს, საუბრობს ეროვნული მოძრაობის განვითარებაზე, საერთოდ, მსოფლიოში და, კერძოდ, უკრაინაში. „ამ ერსაც გამოუჩნდა თავისი შაფარიკები და ყარაჯიჩები (არტემოვსკი-გულაკი, მაქსიმოვიჩი, სრეზნევსკი, კოსტომაროვი, ბოდიანსკი და სხვ.), — წერს ა. ფრონელი და განაგრ-



ობს: — ესენი მხურვალედ შეუდგნენ წარსულის შესწავლასა და დასახვეწს
ერს, ვინ არის იგი, რა იყო, რას უნდა ეტანებოდეს და რას უნდა მოელოდეს
მომავალში“ ([5], 1). ა. ფრონელისა და თვით გაზეთის რედაქციის აზრით, სა-
ხალხო პოეტებმა — ტარას შევჩენკომ და ივანე კოტლიარევსკიმ სული შთაბე-
რეს ეროვნულ მოძრაობას. „საერო პოეტებმა ტ. გ. შევჩენკომა და კოტლია-
რევსკის „ენეიდა“ ფრთები შეასხა ამ მოძრაობას“, — ნათქვამია მოწინავეში.

„ივერიის“ აზრით, ტარას შევჩენკოსა და ივანე კოტლიარევსკის შემოქმე-
დებამ, გამსჭვალულმა სამშობლოსა და მშობელი ხალხისადმი უსაზღვრო სიყ-
ვარულით, ააღორძინა და განავითარა უკრაინელ ხალხში ეროვნული სიამაყის,
ეროვნული თვითშემეცნების გრძობა. მათი გავლენით, — წერს გაზეთი, —
„ეროვნული სულთქმა ისე გაძლიერდა მალოროსიაში და თვალსაჩინო გახდა,
რომ ბევრმა ბოროტმა სულმა თვალები აჭყიტა და გააბა უგვანო ძახილი,
დროა ძირიანად ამოვფხვრათ „მავნე მიმართულება“ მალოროსების ლიტერა-
ტურისა, თორემ შემდეგ ძნელი-და იქნება მისი შეჩერებაო“. ეს იყო უნაყოფო
ყმული განწირულთა — ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული ლი-
ტერატურისათვის მოძრაობის შეჩერება შეუძლებელი იყო.

ტარას შევჩენკოს გვერდით ივანე კოტლიარევსკის სახელის მოხსენიებით
პროგრესული ქართული საზოგადოებრიობის აზრის გამომხატველი გაზეთი
„ივერია“ მაღალ შეფასებას აძლევდა „ენეიდის“ ავტორის შემოქმედებას.

უკრაინელი მგოსნის მხატვრულმა სიტყვამ თუ პიესებში ჩაქსოვილმა აზრმა
ქართველ შემოქმედთა პოეტურ ინტერესზეც მოახდინა გავლენა.

ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურული ურთიერთობის განმტ-
კიცებას ემსახურებოდა მოძმე ერის მწერალთა ნაწარმოებების თარგმნაც. რო-
გორც ცნობილია, ტარას შევჩენკო ქართულ ენაზე პირველად ამეტყველდა 1877
წელს, ხოლო 1893 წელს კი აურნალ „კვალში“ ქართულ ენაზე პირველად ახმი-
ანდა ი. კოტლიარევსკის პოეტური სიტყვა. სილოვან ხუნდაძემ ქართულ ენაზე
თარგმნა ი. კოტლიარევსკის საყოველთაოდ ცნობილი მშვენიერი ლექსი „ქრიან
ქარნი“. ეს ლექსი ქართულ ენაზე მრავალჯერ დაიბეჭდა და მის ავტორად სამ-
წუხარო გაუგებრობის გამო ყველგან მითითებული იყო ტარას შევჩენკო. „ქრიან
ქარნი“ ჯერ კიდევ შევჩენკოს სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლამდე, კოტლიარე-
ვსკის გამოყენებული აქვს თავის „პოლტაველ ნატალკაში“. ამ გაუგებრობაზე
მიუთითა ი. გრიშაშვილმა თავის ნარკვევებში ([6], 198). კოტლიარევსკის ნა-
წარმოების ავტორად შევჩენკოს მონათვლის მიზეზად ი. გრიშაშვილს მიაჩნია
კობზარის საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტი. მისი აზრით, „მეძილება ეს
აიხსნას შევჩენკოს პოპულარობით: „რაც უკრაინულია — შევჩენკოსია, მიეცეს
და მიემატოს!“ [6].

შესაძლოა ეს ასეც იყოს, მაგრამ ალბათ ისიც საფიქრებელია, რომ სილო-
ვან ხუნდაძისათვის, თუკი იგი უკრაინულ ლიტერატურას იცნობდა, კოტლია-
რევსკის სახელიც არ იქნებოდა უცნობი.

ივანე კოტლიარევსკი უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების საკმაოდ
სახელგანთქმული მოღვაწე იყო. მის შემოქმედებას ფართო საზოგადოებრიო-
ბა იცნობდა. მისი „ენეიდა“, „ჯადოქარი სალდათი“, „პოლტაველი ნატალკა“,
განსაკუთრებით კი ეს უკანასკნელი — უკრაინული ლიტერატურის კლასიკუ-
რი ქმნილებაა და უკრაინული სცენის სიცოცხლისაგან განუყოფელი. არ არსე-

ბობდა უკრაინული დასი, რომელსაც „პოლტაველი ნატალკა“ თავისი ტუარის წამყვან პიესად არ ექცია, ხოლო თვით ეს სიმღერა კი, რომელიც ს. ხუნდაძემ თარგმნა ქართულად, სცენაზე სისტემატურად სრულდებოდა ცალკე ნომრადაც. ამიტომაც ს. ხუნდაძეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ი. კოტლიარევსკის არსებობის შესახებ, მით უმეტეს, რომ იგი ხარკოვში იყო ჯერ კიდევ 1880 წელს და ახლოს ეცნობოდა უკრაინულ ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ახლა რაც შეეხება თარგმანს.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სილოვან ხუნდაძეს შესანიშნავად უთარგმნია კოტლიარევსკის ლექსი. მას შეუწარჩუნებია უკრაინელი პოეტის მიერ ამ ლექსში ჩაქსოვილი განწყობილებანი და ცდილა ქართველი მკითხველისათვის იგი მისაწვდომი გაეხადა.

„ქრიან ქარნი“ უკრაინულ ენაზე შესრულებულია თოთხმეტმარცვლოვანი ლექსით. ქართულად მთარგმნელს იგი გადმოტანილი აქვს თექვსმეტმარცვლოვანი ლექსით, თანაც ისე, რომ დიდ ცეზურამდე რვა მარცვლოვანი ლექსი აბსოლუტური საზუსტით ქორეებისა და იამბების შესატყვისი მონაცვლობით აქვს გადმოტანილი, ხოლო ცეზურის მეორე ნაწილიც მთლიანად ეტევა სასიმღერო ფრაზაში.

მთარგმნელი ზოგან თავისუფლად ექცევა დედანს, ცვლის სიტყვებს, ტექსტს უცვლის შინაარსს. ასე, მაგ., უკრაინული *буиний* თარგმნილია შესაზარად, უნდა იყოს *მძინვარედ*; უკრაინულში საუბარია ხის მოხრაზე (*аж деревья гнутя*), ს. ხუნდაძემ ხეებს მარტო კენწეროები მოახრევინა; უკრაინულად ნათქვამია: „ო, როგორ მტკივა გული, მაგრამ ცრემლებს ვერ ვღვრი, არ მომდის ცრემლებიო“. მთარგმნელმა ამის მაგივრად დაწერა — „თვალნი ცრემლებს ღვრიანო“, სტროფი — „ჩემებრ ბევრ სხვას ბედი რისხავს, — ენატრებათ შვება“, — არ შეესიტყვება უკრაინულ დედანს. ლექსის ბოლო სტროფი — „ვის შევცქირო“ — მთარგმნელმა ერთი სტროფით წინ გადაადგილა და სხვ.

მიუხედავად ამ მცირე გადახვევებისა, სილოვან ხუნდაძის თარგმანი მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული. ი. გრიშაშვილის სიტყვებით, „ეს სასიმღერო ლექსი... საუცხოოდ თარგმნა სილოვან ხუნდაძემ“ ([6], 198). იგი ხალხმა მიიღო და ამიტომაც იყო, რომ გაზეთში მისმა ერთხელ გამოქვეყნებამ არ იკმარა.

ი. კოტლიარევსკის სახელმა მის სიცოცხლეშივე გადალახა უკრაინის საზღვრები: ფეოდალურ-ბატონყმური სინამდვილის მიერ წარმოქმნილი მახინჯი მოვლენების მკაცრი დამგობელის, ნიჭიერი პოეტი-ჰუმანისტის შემოქმედებითს მოღვაწეობას სავსებით დამსახურებულ მაღალ შეფასებას აძლევდნენ უკრაინელი თუ რუსი მოღვაწეები — ტარას შევჩენკო, ივანე ფრანკო, პანას მირნი, მიხაილო კოციუბინსკი, ვლადიმერ კოროლენკო, მაქსიმ გორკი, ქართველი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე) და სხვანი.

პოეტის სახელი არ კარგავდა ელვარებას, ხოლო ინტერესი მისი შემოქმედებისადმი კი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება 1903 წელს მწერლის ძეგლის გახსნის ფაქტი მშობლიურ ქალაქში, პოლტავაში. ამ ღირსშესანიშნავმა მოვლენამ გამოხმაურება პოვა არა მარტო უკრაინულ-



ქართული
საქმიანობა

ლი, არამედ ქართული გაზეთების ფურცლებზეც. ქართულ პრესას მიეცა კვლავ მიზრუნებოდა შესანიშნავი მწერლის შემოქმედების შეფასებას, ამავე დროს მისალმებოდა უკრაინელების კეთილშობილურ ნაბიჯს და მოეწოდებინა თავისი თანამოძმეებისათვის — მიებაძათ ამგვარ საქმეში უკრაინელებისათვის.

„სასიამოვნოა, — წერდა „ივერია“, — როდესაც გესმის, რომ ერი აფასებს... თავის დამამშვენებელს ადამიანს, არ იფიქრებს მის ღვაწლსა და შრომას“ [7]. ამგვარი ლოგიკური წანამძღვარის შემდეგ სტატიის ავტორი აზოგადებს ამ აზრს და აკეთებს დასკვნას: „დიადია უკრაინა, დიადია უკრაინელი ხალხი იმიტომაც, რომ იცის თავისი შვილების დაფასება. გაზეთის შეხედულებით, სწორედ ამგვარი მოქმედებით თვით ერი უკვდავპყოფს თავის თავს. „ის ხალხი ამტიციებს თავის უეჭველ მომწიფებას, წერს გაზეთი, — დავაყვაცებას. ასეთ ხალხს ეკუთვნის დღეს მალოროსიაც“ [7]. „ივერიის“ თვალსაზრისით, უკრაინა იყო იმ გმირი ხალხის სამშობლო, რომელმაც, თავსდამტყდარი მრავალი ჭირ-ვარამის მიუხედავად, შეძლო ეროვნული თვისებების შენარჩუნება, შეძლო წმინდად და უმწიკვლოდ გამოეტარებინა საუკუნეთა ავბედობაში თავისი ეროვნული სული, „მაგრამ, რაც უნდა დუხჭირი დარბევა გამოიაროს ხალხმა, — ხაზგასმით აღნიშნავდა „ივერია“, — თუ ეროვნული ზნეობრივი თვისებანი უცვლელად შეინახა, მაინც არ გადაგვარდება, არ მოკვდება. სწორედ ესე იყო მალოროსთა ცხოვრებაშიც“ [7]. ამ ხალხს, — წერდა გაზეთი, — „დიდი ხნის ტანჯვა-წვალებამ, დაუდგრომელმა ცხოვრებამ, ათანსაირმა შევიწროვებამ ვერ შეუტყალა გული და სული“ [7].

მართალია, „ივერია“ ამგვარ მოსაზრებას გამოთქვამდა კონკრეტულად უკრაინელი ხალხის მიმართ, მაგრამ მას საკუთარი ერის, ქართველების, მაგალითი ედგა თვალწინ და იმიტომაც ასე დაბეჯითებით და ერთგვარი სიამაყითაც საუბრობდა მოძმე უკრაინელ ხალხზე, რომელმაც, როგორც ქართველმა ერმა, მომხდურებთან თუ შინაურ მტრებთან ბრძოლებში გამოაწრთო თავისი ეროვნული ძალა. ამ მოვლენის დამადასტურებელ ფაქტად, უკრაინელი ხალხის ეროვნული სიმტიციის, უდრეკელობის ფაქტად, „ივერია“ ასახელებს ი. კოტლიარევსკის შემოქმედებას. მისი აზრით, უკრაინელი მგოსნის შემოქმედება იყო ერთგვარად მისი ხალხის ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი. „ამის უტყუარი საბუთია, — წერდა „ივერია“, — ივ. კოტლიარევსკის ეროვნული კილო, ხალხური ენა და სამშობლოს სიყვარული“ [7].

თავისი ამ პატარა განცხადებით „ივერია“ ი. კოტლიარევსკი აღიარა გმირი უკრაინელი ხალხის ჭეშმარიტ შვილად, ხოლო მისი შემოქმედება — მშობელი ხალხის ჭეშმარიტად ეროვნული თვისებების, ხასიათის მატარებლად.

„ივერია“ ერკვეოდა უკრაინული კულტურული მემკვიდრეობის ავკარგინაობაში. მისთვის ნაცნობი იყო უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსების — ტარას შევჩენკოსა თუ ივანე ფრანკოს, პანას მირნისა თუ მიხაილო კოციუბინსკის და სხვათა სახელები, რომელთა შემოქმედებისა თუ მოღვაწეობის შესახებ თავისი ფურცლებიდან ესაუბრებოდა კიდევ ქართველ მკითხველებს. სწორედ ამიტომაც ქართული კრიტიკული აზრის ერთ-ერთმა უძველესმა კერამ — „ივერია“, საჭიროდ ჩათვალა თავისი მკითხველებისათვის შეესხენებინა ერის დიდი მოღვაწის — ივანე კოტლიარევსკის სახელი.

უკრაინელი ერის სათანადო, მაღალი შეფასების შემდეგ „ივერიის“ ვითითებს, თუ ვის აფასებს ასე ეს დავაუკაცებელი, მაღალი პატივისცემის ღირსი უკრაინელი ხალხი. „კოტლიარევსკი იყო ერთი იმ მოწინავე კაცთაგანი, — აღნიშნავს გაზეთი, — რომელმაც პირველად დათესა მაღლიანი ხელით კეთილი თესლი ეროვნული თვითშემეცნებისა; რომელმაც პირველად გააგონა თავის შეკოჭილ თანამემამულეთ სამშობლო ენის სასიამოვნო ბგერა პოეზიაში“ (3). აი როგორ მოღვაწეს, თავისი ხალხის ერთგულ, თავდადებულ შვილს, გაზეთის აზრით, იხსენებს მაღლიერი უკრაინელი ხალხი.

პრესაში მართებულადაა შენიშნული, რომ ი. კოტლიარევსკი უპრეტენზიო, შრომისმოყვარე და თავმდაბალი ადამიანი იყო, რომელსაც მხოლოდ ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა — ემსახურა თავისი მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ. მას „სხვებისაგან მეტის-მეტი განდიდების სურვილი არ ახრჩობდა, — აღნიშნავს გაზეთი, — კმაყოფილი იყო, ფრთა-გაშლილი ქება-შესხმის მაგიერ, რომელსაც ზოგიერთი მისი თანამემამულენი ეღიროსნენ რუსეთში, გულწრფელად, შეუპოვებლად ემუშავნა სამშობლო ენისა და მხარის საკეთილდღეოდ“ [7].

„ივერიას“ მიაჩნია, და საესებით სამართლიანადაც, რომ ი. კოტლიარევსკიმ დაუფასებელი როლი შეასრულა ახალი უკრაინული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ახალი უკრაინული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში. მისი აზრით, ი. კოტლიარევსკი იყო ახალი უკრაინული ლიტერატურის დამწყები, მისი შემოქმედი. უკრაინელმა მგოსანმა, „ივერიის“ შეხედულებით, დაიწყო და კიდევ მიაღწია სურვილს, ჯერ დაბადა და მერე ფეხიც აადგმევინა ნორჩს მალოროსიულ მწერლობას. „ამ მხრივ კოტლიარევსკის ღვაწლი დაუფასებელია“ [7].

„ივერიის“ ფურცლებზე სტატიის ავტორი გონების თვალს გადაავლებს უკრაინელი მწერლის შემოქმედებით მოღვაწეობას, გაიხსენებს პოეტურ სარბიელზე „ენეიდას“, „პოლტაველი ნატალკას“, „ჯადოქარი სალდათის“ გამოჩენას, XIX საუკუნის დამდეგის უკრაინული ლიტერატურული სამყაროს სურათს და დაასკვნის: „კოტლიარევსკიმ პირველმა ააქდერა ჩანგი მალოროსიულად. მან დაუდო სათავე მალოროსთა პოეზიას და მწერლობას“ [7].

„ივერიის“ მცირე მოცულობის საინფორმაციო სტატიაში უკრაინელი მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობის ზოგადი სურათის გარდა, ავტორი ცდილობს ცალკე გამოკვეთოს და ორიოდ ფრაზით მაინც შეაფასოს ი. კოტლიარევსკის „ენეიდა“.

დ. ნახუცრიშვილი აღნიშნავს, რომ უკრაინელი მგოსნის ამ ნაწარმოებს ახასიათებს ენის სიმახვილე, მძაფრი კომიკური სიტუაციები. მისი აზრით, „ენეიდა“ ისეა დაწერილი, რომ „მის წამკითხველს არ შეუძლიან სიცილი შეიკავოს; მჩქეფარე იუმორი, ბასრი ენა, სასაცილო მდგომარეობანი ისე აქვს შეხამებული, რომ მკითხველს ჰგონია, ეს ნაწარმოები ორიგინალურია“ [7].

„ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ი. კოტლიარევსკის „ენეიდა“ დაწერილია ხალხური ენით, მასში სჩქეტს ხალხური სიბრძნე, დამშვენებულია გამაცოცხლებელი იუმორით და, საერთოდ, მაღალმხატვრული ნაწარმოებია. სწორედ ამ თვისებათა გამო, უკრაინელი მგოსნის ეს ქმნილება ხალხს საუკეთესო მხატვრულ ძეგლად მიაჩნია. „ამიტომაც უყვართ მა-



ლოროსებს ამ წიგნის კითხვა, — წერს „ივერია“, — სასიამოვნოც არაა დასტულებსაცა ჰეხანს“ [7].

ქართული გაზეთი ი. კოტლიარევსკის დიდ დამსახურებად თვლის ლიტერატურაში ნამდვილი უკრაინული ხალხური ენის გაცოცხლებას. „კოტლიარევსკი სხვაფრივ შესანიშნავი კაცი იყო, — აღნიშნავს გაზეთი, — მან პირველმა გაბედა ხუმრობით, სასაცილო კილოთი მალლოროსიული ენის გაცოცხლება“ [7].

სტატიის ავტორი იმასაც ცდილობს, რომ განმარტოს, გავიწიფროს მიზეზი, რომლის გამოც ი. კოტლიარევსკიმ თავისი გმირები „განათლებული“ პანები-სათვის მიუღებელ უკრაინულ ენაზე აამეტყველა. „ამ კილოს ალბათ იმიტომ მიჰპარათა, — წერს დ. ნახუცრიშვილი, — რომ უფრო სასიამოვნო ყოფილიყო წამკითხველისათვის და მეტი ყურადღებაც დაემსახურებინა“ [7].

აქვე უნდა ითქვას, რომ „ივერია“ იცის და აღნიშნავს კიდევ უკრაინის გაბატონებულ კლასებში თავისი მშობლიური ენისადმი დამკვიდრებული დამოკიდებულების შესახებ. „ივერია“ იცის, რომ ეს პანები ცდილობდნენ არა მარტო დაევიწყებინათ თავიანთი ენა, არამედ მწარედაც კი დასცინოდნენ უკრაინულ ენას. ქართველმა საზოგადოებრიობამ ისიც იცის, თუ როგორ წმინდად ინახავდნენ და თავგამოდებით იცავდნენ უკრაინის ერთგული შვილები თავის დედაენას. ამიტომაც აღნიშნავს ქართული პრესა სიამოვნებით, რომ ი. კოტლიარევსკიმ საჭეყნოდ ალაპარაკა, აამეტყველა თავისი გმირები მშობლიურ ენაზე და თანაც ისე მომხიბლავად და გულსჩამწვდომად, რომ ერთბაშად მოინადირა თავისი მკითხველების, უკრაინის მთელი პროგრესული კულტურული საზოგადოების გული.

გაზეთმა „ივერია“ სამართლიანად აღნიშნა ი. კოტლიარევსკის დამსახურება თავისი ხალხისა და კულტურის წინაშე და გახაზა ის ფაქტი, რომ ი. კოტლიარევსკის მიერ წამოწყებულმა საქმემ იხარა: ხალხმა შეიყვარა წიგნი, ლიტერატურულ ასპარეზზე დაიწყეს გამოსვლა ახალი უკრაინული ლიტერატურის ნიჭიერმა წარმომადგენლებმა, მათ შორის — დიდმა ტარას შევჩენკომ.

ქართულმა საზოგადოებრიობამ პრესაში გაიხსენა ი. კოტლიარევსკის უკვდავი „ენეიდა“, არაერთგზის შეეხო პიესების „პოლტაველი ნატალკას“ და „ჯადოქარი სალდათის“ მაღალ ღირსებებს, ჰქონდა ბედნიერება თავის საკუთარ მშობლიურ ენაზე მოესმინა უკრაინელი პოეტის მშვენიერი ლექსი და მისგან განეცადა ესთეტიკური ტკბობა. ქართველი ხალხი დიდხანს უყურებდა შემფასებელი თვალთ უკრაინული სიტყვის ჯადოქარის პოეზიას, ძუნწად, მაგრამ მაინც ყოველთვის სამართლიანად აღნიშნავდა მის ღირსებებს, და მიეცა თუ არა შემთხვევა, გულმართლად და გულწრფელად გაიხარა, როდესაც ხალხმა ღირსეული შვილი ღირსეულად დააფასა.

ქართულმა კრიტიკულმა აზრმა, თითქმის თეზისების სახით, მაგრამ მაინც საფუძვლიანად გამოთქვა თავისი მართებული აზრი უკრაინელი მგოსნის პოეტური მემკვიდრეობის რაობის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ქართველი საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს სავსებით სამართლიანად თვლიდა ი. კოტლიარევსკის ახალი უკრაინული ლიტერატურის დამწყებად, თავისი ხალხის ერთგულ შვილად, უკრაინელი ხალხის ეროვნული თვითშემეცნების ამბავად, ახალი უკრაინული სალიტერატურო ენის ფუძემდებლად. ქარ-

თული კრიტიკული აზრის ეს მართებული დასკვნები სწორად იქნა შენიშნული და გამოთქმული ქართული პრესის ფურცლებზე.

„ივერიის“ პროგრესულ პოზიციებზე მეტყველებს არა მარტო მისი დამოკიდებულება ი. კოტლიარევსკისადმი, მისი შემოქმედებისადმი, არამედ აგრეთვე უკრაინის წარსულის შეფასება, დაკავშირებული სამწერლო საარბიელზე პოეტის გაძოსვლის მომენტისათვის შექმნილი მდგომარეობის დახასიათებასთან. ამასთან კავშირში უნდა აღინიშნოს საყურადღებო ფაქტი — „ივერიის“ ზემოთ დასახელებულ სტატიაში სწორი შეფასება ისეთი მოვლენისა, როგორც იყო „პერეიასლავის რადას“ გადაწყვეტილება.

„ივერიაში“ მოთავსებული სტატია მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ლამაზი და კოპწია ქალაქი პოლტავა, სამშობლო კოტლიარევსკისა, ღირსეულად უხდის მადლობას ღირსეულ შვილს, მის ხსოვნას ჩამომავლობისათვის უკვდავყოფს, გულისხმიერად იგონებს სამშობლო მხარისათვის გაწეულ ამავს“ [7].

გაზეთი გახაზავს უკრაინელთა მაღალმოქალაქეობრივ შეგნებას, მათ მაღალ პასუხისმგებლობას, რითაც მოეკიდნენ ისინი თანამემამულის სახელის უკვდავყოფის საპატიო საქმეს.

„ივერიის“ ცნობით, ი. კოტლიარევსკის ძეგლის გახსნა ქალაქ პოლტავაში ნავარაუდევია იყო 30-31 აგვისტოსათვის. საქართველოს საზოგადოებრიობას ამ მნიშვნელოვანი მოვლენის თაობაზე „ივერია“ ესაუბრება უკვე 29 აგვისტოს, უკრაინული კულტურის ზეიმის წინა დღეებში.

ქართული პროგრესული პრესის გამოხმაურება უკრაინელი ხალხის ეროვნულ ზეიმზე თავისთავად მეტყველებდა, თუ რა დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საქართველოს პროგრესული საზოგადოებრიობა მოძმე ერის კულტურას.

რა უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო მოცულობით „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატია, რა მცირე საკითხები არ უნდა მოეცვა თუ გაეშალა მას, რა ზოგადადაც არ უნდა ესაუბრა მის ავტორს, — თვით ფაქტი იმისა, რომ იუბილეს წინა დღეებში ასეთი პროგრესული პოზიციებიდან აღიქმებოდა უკრაინელი მგოსნის შემოქმედება, ფრიად მნიშვნელოვანი იყო.

„ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით არის ერთი ყურადსაღები დეტალი. სტატიას დართული აქვს შენიშვნა, სადაც აღნიშნულია, რომ უკრაინელები ატყობინებენ ქართულ გაზეთს — საზეიმოდ ვხსნით ი. კოტლიარევსკის ძეგლს და გამოგვიგზავნეთ თქვენი წარმომადგენელი ამ ზეიმზეო.

„ივერიაში“ მოთავსებული ეს შენიშვნა გვიჩვენებს, რომ ისტორიული მეგობრობა ამ ორ ხალხს შორის არ შეწყვეტილა, რომ ამ ორი ერის ძველისძველი, საუკუნო მეგობრობა ახალ და ახალ ფორმებში ვლინდება. ხალხი თავის ეროვნულ ზეიმს ახარებს და უნაწილებს მის კეთილისმყოფელ მეგობარს და ამით ზრდის თავის სიხარულს, მოქმედებს ძველისძველი ხალხური სიბრძნის მიხედვით — გაზიარებული სიხარული ორკეცი სიხარულიაო.

ქართველი მეგობრებისადმი გამოგზავნილ უკრაინელთა თხოვნაში და „ივერიის“ გამოპასუხებაში აშკარად ჩანს, თუ როგორ აფასებდნენ უკრაინელები და ქართველები ამ მეგობრობას, რა პატივს სცემდნენ ისინი ამ ძმურ ურთიერთობას.

გადიოდა ხანი და უკრაინელი მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის — ი. კოტლიარევსკის ცხოვრება-შემოქმედება საქართველოს პრესაში კვლავ და კვლავ



პოულობდა ასახვას. ქართველი მკითხველი, ახალი თაობა გულწრფელი ინტერესითა და სიყვარულით იხსენებდნენ და ეცნობოდნენ სიტყვის დიდოსტატის ხელოვნებას, მისი ცხოვრების ნარეკლიან გზას.

ი. კოტლიარევსკის შემოქმედებითი გზის გაშუქება განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა საბჭოთა ეპოქაში. მწერლის საიუბილეო თარიღებს სხვადასხვა დროს გამოეხმაურნენ საქართველოს რესპუბლიკური ყურნალები თუ გაზეთები — „მნათობი“, „ლიტერატურული საქართველო“, „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, აგრეთვე — „საბჭოთა ოსეთი“, „საბჭოთა აფხაზეთი“ და სხვ.

იოსებ გრიშაშვილმა უაღრესად საინტერესო აზრები გაუზიარა მკითხველს ი. კოტლიარევსკის ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით, ხოლო ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ცნობილმა მკვლევარმა — ვ. იმედაძემ თავის სტატიაში ქართველ მკითხველებს მოუთხრო გაზეთ „ივერიაში“ ი. კოტლიარევსკის შესახებ გამოქვეყნებული წერილის თაობაზე.

პ. ქანაშვილი, ა. მალრაძე, ი. ბარათელი პრესის ფურცლებიდან („საბჭოთა მსწავლებელი“, „ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“) გვესაუბრებოდნენ ი. კოტლიარევსკის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ავტორთა სტატიების გვერდით საქართველოს პრესაში ქვეყნდებოდა აგრეთვე ა. ბელეცაიას, ბ. კორნეევის, გ. ნაზარენკოს, ო. იურენკოსა და ა. ზაბაშტას საყურადღებო წერილები უკრაინელი მგონის შესახებ. 1960 წელს თ. ბუაჩიძემ თავის წიგნში „ლიტერატურული წერილები“ საგანგებო ადგილი დაუთმო უკრაინელ პოეტსა და მოღვაწეს — ი. კოტლიარევსკის. საქართველოს საზოგადოებრიობაზე ი. კოტლიარევსკის ნაწარმოებების მიერ მოხდენილ შთაბეჭდილებებზე თავიანთ ნაშრომებში ისაუბრეს ი. ლუცენკომ, ნ. შალუტაშვილმა და სხვებმა.

ი. კოტლიარევსკის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა და გაშუქება ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ლექციებსა თუ სემინარებზე, საკურსო თუ სადიპლომო სამუშაოების შესრულების დროს ახალგაზრდობა ღრმად ეცნობა და საგანგებოდ იკვლევს უკრაინელი მგონისა და მოღვაწის პოეტურ სიტყვასა თუ ცხოვრების გზას, მის მოქალაქეობრივ სახესა თუ დრამატურგიულ ხელოვნებას.

რუსული ლიტერატურის კათედრა

(რედაქციას მოუვიდა
1970 წ. 3 აპრილს)

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ყურნალი «Репертуар и пантеон», № 1, 1846.
2. გაზეთი „Кавказ“, № 2, 1846.
3. გაზეთი „Иверия“, № 196, 1890.
4. გაზეთი „Тифлисск. листок“, № 210, 1890.
5. გაზეთი „ივერია“, № 212 1890.
6. ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. IV, 1964.
7. დ. ნ ა ხ - შ ვ ი ლ ი, მალოროსთა მწერალი ივანე კოტლიარევსკი, „ივერია“, № 185, 1903.

О. А. БАҚАНИДЗЕ

ИВАН КОТЛЯРЕВСКИЙ И ГРУЗИНСКАЯ ОБЩЕСТВЕННОСТЬ

Резюме

По имеющимся у нас сведениям, знакомство грузинской общественности с драматургическим творчеством выдающегося украинского писателя впервые произошло в 1845 году, когда в Тифлисе были поставлены пьесы И. Котляревского.

Широкие слои грузинской общественности с творчеством И. Котляревского более ближе и глубже ознакомились в самой Грузии, посредством выступлений украинских профессиональных трупп под руководством М. Старицкого, М. Кропивницкого, Г. Деркача, А. Суслова и А. Суходольского, М. Садовского и М. Заньковецкой и др. Но особый успех пьесы И. Котляревского имели в постановке труппы М. Кропивницкого.

Грузинская общественность оценивала значение И. Котляревского не только по его пьесам. Она была знакома с его «Энеидой», подчеркивала ее художественные достоинства и, главное, эпохальное значение этого произведения в развитии национального движения, в поднятии национального самосознания и в становлении новой украинской литературы.

Художественное слово украинского поэта, его мысли, воплощенные в произведениях, оказали влияние и на поэтические интересы грузинских творцов. В 1893 г. в журнале «Квали» зазвучало поэтическое слово И. Котляревского. Силован Хундадзе перевел на грузинский язык замечательное стихотворение И. Котляревского—«Віють. вітри, віють буйні». Несмотря на некоторые отступления от оригинала, перевод выполнен Силованом Хундадзе на высоком художественном уровне.

Грузинская критика правильно подчеркивала большое значение культурного наследия украинского писателя, и уже в конце XIX — начале XX веков считала И. Котляревского зачинателем новой украинской литературы, основоположником нового литературного языка.

О жизни и творчестве украинского писателя и общественного деятеля И. Котляревского неоднократно печатались статьи в грузинской прессе, но особенно плодотворна работа по изучению творчества писателя, проведенная в советскую эпоху.

Литературное наследие И. Котляревского интенсивно изучается также в ВУЗ-ах Грузии.

Жизнь и творчество Котляревского — писателя, общественного деятеля, гражданина, одного из лучших сынов украинского народа заслуживает глубокое уважение и любовь грузинского народа.

ახვისის გათვზიდავ

გიორგი ახვლედიანი

გალობა 34¹

1. სიტყვისა, საქმისა და შესაწირავისათვის, ჰოი მაზდავ², გვანიჭებ სამარ-
თალს, უკვდავებას და კეთილდღეობას. ამიტომ გვწადია მოგართვათ ამის საბაბი,
მაზდავ.

2. ვინათგან ყოველი კეთილნამოქმედარი ხვადდება ერთად შენდამი, ჰოი
მაზდავ, ვედრებისა და სადიდებელი გალობის საუნჯეში.

3. კრძალვით მოგართმევთ შესაწირავს, მაზდავ და აშავ³, რათა სრულქ-
მნათ, ვოჰუმანას⁴ მეშვეობით, ყოველი არსება, ვინათგან თქვენებრთან უზრუნ-
ველყოფილია კეთილგონიერი.

4. გესურს, რათა შენმა ცეცხლმა⁵, აშას მიერ ძღვევამოსილმა, გულმართალს
მიანიჭოს თვალსაჩინო სიამე, ხოლო მტერს, მაზდავ, ვაება, შენი ხელის მინიშნებით.

5. რაოდენ ძლიერნი არიან, რაოდენ ძალუძთ, ჰოი მაზდავ, შემისრულონ
აშამ და ვოჰუმანამ, რასაც ვითხოვ? ჩვენ ვღვევით მტაცებელს—როგორც დაევებს⁶,
ისე აღამიანებს.

6. უკეთუ ნამდვილ ასეთნი ხართ, მაზდავ, აშავ და ვოჰუმანავ, მებოძოს
ნიშანი, რათა ამქვეყნიურ სავანთა მიმართ ვიარებოდე თქვენს წინაშე თავმომ-
წონედ, ღირსეულად.

7. სად არიან ისეთნი, ჰოი მაზდავ, ვინც კეთილ მსოფლიოში თავიანთი
მოძღვრებით ვაგლახს სიხარულად აქცევენ? თქვენს გარდა, ასეთს არავის ვიც-
ნობთ; ამიტომ დაგვიფარეთ.

8. თავიანთი მოქმედებით ისინი შიშსა გვეგვიან: ისინი—შენი მოძღვრების
მტერნი—ჩემზე ძლიერნი არიან; ვისაც არ სურს სიმართლის ცოდნა, მოშორდეს
კეთილსამყოფელს.

9. ბოროტნი თავაშვებულნი არიან, ისინი აშინებენ იმათ, ვინც შენი მცოდ-
ნენი, მაზდავ, და არმატისა⁷ პატივმცემელნი არიან: აშა გაურბის მათ, ვითარცა
ჩვენ—მტაცებელს.

10. კეთილი აზრის შემქმნელთან მტკიცედ დგომა მოისურვა გონიერმა,
არმატისთან, აშას მეგობართან—მან, მცოდნემ, აპურავ, და ყოვლისა თანა, რაც კი
კეთილია შენს სამეუფეოში, მაზდავ!

11. ორივე შენ უნდა კვებო—ღღეკეთილობისა სასმელით და უკვდავებისა
საქმელით.



ვოჰუმანას სამეუფეო აღამალებს აშაითურთ არმატის—მის სიმტკიცესა და ძლიერებას.

ამ გზით აკურთხებ, მაზდავ, შენი მტრების მოძულეს.

12. როგორია შენი მცნება? რა გსურს, როგორი ძღვენი, რა თაყვანისცემა? გვაუწყე, ჰოი მაზდავ, რათა ვიცოდეთ, ავს მოგვანიჭებს აშა თუ კარგს—დამსახურებისამებრ.

გვაუწყე, აშას მეშვეობით, ვოჰუმანას ადვილსავლელი გზა.

13. გზა ვოჰუმანასი, აპურავ, კეთილგანფენილად გითქვამს. მასზე ივლიან წყალობისათვის მორწმუნეთა შემწენი, რაც შენი წესით აღთქმული აქვთ გონიერთ, ჰოი მაზდავ!

14. ამ სანატრელ წყალობას მინიჭებს ვოჰუმანა ხორციელ სიცოცხლეში იმათ, ვისაც მეწველი ფური ჰყავს. რასაც შენი კეთილი მოძღვრება აღგვითქვამს, აპურავ, იგი აშას მეოხებით შეეწვა თემს.

15. ჰოი მაზდავ, მაუწყე საუკეთესო მოძღვრება და საქმენი, და თქვენ, ვოჰუმანავ და აშავ, მართებული წყალობით და თქვენი ძლიერებით. ჰოი აპურავ, სინამდვილედ აქციეთ, რათა თქვენი სურვილისამებრ კაცობრიობა ბრწყინავდეს.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ნ ი

- 1 ეს გალობა იდეურად დაკავშირებულია გალობა 29-სთან; იქაც და აქაც მქადაგებელი (ზარათუშტრა) მოუწოდებს მსმენელთ მესაქონლეობის განვითარებისათვის. აქ თემაა მეწველი ფურის ყოლა; საქონლის მოვლა საერთოდ.
- 2 მაზდა (mazdāh „ბრძენი, მცოდნე“) — აპურათა (ღვთაებათა) შორის უდიდესი.
- 3 აშა („სიმართლე, სამართალი“) — მაზდას შემდეგ პირველი აპურა, მისი მრჩეველი და დამხმარე: დრუგის („სიცრუის“) მოწინააღმდეგე.
- 4 ვოჰუმანა (vohu-manah „კეთილი აზრი“) ერთ-ერთი აპურა, მაზდასთან ძლიერ დაახლოებული.
- 5 იგულისხმება ცეცხლისაგან გამდნარი ლითონი, რომელსაც გაივლის იმსოფელს ყოველი ადამიანი: ბოროტს ტანჯავს, კეთილს ასიამოვნებს.
- 6 დაევა — აპურის მოწინააღმდეგე, ბოროტება, — ეკუთვნის დრუგის სამეუფოს.
- 7 არმატი — (Armatay „კეთილმორწმუნე“) ერთ-ერთი აპურა — ეკუთვნის მიწიერთა სამყაროს.

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა

(რედაქციას მოუვიდა
1970 წ. 14 აპრილს)

Г. С. АХВЛЕДИАНИ

ИЗ ГАТ АВЕСТЫ

Песнь 34

Перевод с комментариями.

საბჭოთა საქართველოს მანქანათმშენებლო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა

ვალერიან დათუაიშვილი

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა ტექნიკურ-ეკონომიურად შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა გაიარა კაპიტალიზმის განვითარების გზა და იმპერიალიზმის ხანას მიაღწია. მართალია, მისი მრეწველობა განვითარების ისეთ დონეზე იდგა, რომ იგი საქმარისი იყო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის, მაგრამ რუსეთი მაინც ითვლებოდა შედარებით ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნად, რადგან მრეწველობის ის დარგები, რომლებიც წარმოების საშუალებებს ამზადებენ, სათანადოდ არ იყო განვითარებული.

მანქანათმშენებლობა, როგორც მრეწველობის სპეციალური დარგი, რუსეთში შედარებით გვიან წარმოიშვა. ეს იმიტომ, რომ რუსეთის მაშინდელი ფეოდალურ-მემამულური, ნახევრადკოლონიური მდგომარეობა დიდად აბრკოლებდა ქვეყნის საწარმოო ძალების წინსვლას, მის სამრეწველო განვითარებას.

ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, რევოლუციამდე საქართველოშიც მრეწველობა ყოველგვარი გეგმაზომიერების გარეშე ვითარდებოდა. სამრეწველო საწარმოები და, კერძოდ, მექანიკური სახელოსნოები სტიქიურად არსდებოდა ამა თუ იმ კაპიტალისტის მიერ, უპირველეს ყოვლისა, კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, და შემდეგ იმავე ინტერესების მიზეზით უქმდებოდა. ამის გამო სხვადასხვა წლებში საქართველოს სამრეწველო საწარმოებისა და, კერძოდ, მექანიკური სახელოსნოების რაოდენობა ხან კლებულობდა ხან იზრდებოდა.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისისათვის საქართველოში თითქმის არ იყო მსხვილი მექანიკური ქარხნები. 1913 წელს საქართველოში იყო 19 მექანიკური საწარმო, რომლებიც წვირალ ხელსაწყოებს ამზადებდნენ. ამ საწარმოებში მუშაობდა 1269 მუშა. მათ შორის სამი ისეთი საწარმო იყო, სადაც მუშათა რაოდენობა 101-დან 200-მდე აღწევდა. ერთი კი, საქართველოს ყველაზე დიდი სამრეწველო საწარმო, 276 მუშას აერთიანებდა. ყველა ამ საწარმოში მოქმედებდა 37 ორთქლის მანქანა, რომელთა საერთო სიმძლავრე 970 ცხენის ძალას უდრიდა ([1], 45).

საქართველოს საწარმოების მიერ 1913 წელს გამოშვებული საერთო პროდუქციის ღირებულება (1929—1927 წლის ფასებით) უდრიდა 4,6 მილიონ მანეთს, რაც თვითუფლ საწარმოზე განგარიშებით საშუალოდ 242105 მანეთს შეადგენდა ([2], -37).



რევოლუციამდე საქართველოში სტიქიურად დაარსებული მემკვიდრეობის ქარხნები კუსტარულად ამზადებდნენ სხვადასხვა სახეობის რკინის საოჯახო ნივთებს, ამა თუ იმ მანქანის სათადარიგო ნაწილებს, სხვადასხვა აზიურ იარაღებს. ამასთანავე აწარმოებდნენ მანქანების რემონტს. ეს საწარმოები ძირითადად გარედან შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე მუშაობდნენ. თვითონ მემკვიდრეობის ქარხნების უმეტესობაც უცხოელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. წარმოების ამ დარგებში დაბანდებული კაპიტალის უდიდესი ნაწილი უცხოური წარმომობისა იყო.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების წინ საქართველოში არ იყო ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მანქანათსამშენებლო საწარმო, ვთქვათ, ორთქლის ქვაბების ან სხვა რომელიმე რთული მანქანის დამამზადებელი. ცარიზმი ხელოვნურად აბრკოლებდა საქართველოს სამრეწველო განვითარებას და ცდილობდა იგი ნედლეულის მიმწოდებლად და რუსეთის მრეწველობის მზა პროდუქციის გამსაღებლად ექცია. მანქანათსამშენებლო მრეწველობის არარსებობა და ლითონის დამუშავების დაბალი დონე დიდად აბრკოლებდა საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობისა და, კერძოდ, მისი მრეწველობის განვითარებას.

რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად საქართველო ამიერკავკასიის სხვა მეზობელ რესპუბლიკებთან ერთად წარმოადგენდა ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას, უფრო აგრარულს, ვიდრე იყო რუსეთი. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში განსაკუთრებით უმნიშვნელო იყო, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ღირებულება 1913 წელს შეადგენდა სულ რაღაც 45 მილიონ მანეთს.

საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების პერიოდში კიდევ უფრო დაეცა ცარიზმის დროს ისედაც სუსტად განვითარებული მრეწველობა. მენშევიკური მთავრობა უსუსური აღმოჩნდა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში, რამაც ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება უკიდურესად დააჯინა და ჩვენი ქვეყანა სრულ ეკონომიურ ვაკოტრებამდე მიიყვანა.

1921 წლის თებერვალში ქართველმა მშრომელმა ხალხმა საქართველოში მენშევიკური მთავრობის ბატონობა დაამხო და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. ამიერიდან ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა. მხოლოდ კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის გატარებას შეეძლო საქართველოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფართო გზაზე დაყენება.

იმისათვის, რომ სწრაფი ტემპებით განუწყვეტლივ გაგვევითარებინა მთელი ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობა, საჭირო იყო, პირველ ყოვლისა, მძიმე მრეწველობის, ე. ი. წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების განვითარება. ლითონის, სათბობის, მანქანების, ელექტროენერჯის, საშენ მასალათა და სხვათა წარმოების პირველადი ზრდა მატერიალური საფუძველია სოციალისტური ინდუსტრიის აშენებისათვის. აქედან გასაგები ხდება, თუ რატომ აიღო კომუნისტურმა პარტიამ უწინარესად მძიმე მრეწველობის სერვის — მანქანათმშენებლობის შექმნის ჩქარი ტემპი. წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების, განსაკუთრებით კი მანქანური ინდუსტრიის განვითარების

სწრაფი ტემპები წინასწარ განსაზღვრავდნენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას.

საბჭოთა კავშირის მანქანათსამშენებლო მრეწველობის უპირატესი განვითარების შედეგად შეიქმნა პირობები ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო საწარმოთა სწორი ტერიტორიული განლაგებისათვის და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს სსრ ეკონომიური განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის მანქანათსამშენებლო მრეწველობის განვითარების პარალელურად საქართველოში იქმნება სპეციალური სახის მანქანების წარმოება, რომლის მთავარ დანიშნულებას შეადგენდა საერთო ამოცანების განხორციელებასთან ერთად ადგილობრივი მხარის სახალხო მეურნეობის აღმავლობა.

სახალხო მეურნეობის აღდგენამ და განვითარებამ დიდი მოთხოვნები წაუყენა საქართველოს სსრ ლითონტრესტის საწარმოებს. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით საჭიროებდა სხვადასხვა სახის რკინის კონსტრუქციებს, დეტალებს, ანძებსა და სხვა სახის პროდუქციას, რომლებიც შორეული მხარეებიდან შემოგვქონდა. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით იწყება ადგილზე მათი წარმოების ორგანიზაცია.

სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლედის დასაწყისისათვის საქართველოს მექანიკური სახელოსნოების ბაზაზე შექმნილმა ქარხნებმა ლითონის კონსტრუქციებით უზრუნველყვეს ზაპეს-თბილისის ულექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. მათ ათვისეს აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის ხიდების აწყობა-გამართვისათვის დიდად საჭირო მოწყობილობის წარმოებაც; საქართველოს ლითონის დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებმა აღნიშნულ პერიოდში შეძლეს დაემზადებინათ ბაქოსა და თბილისის წყალსადენებისათვის რთული არმატურა და ხელსაწყოები. ზეთსახდელი საწარმოებისათვის—კონვეიერები, სამთო მრეწველობის ვიწროლიანდაგიანი ხაზებისათვის — მცირე მოცულობის ვაგონები და სხვ. ამავე პერიოდში ათვისებულ იქნა აგრეთვე სხვადასხვა სახის მანქანა-იარაღების წარმოება სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგისათვის.

განუხრელად იზრდებოდა ლითონდამამუშავებელი და მანქანათსამშენებლო საწარმოების მიერ გამოშვებული საერთო პროდუქციის ღირებულების ზვედრითი წონა საქართველოს მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციაში. ასე, მაგალითად, თუ 1924 წელს ამ საწარმოთა საერთო პროდუქციის ზვედრითი წონა საქართველოს მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციაში უდრიდა 6,48 პროცენტს, 1927/28 სამეურნეო წლისათვის მან 7,96 პროცენტს მიაღწია ([3], 81).

სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელს დაიწყო მსუბუქი მრეწველობის, კერძოდ, საფეიქრო, აბრეშუმისა და კვების მრეწველობისათვის სხვადასხვა სახის მანქანების წარმოება. დაიწყო აგრეთვე ხილისა და ჩაის სახმობი აპარატების დამზადება.

პირველ ხუთწლედში, მართალია, ჩქარი ტემპებითა და დიდი მოცულობით ვერ განვითარდა საქართველოს სსრ მანქანათსამშენებლო საწარმოები, მაგრამ მათი ზრდა მაინც საგულისხმო იყო და ამ პერიოდში რესპუბლიკის მანქანათსამშენებლობამ შეძლო სხვადასხვა მანქანა-დანადგარებით მოემარაგებინა ჩვენი სახალხო მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგები, როგორცაა აბრე-



Трудно судить поэтому о фактической состоятельности крестьянских дворов. Не было также сведений о составе подымной удобной земли, о размерах приусадебных участков, пашни из них, а также о размерах поливных или неполивных участков, о количестве рабочего скота. Сведения о количестве скота имелись лишь в камеральных описаниях 1818 и 1842 гг., причем рабочий скот не был показан отдельно. Значительные отклонения могли иметь место в размерах земли и других показателей в разных селениях и местностях.

Касаясь пореформенной деревни, В. И. Ленин писал, что «одно дело — основные тенденции крестьянского разложения, другое дело формы его в зависимости от различных местных условий» ([2], 116). Эти слова В. И. Ленина вполне приемлемы и к дореволюционной деревне.

При недостаточном и приблизительном характере имеющихся материалов, совершенно невозможно показать все конкретные формы расслоения крестьянства в зависимости от местных условий.

Поэтому показаны лишь основные тенденции дифференциации крестьянства, исходя из указаний В. И. Ленина о необходимости и важности в этом вопросе изучения типов крестьянского хозяйства.

В. И. Ленин, касаясь рассуждений и взглядов писателей Вихляева и Черненкова на этот вопрос, писал: «Вместо изучения типов крестьянского хозяйства (поденщик, средний крестьянин, предприниматель) они

изучают, как любители, бесконечные столбцы цифр, точно задавшись целью удивить мир своим арифметическим усердием» ([2], 118—119).

Первую группу крестьян (1—4 дня пахоты) составляли бедные, маломощные хозяйства. Среди них встречались и такие, которые вместе с земледелием, по словам составителей камеральных описаний, «снискивали пропитание поднежными работами»; часть из них представляла собой поденщиков с наделом, часть—мелких ремесленников. К этой же группе крестьян (в особенности с 1—2 днями пахоты) примыкали безземельные поденщики, батраки (моджамагире), и сельские нищие (пауперы). Эта группа крестьян росла вместе с процессом дифференциации и составляла значительную часть сельского населения.

Вторая группа крестьян (5—10 дней пахоты) состояла из средних дворов, со средним достатком, с трудом покрывавших свои расходы доходом от земли. Большая часть их примыкала к первой группе, а меньшая—к высшим группам. В количественном отношении она шла непосредственно за первой группой.

Третью группу крестьян (11—29 дней пахоты) составляли зажиточные крестьяне. Они пользовались в своем хозяйстве наемным трудом, продавали часть продуктов на рынке, составляя незначительную часть сельского населения.

Четвертая группа крестьян (30 дней пахоты и свыше) состояла из богатых крестьян. Они располагали значительными излишками продуктов, которые продавали на рынке; вели хозяйство главным образом чужим трудом. Некоторые из них участвовали в торговых, скупочных и ростовщических операциях и были связаны по этим операциям с городскими элементами. В руках этой группы находились сельские должности (нацвали, мамасахлиси и др.). Эта группа составляла по численности самую незначительную часть, верхушку сельского населения.

Следует отметить, что четырехгрупповое деление встречалось тогда и в других губерниях России. Например, в Саратовской губернии среди крестьян Большаковского уезда различались 4 группы в имущественном отношении: бедных, исправных, зажиточных и богатых ([14], 151, 152, 153).

Процесс разложения грузинской общины и внутри нее крестьянского расслоения шел сложным путем.

Разные формы (сакомло, литра-чареки, четырехгрупповое деление) выступали в сочетании друг с другом.

Старая форма (сакомло), не успевшая еще уступить место переходной форме (литра-чареки) переходила в более развитую (четырегрупповое деление).

Процессы разложения принимают более развитый, углубленный характер. Наиболее ясно и последовательно эти основные этапы развития крестьянского расслоения внутри сельской общины наблюдались в низменной, поливной полосе Картли, где сельская община раньше и глубже, чем в других местах, претерпела процессы разрушения.

Беспощадный произвол крепостников угнетал все группы крестьян, ущемляя их имущественные права, лишь способы и формы угнетения нередко менялись в отдельных селениях. Прикованные к своему наделу, к своей мелкой, крохотной «общине»,— писал В. И. Ленин,— крестьяне были «резко отделены даже от крестьян соседней общины раз-



личием тех разрядов к которым они принадлежали (бывшие владельческие, бывшие государственные и т. д.), различиями в величине своего землевладения, — различиями в тех условиях, на которых произошла их эмансипация, (а эти условия определялись иногда просто личными свойствами помещиков и их прихотью)» ([2], 271).

«Свойства» и «прихоть» помещиков в сильной степени проявлялись до «эмансипации» крестьян, до отмены крепостного права. Сама система хозяйства, по словам В. И. Ленина, порождает здесь «внеэкономическое принуждение, крепостничество, зависимость юридическую, неполноправность и т. д.» ([3], 66). Эти обстоятельства составляли нивелирующую тенденцию в крепостном праве, противоборствующую происходившим процессам дифференциации, но они не могли задержать эти процессы, все более развивающиеся на основе исторического развития, на основе разложения феодализма, обострения его противоречий. Колониальный гнет еще более усугублял эти противоречия.

Нивелирующие тенденции могли выступать здесь лишь в качестве отклонений в ту или другую сторону от основной тенденции развития. Этой основной тенденцией являлось разложение феодализма, обострившийся кризис крепостного хозяйства. Эти процессы все более интенсивно стали развиваться после присоединения Грузии к России. Элементарные процессы имущественного неравенства принимают все более сложную форму формирования и возникновения новых классов.


Развитие товарного производства, — писал И. В. Сталин, — «отмена крепостничества, основание дворянского банка, усиление классового антагонизма в городе и деревне, усилившееся движение сельской бедноты и т. п. — все это нанесло смертельный удар грузинскому дворянству» ([19], 33).

Кафедра политической экономии

(Поступило в редакцию 20 апреля 1970 г.)

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. В. И. Ленин, К характеристике экономического романтизма, Соч., т. 2.
2. В. И. Ленин, Развитие капитализма в России, Соч., т. 3.
3. В. И. Ленин, Аграрный вопрос в России к концу XIX века, Соч., т. 15.
4. Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа, М. К. Думбадзе, Г. А. Меликишвили, Ш. А. Месхиа, История Грузии, I, Тбилиси, 1962, 478; см. также: А. Я. Панцхава, Очерки аграрной истории феодальной Картли-Кахети конца XVIII века, Тбилиси, 1965.
5. ЦГИА (Тбилиси), ф. 16, № 4889, 1834 г. лл. 4—5, 8—9, 15.
6. В. М. Фанштейн, К вопросу о присоединении крестьянских земель к мызным в Эстляндии во второй четверти XIX в. См. сборник статей: «Возникновение капитализма в промышленности и сельском хозяйстве стран Европы, Азии и Америки», М., 1968.
7. К. Маркс, наброски ответа на письмо В. И. Засулич (первый набросок). К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., 2 изд., т. 19, М., 1961.
8. П. Виноградов, Средневековое поместье в Англии, СПб, 1911.
9. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, М., т. II, 1890.



10. С. А. Егiazаров, Исследования по истории учреждений в Закавказье, Сельская община, Казань, 1889.
11. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, М., т. I, 1890.
12. Ф. Энгельс, К истории прусского крестьянства, К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., 2 изд., т. 21, М., 1961.
13. Ф. Энгельс, Дополнения к третьему тому «Капитала», К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., 2 изд., т. 25, ч. II, М., 1962.
14. И. И. Игнатович, Помещичьи крестьяне накануне освобождения, М., 1910.
15. И. Чавчавадзе, Соч., т. IV (на грузинском языке), Тб., 1955.
16. М. Ковалевский, Сельская община в Закавказье, см. «Юридический вестник», Изд. Московского юридического общества, М., т. II, кн. 2 и 3 (июнь—июль), 1899.
17. П. В. Гугушвили, Аграрные отношения в Закавказье на рубеже XIX—XX вв., см. «Сельское хозяйство и аграрные отношения, Источники и материалы», т. IV, Тб., 1955.
18. Группировки крестьян произведены мною по материалам камеральных описаний, хранящимся в ЦГИА Груз. ССР; ф. 254, 1804, д.д. № 57, 59; 1818, 1821, д.д. № 403, 404, 408, 510, 512; 1842, д.д. № 19024, 19025, 19026, 19069. Один день пахоты—около 1/2 десятины.
19. И. В. Сталин, Как понимает социал-демократия национальный вопрос? Соч., т. I.

ბ. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა

ვ. ი. ლენინი და რეფორმამდელი საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხები

რეზიუმე

რეფორმამდელ საქართველოში შრომის საზოგადოებრივ დანაწილებისა და სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების შედეგად იწყება სასოფლო-თემის დაშლის პროცესი, ვლინდება ამ პროცესის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობა. თემი,— წერდა ვ. ი. ლენინი,— „...როგორც წარმოების ორგანიზაცია, არასოდეს არ არსებობდა წარმოების ძველი წესების დამახასიათებელ წინააღმდეგობათა და ანტაგონიზმის სხვა ფორმების გარეშე“ (თხზ., ტ. 2, გვ. 263). რეფორმამდელი საქართველოს მასალების ანალიზი გვიჩვენებს სოფლის თემის შიგნით გლახობაზე გადასვლას დაყოფას. თემის შიგნით გლახობის დაშლის პროცესი იღებს სულ უფრო რთულ ფორმას. ამასთან ერთად მწვავედება გლახური მეურნეობის წინააღმდეგობანი. როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი,— „ყველა ეკონომიური წინააღმდეგობის ერთობლიობა გლახობაში წარმოადგენს სწორედ იმას, რასაც ჩვენ გლახობის დაშლას ვუწოდებთ“ (თხზ., ტ. 3, გვ. 186).

ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და
სამართლის საკითხები ალიშის და მესტიის
ოთხთავების მინაწართა მიხედვით¹

მიხეილ კაკელია

ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს საქართველოს წარსულით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღება მიიქცია ზემო სვანეთში დაცული ალიშის (გადაწერილია 897 წ.) და მესტიის (გადაწერილია 933 წ.) ოთხთავების ამიებზე XIII—XVI საუკუნეებში გაკეთებულმა მინაწერებმა, რომლებიც შედარებით სრულყოფილად პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა 1941 წელს „სვანეთის საისტორიო ძეგლებს“ (წიგნი II) სახელწოდებით. სამწუხაროდ, ძეგლებს არ ახლავს გამოკვლევა და არაა მითითებული, თუ რომელი მინაწერი რომელი ოთხთავიდანაა გადმოღებული.

მუშაობისას იძულებული გავხდით ზოგჯერ დედნისათვის მიგვემართა და მცირედი რამ იქიდან ამოგვეკრიბა, მაგრამ უამთა ვითარებისაგან გადასულ მინაწერთა ამოკითხვა და პ. ინგოროყვასებრი გაშიფვრა ვერ შევძელით. ამდენად, ძირითადად „ძეგლებში“ გამოქვეყნებული საბუთებით ვმაცხოვრდებით.

„ძეგლებში“ გამოქვეყნებული საბუთები ეთნოგრაფიული ხასიათის მასალების უმეტესე ყველაზე ფართოდ განხილულია რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის მიერ, რის საფუძველზედაც შესაძლებელი გახდა ახსნილიყო ზემო სვანეთთან დაკავშირებული ზოგიერთი პოლიტიკური თუ სოციალური ხასიათის საკითხი [1].

მინაწერები დღემდის არ გამხდარა ქართული სამართლის ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტთა კვლევის საგანი.

„ძეგლებში“ გამოქვეყნებულ ტექსტებს, როგორც ქართული სამართლის წყაროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქ წარმოდგენილი ცნობები საინტერესოა არა მხოლოდ XIII—XVI საუკუნეების ზემო სვანეთში მოქმედი იურიდიული ინსტიტუტების შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ზოგადქართული თვალსაზრისითაც.

„ძეგლებში“ გამოქვეყნებული საკანონმდებლო, სასამართლო და კერძო ხასიათის საბუთები არგუელირებენ როგორც „სრულიად სვანეთის კვეის“ (მთელი სვანეთის), ისე ცალკეულ ზევთა და თემთა და თვით თემის შიგნით ცალკეულ პირთა შორის ცხოვრების მიერ წამოჭრილ საჭირობორტო საკითხებს. ეს

¹ წაკითხულია არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების სხდომაზე 1968 წ. 7 ივნისს.



ნორმები შემდგომ საუკუნეებშიც ინარჩუნებდნენ სამოქმედო სავალდებულო ძალას; სავალდებულო იყო იმ ტერიტორიული ერთეულებისათვის, რომელთა წინაპართა მიერაც საკითხის საჯაროდ — საერთო კრებაზე განხილვის წესით იყო მიღებული.

საერთო-სახალხო კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა. როგორც თვითონვე წერენ, კანონი („ქვეყნის სამაგრობელი“) მივიღეთო: „ჩვენ ერთობილმან კვემან ვარგმან და გლეხმან, უფროსმან, უმცროსმან, უზედაესმან, უქვედაესმან, ყველამან“ (№ 1!), ანდა „ერთობილითა დიდთა და მცირეთა, ვარგთა და გლეხთა, ყოველთა ერთმანერთისა ნდომითა და მოწმობითა“ (№ 49).

ამდენად, სვანეთის სინამდვილეში არსებული სახალხო კრება არ წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილ გეაროვნულ-თემური წყობილების დროის სავსებით დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებულ სოციალურად თანასწორთა შეკრებას. სვანეთში სახალხო კრება უკვე კლასობრივი საზოგადოების საკანონმდებლო ორგანოა, სადაც „ვარგთა და გლეხთა“, „უზედაესთა და უქვედაესთა“ ერთგვარი კომპრომისი ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღებაში ვლინდება, რომლებიც შეიცავს მთელი საზოგადოებისათვის საჭირობოროტო საკითხებს.

საერთო კრების ასეთ ხასიათს განაპირობებდა მხარის ისტორიული, ეკონომიური ანდა გეოგრაფიული თავისებურებანი, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ აქ კლასობრივი წინააღმდეგობანი ჯერ კიდევ არ იყო უკიდურესობამდე გამოწვევებული.

სახალხო კრების შემადგენლობა გვაფიქრებინებს, რომ მის მიერ მიღებული დადგენილებანი საკანონმდებლო მნიშვნელობისაა, ამდენად, მითითებულ დარღვევებს შეიძლება ეწოდოს დანაშაულებრივი ქმედობანი, ხოლო აღმკვეთ ღონისძიებას — სასჯელი.

„ქვეყნის სამაგრობელის“ ანუ საკანონმდებლო ნორმების ნიადაგ სახმარირელიჯიური ხასიათის ძეგლებზე (ოთხთავებზე) მიწერა საუკეთესო საშუალება იყო ამ ნორმების განუხრელად შესრულებისათვის.

„ძეგლებში“ მოცემული მასალები ძვირფას ცნობებს გვწვდინან სასამართლო ორგანიზაციისა და საკანონმდებლო ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე. აქ მხოლოდ ისეთი ინსტიტუტების შესწავლით დავკმაყოფილდებით, რომლებიც, ერთი მხრივ, არსებული საზოგადოების კლასობრივ ბუნებაზე მეტყველებენ, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან მათ მჭიდრო კავშირზე მიგვანიშნებენ.

ოჯანის ამოწვევა. ამოწვევას, როგორც სასჯელს, ქართული სამართლის არც ერთი ძეგლი არ ითვალისწინებს. ტერმინი „ამოწვევა“, მართალია, გვხვდება როგორც „ძეგლის დადებაში“ (15 მუხლი) და ბაგრატ კურაპალატის სამართალში (150 მუხლი), ისე ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სხვა ძეგლებშიც, მაგრამ არა სასჯელის სახით, არამედ განადგურების, დაზარალების, უმამულოდ დარჩენის, უმემკვიდრედ გადასვლა-გადაშენების მნიშვნელობით.

სულ სხვა მდგომარეობაა სვანეთში, სადაც „ამოწვევა“ ხევის ინტერესების დაცვისათვის მომარჯველ ერთ-ერთ სასტიკ სასჯელს წარმოადგენს. ასე, მაგა-

ლითად, XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დასაწყისში სეტის ხევის მიღებული „ქვეყნის სამაგრობელი“ ხევის საწინააღმდეგო მოქმედების განუცხადებლობასთან დაკავშირებით აღდგენს, რომ დამნაშავე პირის მიმართ „ამოწყვედისაგან სხვაი პატიჟი არაი ვვითქვამს“ (№ 31). მეტად თავისებურია სრულიად სვანეთის მიერ მიღებული სხვა საკანონმდებლო ნორმის სანქციაც, რომლის მიხედვითაც, ეკლესიის გატეხა, კაცის მოკვლა, შეპყრობა, სახლის გატეხა, ცხენის ქურდობა ან ხევის ინტერესების საწინააღმდეგო სხვა მოქმედება ისჯება სიკვდილით და ამოწყვეტით: „გარდა კლუისა და ამოწყვედი[სა] მეტი არა ავართვათ“ (№ 1), — ნათქვამია კანონში.

მეტად დაზიანებულ სხვა უფრო აღრინდელ მინაწერშიც ორგან ვკითხულობთ: „ამოუწყუდიოთ ქუმოსა კ[ე]ესა“ და „ამოუწყუდიოთ და ზემოსა“. (№ 4). როგორც დავინახეთ, ამოწყვეტა, როგორც სასჯელი, ქვეყნის ინტერესების დაცვითაა ნაკარნახევი და მას იშვიათ შემთხვევაში მიმართავენ. ასევე იშვიათი უნდა ყოფილიყო დამნაშავეის სიკვდილით დასჯაც.

გაძევება. სვანეთში, სადაც ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული გვაროვნულ-თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ინსტიტუტები, არსებობდა ამ ფორმაციისათვის დამახასიათებელი იძულებითი ღონისძიების ისეთი მკაცრი ზომა, როგორიცაა ხევიდან გაძევება.

XIV ს. ბოლოს და XV ს. დასაწყისში სეტის ხევის ინტერესების მოღალატე უნდა „მისისა ზღვრისაგან გამოსრულ იყოს იგი კაცი და მის[ი] თემი მისითა ნდომით სიტყვა უთქმელად“ (№ 33). უფრო მეტიც: როგორც ჩანს, ხევი მასში შემავალ თემსაც კი არ აპატიებს ხევის ინტერესების და ძლიერების ხელყოფას და თემის წევრის მოქმედებაზე იმასაც აგებინებს პასუხს, რომელიც, უსიტყვოდ გადის რა ხევის შემადგენლობიდან, ამიერიდან ვერც ისარგებლებს მისი მფარველობით: ასეთი ნორმის არსებობა საქართველოს სინამდვილეში უპრეცედენტოა.

სხვა საბუთის მიხედვით, სეტის ხევის გაუყრელობის პირობის დამრღვევს „ასის თეთრისა პატიჟი გარდავაჯღვენიოთ, უმიზეზოდ, ჩვენგან გავაყენოთ“ (№ 34). აქ სიტყვა „უმიზეზოდ“ მართალს, უბრალოს კი არ ნიშნავს, არამედ — პირიქით; „მიზეზად დავდოთ“, დავადანაშაულოთო. ამ გაგებით მთელ წინადადებას თავის უფლებაში აღადგენს სიტყვა „უმიზეზოდ“-ის შემდეგ მძიმის დასმა. სხვანაირად იგი გაუგებარია და, რაც მთავარია, ულოგიკოც. კანონმდებელი არ ჩაწერდა — მიზეზის, ბრალის გარეშე ჩვენგან „გავაყენოთ“.

სახლის დაწვა. „ძეგლები“ ღირსშესანიშნავია იმიტაც, რომ საქართველოს სინამდვილეში მხოლოდ მან შემოგვინახა ცნობა სახლის დაწვის, როგორც სასჯელის; შესახებ.

„დაწვა“ წარმოადგენდა არა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ სასჯელს, არამედ ქონებრივი ხასიათისას, რაც უპირველესად სახლ-კარისათვის ცეცხლის წაქიდებაში გამოიხატებოდა.

„დაწვა“, როგორც სასჯელი, სანქცირებული უნდა ყოფილიყო ხევის ან თემის მიერ ისეთი ხასიათის დანაშაულისათვის, რომელიც მათ ინტერესებზე ხელყოფას წარმოადგენდა, სულ ერთია, ნაკარნახევი იქნებოდა იგი საგარეო მდგომარეობით თუ შიგნით წესრიგის დამყარებით.



ქართული

„დაწვა“ უფრო წარმოდგენდა საჯარო ხასიათის სასჯელს, რომელიც მოხდებოდა პრევენციის მნიშვნელობა ჰქონდა, ზოგჯერ კი შურისძიების, სამაგიეროს მიზლის პრინციპითაცაა ნაკარნახევი. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა აზნაურს გლეხის დალატისათვის, — რაც სხვა სიავესთან ერთად სახლის დაწვაშიც გამოიხატებოდა, — საპასუხოდ თემმაც სახლი უნდა დაუწვას (№ 122), ანდა: ლაპილის ხევის მიერ მიღებული „ქვეყნისა სამაგრობელით“, თუ გარეშე კაცის დახმარებით ბოროტმოქმედი სხვის სახლს დაწვავს, მასაც სახლი უნდა დაეწვას, — ამ შემთხვევაშიც ამოსავალი მხოლოდ ius talionis-ის პრინციპია.

„დაწვას“, როგორც სასჯელს, „ძეგლები“ შემდეგ შემთხვევაში ითვალისწინებდნენ:

1. ხევში უცხო კაცის მოყვანისა და მისი დახმარებით ცხენის მოპარვის, ვინმეს სახლის დაწვის, ან სხვა რამ დანაშაულში მისი გამოყენებისათვის (№ 54);
2. აზნაურის მიერ გლეხისათვის დალატით, სხვა სიავის გარდა, სახლის დაწვისათვის (№ 122);
3. ხევის წევრთა შორის ჩხუბისათვის (№ 122);
4. ხევის მიერ მიღებული კანონის შეუსრულებლობისათვის (№ 123).

სახლის დაწვა არა მარტო სასჯელი იყო, არამედ დანაშაულადაც ითვლებოდა (№№ 22, 29, 122), რისთვისაც, როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ სამაგიეროს მიზლის მიზნით, სახლისავე დაწვაა დაწესებული. ამდენად, მხოლოდ ამ შემთხვევაშიც, დაწვას — როგორც საჯარო ხასიათის სასჯელს — შინაარსი ეცვლება და იგი სამაგიეროს მიზლის საშუალებად წარმოგვიდგება.

ასევე, სახლის დაწვა სანახშირედაც, ე. ი. მესისხლის მიერაც შეიძლება. „თუ სანახშიროთ არ იყოს, სახლი ვინ დაწოს“ (№ 29), — გვაუწყებს საბუთი. აქ სანახშიროდ სახლის დაწვაში, ჩემი აზრით, მესისხლის მიერ სახლის დაწვა უნდა იგულისხმებოდეს, რის შესახებაც უფრო დეტალურად სანახშიროს ინსტიტუტის განხილვისას გვექნება მსჯელობა.

სისხლი. სვანეთში სისხლი იმავე მნიშვნელობითაა ნახმარი, როგორც იხმარებოდა მთელ საქართველოში. იგი დანაშაულის საზღაურს ნიშნავს: „იმისი მოსისხარი სეტისა ქვეი ყუელა იყოს“ (№ 22), „სისხლი გუმართებდეს“ (№ 37) და სხვა (№№ 122, 123).

საბუთებიდან ისიც ირკვევა, რომ „სისხლი“ სხვადასხვა თემში სხვადასხვა რაოდენობით ყოფილა განსაზღვრული, უფრო მეტიც, სოციალური მოტივებიც შეიმჩნევა მისი რაოდენობის განსაზღვრაში. „თუ ესე პირი (შეთანხმება — მ. კ.) გაგიტხოთ, — კვითხულობთ საბუთში, — ოთხისა კარგისა კალელისა სისხლი“ დაგიურვოთ (№ 69). ასევე, ლახამლეთა ხევი მკრეხელთათვის სასჯელად აწესებს: „ერთისა საპატიოისა სვანისა სისხლი გარდაიხადოს“ (№ 74). სვანეთის სინამდვილე იმასაც ადასტურებს, რომ „სისხლი“ დამოუკიდებელი საზღაური იყო: „დაგვიურვე სისხლი სრული მისითა სანახშიროითა და საქელოითა“ (№ 106).

ირკვევა ისიც, რომ XIV—XVI საუკუნეებში „წორი“, როგორც „სისხლის“ შინაარსის შემცველი ტერმინი, ჯერ კიდევ არ არსებობდა. იგი, როგორც მიყენებული ზიანის ტოლი გადასახადი („წორი“), უფრო გვიან ჩნდება.

გერში. საბას მიხედვით, „გერში“ ნაკოდთა მცირე სისხლია.

XIV — XV საუკუნეების სვანეთშიც ძირითადად „გერში“ ესმით, როგორც მიყენებული ჭრილობის საზღაური, ესმით ისე, როგორც გიორგი ბრწყინვალის (1335 წ.), ბექა-აღბულას (1295 წლიდან XIV საუკუნის II ნახევარი) და ბაგრატ კურაპალატის (XI ს.) სამართლის წიგნებს.

ყველა შემთხვევაში „სისხლი“ მკვლელობის საზღაურია, ხოლო „გერში“ ჭრილობისა და, ზოგჯერ, მოკვეთილი ასოსიც კი. „ძეგლებში“ ვკითხულობთ: „ოდეს დავიკოდე თქვენსა ასაბიობასა შიგა, დამიურვე გერში“ (№ 104). ზოგჯერ, როცა ვამბობთ, ეს იმით არის ნაკარნახევი, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც „გერში“ არაა მხოლოდ ჭრილობის საზღაური არც სვანეთში და არც საქართველოს სხვა კუთხეებში. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 144 მუხლით, წვერის „მოვლეჯის“ ან „მოკუეციისათვის“ დამნაშავემ უნდა „ორი გერში ზღოს“, ხოლო, სვანური მასალებით, იგი ჩნდება, როგორც მეკობრეობის დროს ნაძარცვის საზღაური: „რაც ერთსა მეჭევესა კაცსა მართებს სისხლი და გერში სანაძარც[უ]იო“ (№ 50). გერშის როგორც საზღაურის, ფართო მნიშვნელობაზე უნდა მიგვანიშნებდეს სიტყვებიც: „უსიკუდილოდ და უაუგოთ გერში არა უთხოვოთ ერთმა ერთსა“ (№ 68).

როგორც ჩანს, სვანეთში სიტყვა „გერში“ საზღაურის ზოგადი მნიშვნელობითაც იხმარება.

სპეციფიკურია „გერშის“ ცნებისათვის ისიც, რომ იგი ორნაირად გამოიყენება. უფრო ხშირად — დანაშაულისათვის საზღაურია. სხვა შემთხვევაშიც კი, მართალია, ჭრილობის საზღაურს წარმოადგენს, მაგრამ გადახდება არა დამპყრელს, არამედ იმას, ვისაც დაჭრილი ახლდა, ვისაც იგი ეხმარებოდა, ე. ი. ასაბიობას უწყევდა. ამ შემთხვევაში გერში თანამონაწილისათვის გაწეული მოქმედების კომპენსაციას უფრო წარმოადგენს, იგი დამხმარედ პირის წამყვანს გადახდება დამხმარის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ ჭრილობის მიღების შემთხვევაში.

„გერშის“ ამგვარი გაგებითაც მსგავსებაა „ძეგლის დადებას“ (მუხლი 41), ბექა მანდატურთუხუცესის სამართალსა (მუხლი 15) და „სვანეთის საისტორიო ძეგლებს“ (№ 104) შორის.

როგორც ჩანს, „ასაბია“ და „გერში“ სვანეთშიც ძირითადად ისე ესმოდათ, როგორც „ძეგლის დადებასა“ და ბექა მანდატურთუხუცესის სამართალს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ სამივე წყარო თითქმის ერთი და იმავე ისტორიული მონაკვეთის ძეგლია, დამაჯერებლობას მოკლებული არ იქნება მოსაზრება, რომ სვანურმა სინამდვილემ ერთიანი ქართულიდან შეითვისა იგი, ანდა ყველა ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმას ჩვენამდის მოუღწეველი ერთი საერთო ქართული წყარო დაედო საფუძვლად. ეს წყარო ქართული ჩვეულებითი სამართალი იყო.

სანახშირო. ქართულ იურიდიულ ინსტიტუტს — „სანახშიროსაც“ ფართო გამოყენება ჰქონდა სვანეთში. „შეიქმნა საქმობა და სანახშირე გუთხოეს ჯაფარიძეთა“ (№ 27), მომიჩივანთა სიგელში „დიდი სისხლი და სანახშირე ეწერა“ (№ 27). როგორც ჩანს, „სანახშიროს“ რაოდენობა, სხვა გადასახდელთა მსგავსად, წინასწარ ყოფილა დადგენილი. „სანახშირო“ სისხლის საზღაურთან ერთად უნდა ეძლეოდა დაზარალებულს.



გობეჩვიანთა და ჯაფარიძის სახლთა შორის დავის „გარდაუწყვეთლობის“ წიგნში“ (XIV საუკ. ბოლო, XV საუკ. დასაწყისი) გობეჩვიანები წერენ: „დაგვიურვე სისხლი სრული მისითა სანახშიროთა და საცელოთა და საზუთითა“ (№ 106). ჩანს, დამნაშავე მხარეს ერთად უნდა გადაეხადა: „სისხლი“, „სახელო“, და „საზაო“.

„სახელოს“ შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ხოლო, რაც შეეხება „საზაოს“, იმდროინდელი საქართველოს მსგავსად, იგი აქაც „საპიროს“ მნიშვნელობითაა ნახმარი და, ამდენად, მხარეთა დაზავებისათვის განკუთვნილ გადასახდელად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც აღვნიშნეთ, დამატებითს კვლევას მოითხოვს ამ საკითხის გარკვევა: „სანახშიროს“ ჩომ არა აქვს რაიმე კავშირი სასჯელის ისეთ სახესთან, როგორცაა სახლ-კარის „გადაწვა“, რაც მეტად გავრცელებული იყო სვანეთში? ეჭვს ის ბადებს, რომ ერთ საკანონმდებლო აქტში, დანაშაულად შერაცხულ სხვა სახის მოქმედებებთან ერთად, იხსენიება: „თუ სანახშიროთ არა იყოს, სახლი ვინ დაწოს“ (№ 29). ანდა საგულისხმოა მომჩივანის სიტყვები: „მესისხლენი მოვიღნენ ჩემისა სახლ დასაწველად“, რომ „ჩემი ცოლი უპატიოდ დაიჭირეს, სანახშირო გარდამაქდევინეს“ (№ 100). იქნებ როგორც პირველი, ისე მეორე საბუთი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, „სანახშიროს“ სვანეთში სხვაგვარი გაგებაც ჰქონდა; კერძოდ, დაწვის მაგიერი სასჯელად განსაზღვრული გადასახდელიც იყო; ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მას დაწვასთან ჰქონდეს რაიმე კავშირი.

უაქტი ერთია: საქართველოსათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების — „სანახშიროს“ და „საზაოს“ არსებობას სვანეთში დიდი მნიშვნელობა აქვს იმდროინდელი იურიდიული აზროვნების ერთიანობის თვალსაზრისით მთელი საქართველოს მასშტაბით.

პატიუ. სვანეთის „ძეგლებში“ ძველი ქართული იურიდიული ტერმინი „პატიუ“, როგორც სასჯელი, ორგვარი მნიშვნელობით იხმარება. პირველ შემთხვევაში იგი ზოგადად სასჯელის გამომხატველია („კევისა, სა[პატი]უო იყოს კაცი იგი“, № 50), რომელიც მიმართულია როგორც სიცოცხლის („ამოწყვედისაგან სხვაი პატიუ არაი გვითქვამს“, № 31), ისე ქონების წინააღმდეგ („დაწვისაგან მეტი პატიუ არა გუვინდოდეს“, № 5).

სხვა შემთხვევაში პატიუ სასჯელად განკუთვნილი ჯარიმაა: ვინც „ესე დაწერილი გავგიტეხოს, ასის თეთრისა პატიუ გარდავაქდევინოთ“ (№ 34), „ერთი ვერძი ბეგარა ძალად დაგუ[ა]პატიუა“ (№ 19), „სამი კარი ბეგარა ძალთა დაგპატიუეთ“ (№ 37); აქ პატიუ საჯარო ხასიათის სასჯელის მომძღვარებულ ნიშნებს ამჟღავნებს.

დამნაშავის მიერ „პატიუს“ (გარდაწყვეტილი ჯარიმის) დროზე გადაუხდელობა თავისუფლების შემზღუდველ გარემოებად იქცეოდა. „ვირე ისი (ჯარიმა—მ. კ.) არ გადაიკადოს, ნუცა ეკლესი[ასა], ნუცა ლასკარსა, ნუცა ანჯუპანსა, ნუ[სადა] გამოუშვებთ ძმი ძმასა, ნუცა მამაი შუვილსა“ (№ 61),—გვაუწყებს საბუთი.

სახელო. სვანეთის „ძეგლები“ იცნობს სპეციალურ იურიდიულ ტერმინს, გადასახდელს, მოქმედების შესრულებიდან გამომდინარე, რომელსაც „სახელო“ ეწოდება.

„სახელოს“ გადახდა უშუალოდ იმას ეკისრება, ვისი ხელითაცაა მოქმედება შესრულებული. თუმცა არის ისეთი შემთხვევები, როცა პირმა ასეთი მოქმედება თემის ინტერესების დაცვის მიზნით ჩაიდინა, რა დროსაც „სახელოს“ მას კი არა, თემს უნდა გადახდეს. მაგალითად, ერთ შემთხვევაში ოთხი თემის წარმომადგენლები წინასწარ კისრულობდნენ სოლიდარულ პასუხისმგებლობას თემის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებისათვის: „რომელმანც კელ იკმაროს და კაც მოკლას და საკელო ყოველმან გარდაიკადოს, მას, არ მივანებოთ“ (№ 32). სხვა საბუთში ერთმანეთის გვერდით თანამდგომნი „ქვეყნისა სამაგრობლად“ წერენ, რომ თემის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებისათვის საზღაური ყველამ გადაიხადოს, „საკელოი საერთო იყოს“ (№ 31) და მისთ. (№ 33).

სხვა გადასახდელებთან „სახელოს“ გადასახდელის დამოკიდებულებაზე გობეჩვიანთა და ჯაფარიძეების ერთ საბუთში ვკითხულობთ: „დაგვიტრევე სისხლი სრული, მისითა სანახშიროთა და საკელოთა და საზუთითა“ (№ 106). როგორც ჩანს, „სახელოს“ დამოუკიდებელი გადასახდელია. იგი სისხლის შემადგენლობაში (ჯამში) არ შედის და გადახდება უშუალოდ იმ პირს ან თემს, ვისი „კანონიერი“ ინტერესების შელახვამ გამოიწვია მოქმედება. „სახელოს“ გადახდება არა მარტო საკვლევს (№ 23), არამედ, სულ ერთია, რა სახის დასჯად მოქმედებასაც ექნება ადგილი (№№ 31, 33).

„სახელოს“ შინაარსის გამომხატველი ტერმინი საქართველოს სხვა მხარეებში არ გვხვდება. მას არაფერი აქვს საერთო აღმოსავლეთ საქართველოში თანამდებობის გამომხატველ ტერმინ „სახელოსთან“.

ჰიბარ: სვანეთში „ჰიბარის“ რაობის საკითხი დამაჯერებლადაა შესწავლილი რ. ხარაძის მიერ, გარკვეულია მისი ორმაგი ხასიათი. ერთ შემთხვევაში იგი ნიშნავს ჩადენილი დანაშაულისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ ვანკუთენილ საურავს და მეორე შემთხვევაში — საზოგადოების მიერ დადგენილი წესის შეუსრულებლობისათვის თემის სასარგებლოდ დაწესებულ გადასახდელ ჯარიმას.

რ. ხარაძის მიერ „ჰიბარში“ სავსებით სამართლიანადაა დანახული კომპოზიციის ელემენტი, რომლის ერთი ნაწილი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვისაა გათვალისწინებული, მეორე კი — დაზარალებულის სასარგებლოდ ([1], 198). „ქეღებში“ „ჰიბარზე“ ბევრგანაა ლაპარაკი (№№ 35, 36, 51, 62). ზოგან, მართალია, პირდაპირ არ იხსენიება, მაგრამ გადასახდელის ხასიათი გვარწმუნებს, რომ აქაც „ჰიბარი“ იგულისხმება. მაგ., „ერთი უღელი ხარი შეჭამოს სეტელმან“ № 122); „საქუნელ შეჭამოს ხერეგანბმნ“ (№ 123). ორივე შემთხვევაში ჯარიმაზეა ლაპარაკი, რაც დადგენილი წესის დარღვევისათვის საზოგადოების სასარგებლოდ უნდა გარდახდეს პირს.

რაც შეეხება „ჰიბარის“ გადახდის დროის განსაზღვრას, რ. ხარაძის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული ხასიათის მასალებსა და ოთხთავზე გაკეთებულ მინაწერს შორის აშკარა სხვაობა შეინიშნება. პირველ შემთხვევაში მისი მიტანა და შეწირვა ეკლესიაში ყველას მიერ ერთ გარკვეულ დღეს ხდებოდა, მინაწერი კი პირდაპირ აცხადებს: „თერთმეტი ჩხადი ალუდი გარდავანდევინოთ იბარა, იმავ დღესა გარდავანდევინოთ“ (№ 51).

წყევლა-კრულვა, შეჩვენება და შერისხვა. შუა საუკუნეებში საეკლესიო ხასიათის სანქციის — „წყევლა-კრულვის“, „შეჩვენებისა“ და „შერისხვის“ სა-



კანონმდებლო ნორმად ჩამოყალიბება — დამოუკიდებელი სახით ხასიათის სანქციასთან ერთად — მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ასეთი ხასიათის სანქციას ქართულ სინამდვილეში მხოლოდ კანონიკური სამართალი (161—170 მუხლები) იცნობს. ამდენად, „სვანეთის საისტორიო ძეგლებში“ მოტანილი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც საერო პირთა მიერაა სანქციონირებული, სწორუბოვარია.

ლალვერსზემო ექუდელნი იღებენ ამიერიდან სავალდებულო წესს, არ გატეხონ უქმე, რომლის დაუცველობისთვისაც პირი უნდა „შეჩუენებულ იყოს“ (№ 75). კალის ხევი სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულობასთან დაკავშირებით ადგენს: „წმინდისა კვირიკეს პირობითა კალა გაურისხდეს, რომელმანცა კაცმან სამართალი დაუჭიროთ, მართალისა ფიცებულისა კაცისა გაჩენილი... ეგრევე კალა მასა გაურისხდეს“ (№ 70).

ზოგან საეკლესიო ხასიათის სანქცია (კრულვა) შერეულია საეროსთან (ჯარიმა). სეტის ხევის ურთიერთდგომის და გაუყრელობის წიგნში ვკითხულობთ: „კრულიმც არს კაცი იგი ღმრთისა დაუსაბამოსა პირითა აქა და მას საუკუნესა, სული და ჯორცი მისი აქა და მას საუკუნესა, ორთავე ცხორებათა შინა“. შემდეგ კი საერო ხასიათის სანქცია ასეა ჩამოყალიბებული: „ვინც უკუ დგეს, ესე დაწერილი გაგვიტეხოს, ასის თეთრისა პატიჟი გარდავატევინოთ“ (№ 34).

ეკლესიისა და მისი შემოგარენის მანძილის მიხედვით საზღაურის რაოდენობის განსაზღვრა. სვანურ „ძეგლებში“ 1442—1452 წლებით დათარიღებული ერთი მეტად საინტერესო საბუთია, რომლის სადარც, გარდა ბიჭვინთის იაღჯარისა (მუხლები 3, 16). ([3], 612) და შალვა ქვენიფნეველი ერისთავის ლარგვისის მონასტრებისდამი შეწირულობის წიგნისა (1470 წ.) ([4], 140), საქართველოში არ მოგვეპოვება.

„ძეგლებში“ გამოქვეყნებული საბუთი (№ 261) შეეხება ეკლესიისათვის საზღაურის გადახდას იმის მიხედვით, თუ რა მანძილის დაცილებით მოხდა ხელყოფა ეკლესიის ქონებაზე, ან, საერთოდ, როგორ შეილახა მისი ინტერესები.

საფასე. XIV—XV საუკუნეების სვანეთში გვხვდება გიორგი ბრწყინვალის (1335 წ.) და ბექა მანდარტურთუხუცესის (1295—1304 წწ.) სამართლის წიგნებში მოხსენებული ტერმინი „საფასე“ („მიფეასოს“), რომლის კვალი უფრო ადრეული პერიოდებიდან, კერძოდ, IX—XIII საუკუნეებიდან, იწყება ([4], 3, 32, 34, 78).

„ძეგლებში“ „საფასეს“ შესახებ ლაპარაკია ასეთ შემთხვევაში: თუ ხევის მცხოვრებს „ნაპარავი გამოაჩნდეს, სამოცი საფასე მოხერისა მთავარანგელოზისა საპატიჟო იყოს, და სამოცი საფასე სოფ[ლი]სა“ (№ 54).

მოტანილი მაგალითიდან აშკარად ჩანს, რომ „საფასე“ გადახდება დამნაშავეს, როგორც საჯარო ხასიათის სასჯელი, რაც განკუთვნილია არა დაზარალებულისათვის, არამედ სოფლისა თუ ეკლესიისათვის. ეგვე არ შეიძლება ითქვას ბექა მანდარტურთუხუცესის (1, 18 მუხლები) და გიორგი ბრწყინვალის (22, 41 მუხლები) სამართლის წიგნების შესახებ, სადაც „საფასე“ სისხლის საზღაურში კი არ შედის, არამედ დაზარალებულის სასარგებლოდ განკუთვნილ დამოუკიდებელი სახის გადასახდელად გვევლინება.

ერთი „საფასე“ მიყენებული ზარალის (მოპარულის ან დამწვარის) ტოლია, რომლის რაოდენობის გაზრდაც ამ პროპორციის დაცვით ხდება.

საურავი. ქართულ სამართლის ძეგლებში იურიდიული ტერმინი „საკმაოდ ვრცელადაა განმარტებული. ამავე მნიშვნელობით გვხვდება იგი სვანეთის „ძეგლებშიც“ (№№ 1, 3, 6, 8, 54, 94, და სხვ).

იხადება კითხვა: თუ სვანეთში ამ დროისათვის (XIV—XV საუკუნეებში) თემურ-გვაროვნული წყობილება იყო, როგორ იქნა შეთვისებული ასე ფართოდ დაურევების ინსტიტუტი, მაშინ როცა „ცნობილია ის გარემოება, რომ დასჯადი მოქმედებისათვის ფეოდალურ კანონმდებლობით უმრავლეს შემთხვევაში დაურევა იყო გათვალისწინებული“ ([5], 220), რაც ქვემოთ მოტანილ სხვა არგუმენტებთან ერთად ამაგრებს მოსაზრებას, რომ ამ დროის სვანეთში კლასობრივ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე.

მპარავთმძებნელი. XIV—XV საუკუნეებში სვანური სინამდვილისათვის უცხო არა ყოფილა გიორგი III-ის მიერ შიო მღვიმისადმი მიცემულ სიგელში (1170 წ.) მოხსენიებული „მპარავთმძებნელთა“ ინსტიტუტი, რაზედაც მეტად ძუნწად მიგვანიშნებს სიტყვები: „მპარავის ძებნისათვის“ (№ 54).

ასაბია. სვანეთი იცნობს თანამონაწილეობის ინსტიტუტს, რომელსაც, ქართული სამართლის სხვა წყაროების მსგავსად, „ასაბია“ ეწოდება.

საბას განმარტებით, „ასაბია“ „მტერზე მიმყოლი შემწეა“. აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით კი, XI—XII საუკუნის ქართული სამართლის ძეგლებში დამოწმებული სიტყვა „ასაბია“ ტერმინ „მეშუელის“ სინონიმა ([6], 280).

„სვანეთის ისტორიულ ძეგლებში“ ვკითხულობთ: „ჩვენ უსაბიეთ“ (№ 19), „თქვენ გვასაბიეთ“ (№ 37), „ჩვენთა ასაბიათა... ასაბიათა ყველათა“ (№ 81), „დავიკოღე თქვენსა ასაბიობასა შიგა“ (№ 104). ამ საბუთების შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ თანამდგომის, მშველელის, დახმარების აღმომჩენის გამომხატველი სიტყვა „ასაბია“ იმავე მნიშვნელობით დამკვიდრდა სვანეთშიც, როგორც იყო აღმოსავლეთ საქართველოში. ამას ადასტურებს „გერშის“ ინსტიტუტის განხილვისას ქართულ ძეგლებთან სვანურის შედარებაც, როცა „გერშის“ სახით საზღაურის მიღების დროს ასაბიები ერთნაირ უფლებებში არიან ჩაყენებულნი.

„ძეგლები“ იცნობს ქართულ სამართლის ინსტიტუტს „ფათერაკსაც“ (№№ 1, 23, 55).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ვარდა იურიდიული ხასიათის ინსტიტუტებისა და ტერმინებისა, ოთხთავებზე გაკეთებული მინაწერების მიხედვით, ზოგადქართულია სვანური დიპლომატიკაც, რაც საბუთთა გაფორმების ერთიან წესში მდგომარეობს. ცალკეული მინაწერი ქანწილით (ქ) იწყება (№№—1, 2, 7, 12, 16, 18 და სხვა [7]; 485, 513, 520. 531).

„ძეგლებში“ გვხვდება იურიდიული შინაარსის სხვა ტერმინებიც. აი რამდენიმე მათგანი: „ქვეყნის სამაგრობელი“—კანონს ნიშნავს (№№ 15, 20, 31, 33, 41, 61); „სამოკვეთილო“ — ჭირსა და ლხინში თანდგომის პირობაა (№ 6, 7); „ნიშანი წარკვეთილი გადაწყვეტილებისა“, იგივე „ბოლოს მოღებულობა“ შეთანხმებას ნიშნავს მკვლელობის ან დაჭრის დროს (№№ 40—42, 82, 93, 95, 100, 106) და სხვა.

„სვანეთის საისტორიო ძეგლებში“ გამოქვეყნებულ მასალათა შუქზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენადმე მაინც შევეხოთ ამ დროის სვანეთის საზოგადოებრივ წყობილებას.



სამეცნიერო ლიტერატურაში თავის დროზე დამკვიდრდა მოსაზრება, რომ სვანეთში თემურმა წყობილებამ XIX საუკუნემდე შემოინახა თავი.

აღნიშნულ მოსაზრებას საფუძვლად უპირატესად საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის დონე უდევს, მაგრამ მის შიგნით სოციალური მოტივების გათვალისწინება, რასაც საკუთრების ინსტიტუტის არსებობა განაპირობებს, თავისებურად აყენებს საკითხს, როცა შეუძლებელია აშკარად არ დავინახოთ კლასობრივი საზოგადოების ატრიბუტები, რომლებიც არა მარტო ჩაისახა, არამედ ისე განვითარდა, რომ XIII—XVI საუკუნეებშიც კი ვერ ბოჭავს მას თემური წყობილების არტახები.

„ძეგლების“ მიხედვით, კერძო საკუთრების ინსტიტუტი სვანეთში მეტად განვითარებული ჩანს. მისი შინაარსის გამომხატველი ტერმინებია — „მკვიდრად“ და „სამამულოდ“, რომლებიც იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც ქართულ პირველწყაროებში „მამული“ და „სამკვიდრობელი“.

აკად. ივ. ჯავახიშვილს ტერმინი „მამული“ გვაროვნული წყობილების რღვევის პროდუქტად მიაჩნია, როცა მისგან გამოყოფილი წევრი გვარის საერთო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში ლეებლობს ქონებას „მამულის“ სახელწოდებით. ტერმინი „საკვდრებელი“ კი „მემკვიდრეობით მიღებულ წილს ჰნიშნავდა“ ([6], 391).

რა კონტექსტში გვხვდება „ძეგლებში“ „მამული“ და „სამკვიდრებელი“?

XII—XIV სს. საბუთების მიხედვით გელოვანები „თავს დაათვლიან“ ეკლესიას და ხევს იმით, „რასაც ჩუენი ჰქუიან, მკუიდრად“ (№ 12). სხვა მინაწერით: აბალანი გიორგი, მისი ძმა და შვილი წერენ: „დაგათვალეთ ჩუენი თავი. რასაც ჩუენი ქვია, ყოველი მკვიდრად სამამულოთა“ (№ 16), ან კუჭაიძეს შეუწირავს ეკლესიასთვის მიწები, შეუწირავს, ვითარ „მკვდრად და სამამულოდ“ (№ 30). მიწის ყიდვა-გაყიდვის სხვა საბუთებით, გამყიდველმა უწერს მყიდველს, ნაყიდი მიწა მიიჩნის ისე, როგორც მიღებული „მკუიდრად სამამულოდ“ (№ 80). მსგავსივე შინაარსით იხმარება ეს ტერმინები სხვა საბუთებშიც (№ 90, 91, 112, 113).

ყოველივე ამის შემდეგ თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ფეოდალიზმის დროს მემკვიდრეობა საკუთრების შეძენის აღიარებული წყაროა, დავინახავთ, რომ ამ დროს ბალსხემოურ სვანეთში ამ ნიშნის მიხედვითაც უკვე არსებობს ფეოდალური ურთიერთობა.

„ძეგლების“ მიხედვით, კერძო საკუთრების შეძენის შემდეგი წყაროა ყიდვა. როგორც ცნობილია, ყიდვა-გაყიდვის ინსტიტუტი ყველაზე უფრო მტკიცე უფლებას ქმნის კერძო საკუთრებაზე. იგი, ვალდებულებითა სამართლის სხვა წამყვან ინსტიტუტებთან ერთად, „საკუთრების წარმოშობა-განვითარების პირობაცაა და შედეგიც“ ([8] 59).

„ძეგლებში“ ცალკეულ პირთა შორის ყიდვა-გაყიდვის ობიექტად მიწასაც კი ვხვდებით. საბუთებში ვკითხულობთ: „ლაკაილას ყანაი მოგყიდე. ავიღე შენგან ფასი სრული“ (№ 80), ყანა „მოგყიდეთ, ავიღეთ თქუენ[გან] ფასი სრული“ (№ 88), „სთიბვე მოგყიდეთ“ (№ 91).

მინაწერები გვაუწყებენ იმასაც, რომ ერთი და იმავე მიწის ნაკვეთს დენჯერზე გამხდარა ყიღვა-გაყიდვის ობიექტი (№ 89)¹.

ყიღვა-გაყიდვის ფართო ხასიათზე მეტყველებს ტერმინ „ვაჭრობის“ განვრცობაც (№№ 88, 90, 91).

სვანეთში მიწის ყიღვა-გაყიდვა, მსგავსად ჩვენს ქვეყანაში დადგენილი წესისა, წერილობითი საბუთის გაფორმებით ხდებოდა, სადაც ღირებულება ასე მოიხსენიებოდა: „ავიღე [თქუნ]გან ფასი სრული“ (№ 90), „ავიღეთ ფასი სრული, რომელსა[ცა] შეგჯერდი“ (№ 112) და სხვა (№№ 80, 88, 91).

„ძეგლებმა“ ცნობა შემოგვინახა საკუთრების შექმნის ისეთ წყაროზედაც, როგორცაა „დედული“ ანუ „მზითვი“. აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, დედული იმ ქონებას ერქვა, რომელიც შვილებს დედისაგან დარჩებოდათ ხოლმე. ამ ქონებას დედას მამის სახლიდან ატანდნენ და „მზითევი“ ეწოდებოდა ([6], 374). ვხვდებით ისეთ მინაწერებსაც, რომელთა მიხედვით, ჯაფარიძეთა წინაშე საყმო ვალდებულება აწევთ ხერგიანებს (№№ 8, 9,), ასევე სხვებსაც ეკისრებათ ჯაფარიძეთა სასარგებლოდ საყმო გადასახადის გაღება (№№ 10, 11).

XV საუკუნის დასაწყისში შედგენილი ბატონყმობის გამაფორმებელი საბუთით, უზბეგ და არღონ იოსელიანები სეტელ დემეტრეს გლეხად მიღების პირობას ასე აძლევენ: „არაი და[ვა]კლოთ, ვითა ჩუენსა გლეხსა, ეგრე დავადგეთ, თქუენი თავი საუსამართლოდ და სამაჯროდ (დასაჯაბნელად — მ. კ.) არაი ვის მივანებოთ“ (№ 7). როგორც ჩანს, იოსელიანებს სხვა გლეხებიც ჰყოლიათ და მსგავსი მდგომარეობით იღებენ დემეტრესაც, ჩანს ისიც, რომ გლეხს დაცვა ესაჭიროება, რასაც იოსელიანი კისრულობს. „ჩემი გლეხის“ და მისი მფარველობის საჭიროებაზე ლაპარაკი ეწინააღმდეგება თემური საზოგადოებისათვის დამახასიათებლად აღიარებულ თანასწორობა-სამართლიანობის პრინციპებს ([9], 79).

სვანეთში თემური საზოგადოების დაშლას მოწმობს XIV—XV საუკუნით დათარიღებული იმ საბუთის შინაარსიც, რომლის მიხედვითაც, პირნათელი ჯაფარიძე სამოკეთეო პირობას უდებს ივანე სეტიელის სახლს. აქ ვკითხულობთ: „შენისა მტერისა მტერი ვიყო, მოყვრისა მოყვარე. ჩემითა შეძლებითა შენი საქმე არავის [ვათნი]ო. თუ ჩემი კაცი გებრძოდეს, შენზე[ედ] მასცა არა შეეუღდე“ (№ 6). როგორც ჩანს, ჯაფარიძე ეთიშება თავისიანებს (რაც გვაროვნული წყობილების ცხოვრების ქვაკუთხედი) ახლად შექმნილი მოკეთის წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი.

თუ არა კლასობრივი ბუნებით, მაშ, რით უნდა აიხსნას სისხლის საზღაურის რაოდენობის განსაზღვრაც გვარისა და მდგომარეობის მიხედვით, ასე რომ იხსნება საბუთში: „ოთხისა კარგისა კალელისა სისხლი მიზეზ გავლებლად დავიუროთ“ (№ 69), „ერთისა სპატიოსა სვანისა სისხლი გარდაიხადოს“ (№ 74).

„ძეგლებში“ ზემო სვანეთშიც კლასობრივი საზოგადოების არსებობის დამადასტურებელი. — XV საუკუნის II ნახევრის — ერთი ისეთი ცნობაც ვხვდვ-

¹ მკვლევართა მოსაზრებით, კერძო საკუთრება პირველად მოძრავ ქონებაზე უნდა გაჩენილიყო ([8], 40), რაშიც უპირველესად ჯოგი იფულისხმებოდა. უნდა დავასკვნათ, რომ ზემო სვანეთშიც მიწის კერძო საკუთრებას ჯოგის კერძო საკუთრებაში გადასვლა უსწრებდა წინ, ამდენად, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში კერძო საკუთრების სფერო მეტად ვრცელია.



ბა, საიდანაც ვგებულობთ, რომ ვინმე მიქელ კუჭაისძეს მეჭურჭლის (თანამდებობა) სჭერია. იგი პირობას დებს ბალსზემო ხევისადმი, რომ, თუ ნდობას ვერ გაამართლებს, თანახმაა „თქუენი კელი და მეჭურჭლეობა“ (№ 30) წამერთვასო. ცხადია, ზემო სვანეთის „მეჭურჭლე კუჭაისძე“ (ასე აწერს იგი ხელს) საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის (ფინანსთა მინისტრის) ფუნქციის მატარებელია.

საქართველოს პოლიტიკურად დაქუცმაცებამდე მთელ სვანეთთან ერთად ზემო სვანეთიც მის შემადგენლობაშია და მთელის ნაწილს წარმოადგენს. ამ დროისათვის აქ უკვე მიმდინარეობს გლეხთა დაყმევება. აყმევებენ როგორც პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფი საერო პირნი, ისე ეკლესიები. ამდენად, მართებულად არ მიგვაჩნია რ. კანდელაკის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ბალსზემო სვანეთში თავისუფალი მეთემის დაყმევების პროცესი XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო“ ([10], 70).

საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გეოგრაფიული პირობებით ნაკარნახევ მიზეზთა გამო ზემო სვანეთი ახლად წარმოშობილ სამეფო-სამთავროებისაგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებს და სწორედ ამდენად ხდება იგი თავდაპირველად „თავისუფალი“. ეს „თავისუფლება“ მართლაც წარმოშობს რეალურ პირობებს სოციალური თანასწორობისათვის საბრძოლველად, რაც ერთგვარ ბიძგს აძლევს თემური წყობილების დამახასიათებელი ზოგიერთი ინსტიტუტის გამოცოცხლებას.

• ამ დროიდან თავისუფლებისადმი მისწრაფება ისე ძლიერდება, რომ, შეიძლება ითქვას. რამდენადმე მაინც კონსერვდება კლასობრივი საზოგადოების (ფეოდალიზმის) დამახასიათებელი ზოგიერთი ინსტიტუტი, ხოლო ვინც ცდილობს მის აღორძინებას, მთელი ხალხის რისხვა ატყდება თავს. ასე მოუვიდათ გარდაფხაძეების, ჯაფარიძეებისა და ჩარკვიანების გვარეულობებს, რომლებმაც ამა თუ იმ გზით მოინდომეს, რომ პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ თავი.

ამდენად, ოთხთავებზე გაკეთებულ მინაწერებში დაცული სამართლებრივი ხასიათის ინსტიტუტების შესწავლის საფუძველზე ჩვენთვის ნათელი გახდა ის, რაც ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით XV საუკუნის მიმართ აქვთ გამოთქმული ეთნოგრაფებს. ცხადი გახდა, რომ XIII—XVI საუკუნეების ზემო სვანეთი, შედარებით საქართველოს ცენტრალურ ნაწილთან, მაინც ფეოდალიზმის ხანაშია. ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ზემო სვანეთი ჯერ კიდევ XIII—XVI საუკუნეებში ეზიარა ცენტრალიზებული საქართველოს მაღალ იურიდიულ აზროვნებას და შეისისლხორცა იგი. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი მხარის სპეციფიკურობიდან გამომდინარე თავისებურებადაც კი განვითარდა.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VI; 1953; რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 1964.
2. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, 1941.
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, პროფ. ი. დოლიძის გამოკვლევითა და რედაქციით, 1963.
4. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, პროფ. ი. დოლიძის გამოკვლევითა და რედაქციით, 1965.
5. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952.
6. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, 1929.
7. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მესტიის სახარების ფოტოპირი, Ri № 3, VI.
8. ს. ჯორბენაძე, სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში, 1963.
9. ფ. ენგელსი, ოჯახის, საკუთრების და სახელმწიფოს შესახებ, 1938.
10. რ. კანდელაკი, კლასობრივი სტრუქტურა და სოციალური ურთიერთობა XIX საუტ. პირველ ნახევარში სვანეთში. უფრ. „სკოლა და ცხოვრება“, № 12, 1961.

М. М. КЕКЕЛИА

ВОПРОСЫ ОБЩЕСТВЕННОГО СТРОЯ И ПРАВА ВЕРХНЕЙ СВАНЕТИ
ПО ПРИПИСКАМ НА АДИШКОМ И МЕСТИЙСКОМ ЧЕТВЕРОГЛАВАХ
(XIII—XVI ВЕКА)

Резюме

Большая часть приписок, сделанных на Адишском и Местийском евангелиях в XIII—XVI веках, носит правовой характер, Они представляют собой отдельные законодательные акты, принятые общим собранием социально неоднородной общины (х е в и, т е м и).

Из упомянутых приписок выясняется, что здесь действуют те же самые правовые институты («сисхли», «геш и», «санахширо», «п а т и ж и», «с а п а с е», «с а у р а в и», «а с а б и а» и другие), что и в остальных уголках Грузии. Однако некоторые сведения о понятиях преступления и наказания встречаем лишь в указанных памятниках, поскольку с общенародной точки зрения они являются неоценимыми.

В противовес высказанным в научной литературе соображениям, по припискам удастся установить, что в Верхней Сванети XIII—XVI веков общество классовое, в котором отчетливо выражена дифференциация его членов на богатых и бедных, знатных (ц а р ч и н е б у л и) и простолюдинов (м д а б и о). Более того, прослеживается категория крепостного крестьянства (к м а г л е х и). Развита частная собственность на землю, которая передается по наследству, а также представляет собой объект купли и продажи. В обращении находится принятая по всей Грузии денежная единица т е т р и.) Наблюдаются также другие черты, характерные для классового общества.



Верхняя Сванетия

До политического дробления Грузии (до конца XV века) Верхняя Сванети входит в ее состав как часть целого. А после распада страны на мелкие царства и княжества, в силу причин, обусловленных географическими особенностями, этот уголок Грузии продолжает существовать независимо от вновь возникших царств и княжеств и именно постольку становится вначале «свободным». Эта «свобода» действительно порождает реальные предпосылки для борьбы против социального неравенства, что служит своего рода толчком для оживления некоторых институтов, присущих еще не полностью разложившемуся общинному строю. С этих пор стремление к свободе настолько усиливается, что кое-какие институты, свойственные классовому обществу (феодализму), в некоторой степени все же консервируются; а на того, кто пытается их возродить, обрушивается гнев народный. Так случилось, например, с феодальными домами Гардапхадзе, Джапаридзе и Чарквиани.

„მართალი სამართლის“ გაგვიხსნათვის¹

ვანტანგ აბაშმაძე

ფეოდალური საქართველოს ისტორიულ წყაროებში ხშირად გვხვდება მითითება „მართალ სამართალზე“, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმოადგენს სამართლის განსაკუთრებული სახის—ღვთაებრივი სამართლის აღმნიშვნელ სპეციფიკურ ქართულ იურიდიულ ტერმინს ([1], 185—205).

ანტიკური ეპოქისა და შუა საუკუნეების მრავალ ქვეყანაში განვითარებული ეკონომიური წყობილების საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ მოძღვრებებში უკვე შეიმჩნევა სამართლის ცალკეულ დარგებად დაყოფის ცდა ([2], 50—68). საქართველოში უცხოელ დამპყრობთა ბატონობის შესუსტებისა და ლიკვიდაციის პირობებში სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად ქართული სამართლებრივი აზრი განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. სამართლებრივი პარტიკულარიზმის დაძლევის შედეგად სამეფო ხელისუფლება ცდილობს მის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების საშუალებით მოაწესრიგოს მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. სამართლით მოაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობების მიხედვით სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიები უკვე ერთმანეთისაგან ასხვავებენ სამართლის სხვადასხვა დარგს: დადებით სამართალს, ღვთაებრივ სამართალს და ა. შ.

ფეოდალურ საქართველოში ჩამოყალიბებული სამართლებრივი მოძღვრებების თანახმად, სამართლის ყველა სხვა სახისაგან განსხვავებით შუა საუკუნეებში რელიგიის განუყოფელი ბატონობის გამო ღვთაებრივ სამართალს იერარქიულად ყველაზე მაღალი მდგომარეობა უკავია და იგი გაგებულია როგორც „მართალი სამართალი“.

„მართალი სამართალი“ იურიდიული შინაარსის სპეციფიკური ტერმინია და იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლის მეცნიერების ძირითად საკვანძო ცნებებთან, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამ ტერმინმა, რომელიც სამართლის სპეციფიკურ სახეს აღნიშნავს, ფილოლოგთა შორისაც აღძრა განსაკუთრებული ინტერესი. ვგულისხმობთ ე. ხინთიბიძის სტატიას „მართალი სამართლის“ ცნების გაგებისათვის [3], რომელშიც ავტორი სადავოდ მიიჩნევს „მართალი სამართლის“ ცნების ჩვენებულ გაგებას.

ე. ხინთიბიძე ყურადღებას ამახვილებს საკითხის ორ ძირითად ვარემოებაზე, რომლებსაც, მისი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „მართალი სამართლის“ ცნების ახლებური გააზრებისათვის.

¹ იბეჭდება განხილვის წესით. რედ.



უპირველეს ყოვლისა, ე. ხინთიბიძის მტკიცებით, „ვეფხისტყაოსნის“ შემთავრების ეპიზოდების შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე „მართალი სამართალი“ არ უნდა იყოს ღვთაებრივი სამართალი. იგი წერს: „ჯერ ერთი, როგორ შეიძლება, რომ ღვთაებრივ სამართალად მივიჩნიოთ იმ პერსონალურად უღანაშაულო სასიძოს მოკვლა, რომელიც ინდოეთში მიდიოდა მეფის მიპატიყებით, რომლის ინდოეთში ჩასიძება არა მარტო მეფისა და დედოფლის სურვილით, არამედ სახელმწიფო ვეზირთა დასტურით ხდებოდა და რომელმაც არაფერი იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ნესტანისა და ამირბარის სიყვარულის შესახებ“ ([3], 154).

ე. ხინთიბიძის აზრით, სასიძო „პერსონალურად უღანაშაულო“ იყო შემდეგი მოსაზრებების გამო: 1. იგი მიპატიყებული იყო ინდოეთში ჩასასიძებლად მეფისა და დედოფლის მიერ, 2. ამაზე იყო ინდოეთის სახელმწიფოს ვეზირების დასტური, 3. სასიძომ არაფერი იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის შესახებ.

ე. ხინთიბიძე აუბრალოებს შექმნილ სიტუაციას და მხედველობის გარეშე ტოვებს გარემოებებს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ „ვეფხისტყაოსნის“ ამ ეპიზოდის სამართლებრივი შეფასებისათვის.

საქმე ის არის, რომ ე. ხინთიბიძის მიერ ყველა ზემოთ აღნიშნული გარემოებების გარდა, ხვარაზმშას შვილის ინდოეთში ჩასიძებას შედეგად უნდა მოჰყოლოდა მის მიერ დასაკუთრება სამეფო ტახტისა, რომელიც მხოლოდ ტარიელს ეკუთვნოდა. სამართლებრივი თვალსაზრისით ამ გარემოებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს და სასიძომ თუ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ ტარიელს ეცილებოდა ნესტანის სიყვარულში, ის მინც უნდა სცოდნოდა, რომ თავისი მოქმედებით სამეფო ტახტს ართმევდა კანონიერ მემკვიდრეს. ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი: ფეოდალიზმის ეპოქაში, როდესაც სამეფო ტახტისათვის ძმა ძმას და შვილი მამას კლავდა, აქტიურ მოქმედებაში გამოხატული მეფობის კანონიერი მემკვიდრისათვის წართმევის ცდა ითვლება თუ არა დანაშაულად? რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში, ფეოდალიზმის პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით, კანონიერი მემკვიდრისათვის სამეფო ტახტის წართმევა სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებაა და ამ მოქმედების ჩამდენი დამნაშავეა.

„ვეფხისტყაოსნიდან“ ნათლად ჩანს, რომ რუსთაველი ფეოდალიზმის პოლიტიკური იდეოლოგიის თვალსაზრისზე დგას ამ საკითხთან დაკავშირებით და ხვარაზმშას შვილს, რომელიც ინდოეთში მოვიდა არა მარტო ნესტანზე დასაქორწინებლად, არამედ სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრისათვის წასართმევად, დამნაშავედ მიიჩნევს. ვფიქრობთ, ე. ხინთიბიძეს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი ხვარაზმშას ძის „ბრალეულობის“ საკითხი.

მოვიტანოთ პოემიდან შესაბამისი ადგილები:

მიბრძანა, თუ „ხამს დიაცი დიაცურად, საქმე-დედლად,
დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად:
რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად,
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

545 (542);

ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,
მოპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,

მისთა სპათაცა ნუ დაჰზოც, ზროხათა, ვითა ვირთაო,
დიადი სისხლი უბრალო კაცმანმცა ვთ იჯვირთაო?
546 (543)

როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, რუსთაველი საკმაოდ მრავალრიცხოვან სპას, სასიძოს რომ ახლდა, უდანაშაულოდ, „უბრალოდ“ თვლის და მისი განდგურება უმართებულოდ მიაჩნია. რაც შეეხება სასიძოს, იგი რუსთაველს, ჩვენი აზრით, ბრალეულად მიაჩნია. ე. ხინთიბიძე შენიშნავს, თითქოს ჩემ მიერ სასიძოს დამნაშავედ მიჩნევა გამოწვეულია არასანდო ტექსტის გამოყენებით.

შევიჩრდეთ ამ საკითხზე.

ე. ხინთიბიძის მიერ სანდოდ მიჩნეულ ტექსტს (რომელსაც ჩვენც ვემყარებთ ამჟამად და სინანულით აღვნიშნავთ, რომ იგი თავის დროზე ვერ გამოვიყენეთ იმის გამო, რომ ჩვენი შრომის გამოქვეყნებისას არ არსებობდა) შესწორება არ შეაქვს ჩვენს დასკვნებში. ორივე შემთხვევაში რუსთაველი ლაპარაკობს სპის „უბრალოობაზე“. რუსთაველი ნესტანის პირით ამბობს, რომ ტარიელმა უნდა მოკლას სასიძო, მაგრამ სპა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამოხოცოს, რადგანაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი სპა უდანაშაულოა. ბუნებრივად ისმება საკითხი: ჰუმანიზმის დიდი წარმომადგენელი შ. რუსთაველი რა გამართლებას აძლევს სასიძოს მკვლელობას? მიაჩნია თუ არა რუსთაველს სასიძო ისევე უდანაშაულოდ, როგორც მისი თანმხლები სპა? რუსთაველს რომ ხვარაზმშას შვილიც უდანაშაულოდ მიაჩნდეს, იტყოდა, სასიძოც და სპაც [უდანაშაულოა, მაგრამ სასიძო მაინც უნდა იქნეს მოკლული. ამგვარი მითითება კი „გვფხისტყაოსანში“ არ გვხვდება. რუსთაველი სასიძოს მიიჩნევს არა მარტო ტარიელის მოცილებ ნესტანის სიყვარულში, არამედ მას ხვარაზმშას შვილი წარმოდგენილი ჰყავს ისეთ პირად, რომელიც თავისი მოქმედებით კანონიერი მემკვიდრისაგან იტაცებს სამეფო ტახტს და ცდილობს, ინდოეთზე სპარსელები გააბატონოს.

სულ სხვა შეხედულებისა ფარსადანი, რომელიც რუსთაველის შეხედულებებს არ გამოხატავს. ფარსადანი ცდილობს დაარწმუნოს ტარიელი, რომ სასიძო „უბრალოა“:

ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამოდებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?

565 (562)

როგორც ტექსტიდან ჩანს, ფარსადანს მხოლოდ იმიტომ მიაჩნია სასიძო უდანაშაულოდ, რომ იგი ტარიელს ნესტანის სიყვარულში ეცილება, მაგრამ ტარიელი, ფარსადანისაგან განსხვავებით, სასიძოს მოქმედებას სულ სხვაგვარ კვალიფიკაციას აძლევს, რის მიხედვითაც სასიძო დამნაშავეა. ტარიელი ამბობს, რომ აქ სიყვარული არაფერ შუაშია, სამეფო ტახტის ერთადერთი მემკვიდრე მე ვარ და სხვას არა აქვს სამართლით უფლება ტახტს დაეპატრონოს.

მე შევეთვალე; „მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილთა აღისა?
მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა,
მე, თქვენმან მზემან, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა 1.

566 (563)

იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია!—
ერთიდა მე ვარ მემკვიდრე,—ყველაი თქვენ მოგხდომია:



ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგროშია;
 ღღესამდის ტახტი უჩემოდ არავის არ მოჰნდომია!

567 (564)

ტარიელის ეს ახსნა-განმარტება იმდენად დამაჯერებელია, რომ ფარსადანი შემდგომ ვეღარ ბედავს გაიმეოროს სასიძოს უდანაშაულობა.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ე. ხინთიბიძის მოსაზრება სასიძოს უდანაშაულობის შესახებ მართალია, მაშინ ასეთი მდგომარეობა იქმნება: ჰუმანისტი პოეტი უდანაშაულო სასიძოს მოკვლას უწოდებს „მართალი სამართლის“ ქმნას, რაც შეუთავსებელია რუსთაველის მსოფლმხედველობასთან. საქმეს ვერ შევლის ე. ხინთიბიძის მიერ შემუშავებული მოდუსი—საკითხის გადაწყვეტა „კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით“. უდანაშაულო კაცის მიმართ სიკვდილის განაჩენის გამოტანა, რაგინდ „კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით“ უნდა მოხდეს იგი, კაცთმოძულეობასა და ძალადობაზე დამყარებული უსამართლობა და ეს არ შეიძლება იყოს „მართალი სამართალი“.

სასიძოს მოკვლას რუსთაველმა მოუნახა თავისი ეპოქის ყველაზე ძლიერი იურიდიული დასაბუთება: სასიძო, როგორც ტახტის მიმტაცებელი, გამოაცხადა იმ ღვთაებრივი სამართლის დამრღვევად, რომელიც განსაზღვრავს ტახტის მემკვიდრეობას.

როგორც ჩანს, სასიძო სრულიადაც არ ყოფილა „პერსონალურად უდანაშაულო“, როგორც ეს ე. ხინთიბიძეს ჰგონია. ამდენად, მისი არგუმენტი, რომ ღვთაებრივი სამართალი არ შეიძლება შეიცავდეს მითითებას „პერსონალურად უდანაშაულო“ სასიძოს მოკვლაზე, მცდარია, რადგანაც სასიძო, პოემის მიხედვით, იმიტომ არის დამნაშავედ ცნობილი, რომ იგი ცდილობს სამეფო ტახტი წაართვას კანონიერ მემკვიდრეს, ტარიელს, რაც ღვთაებრივი სამართლით დანაშაულია.

ღვთაებრივი სამართალი რომ სამეფო ტახტის მემკვიდრეობას განსაზღვრავს და მისი ნორმებით წესრიგდება. სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხები, ეს მითითება, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, ჩვენამდე მოღწეული სხვა წყაროებითაც დასტურდება. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორი საგანგებოდ განიხილავს საკითხს, თუ სამეფო ტახტის თაობაზე ატეხილ ძმათამკვლელ ომში ვინ იყო მართალი, გიორგი III თუ დემნა უფლისწული. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში „ვეფხისტყაოსანთან“ თამარის ისტორიკოსის თხზულების საოცარი დამთხვევა შეინიშნება. ისტორიკოსი წერს, რომ იმ სამართლით, რომლითაც ღმერთი ხელმძღვანელობს,—ქ. ი. ღვთაებრივი სამართლით, სამეფო ტახტი გიორგი III-ეს ეკუთვნოდა. თამარის მემკვიდრეობაზე წერს: „არა მიმშუებელმან ღმერთმან, მოქმედმან სამართალთამან... მისცა გიორგისვე ძლევა, მძლეოთა მძლესა... ამას შინა სძლო მსჯავრისა და სიმართლისა მქონებელმან“ ([4], 18—19).

ამრიგად, ე. ხინთიბიძის მიერ მოტანილი არგუმენტი უსაფუძვლოა.

ე. ხინთიბიძეს იმის დასადასტურებლად, რომ „მართალი სამართალი“ არ არის ღვთაებრივი სამართალი, მოუბოვება სხვა საბუთებიც, რომლებიც თურმე „ჩვენამდე მოღწეული მაგალითების სრულყოფილ შესწავლას“ ემყარება.

სანამ ე. ხინთიბიძის მიერ მოხმობილი მაგალითების შეფასებას შევეუდგებოდეთ, გვინდა შევჩერდეთ მის ერთ შრომაზე, რომელიც გამოკვეყნებულია თეზისების სახით და მიზნად ისახავს „მართალი სამართლის“ ახლებურ გააზრებას“

[5]. აქ ავტორი იმ მოსაზრებას ავითარებს, რომ „მართალი სამართლის“ თულ სინამდვილეში ჩამოყალიბებული ინსტიტუტი არ არის, რომ „ქართულ სასულიერო ლიტერატურაში ეს გამოთქმა იოანეს სახარებიდან დამკვიდრებულა“, იოანეს სახარებაში კი ეს გამოთქმა ანტიკური მწერლობიდან გადმოსულა. ე. ხინთიბიძის აზრით, „მართალი სამართლის“ ცნება თურმე პირველად ბერძენ ავტორებთან ყოფილა მოცემული: „ძველ ბერძენ ავტორებთან ჰქონდათ თავისებური სახის სამართალს აღნიშნავს. ყველაზე ნათლად და მკვეთრად მისი მნიშვნელობა ჩამოყალიბებულია არისტოტელესთან. არისტოტელეს მიხედვით, ეს არის ზუსტი, მართებული სამართალი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევას შეეხება და პრაქტიკულ გარემოებათა გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული“ [5].

ამრიგად, ე. ხინთიბიძის შეხედულებით, ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული „მართალი სამართალი“ ქართულ სინამდვილეში არ არის წარმოშობილი, იგი ნასესხებია არისტოტელესაგან, რომელიც იყენებს ცნებას ჰქონდათ თავისებური სახის სამართალს აღნიშნავს. „ზუსტ, მართებულ სამართალს“. აქედან მიღებულია დასკვნა: რადგანაც არისტოტელეს მიერ გამოყენებული ცნება ჰქონდათ ანუ „მართალი, ზუსტი სამართალი“ ნიშნავს პრაქტიკულ გარემოებათა გათვალისწინებით ჩამოყალიბებულ კონკრეტულ შემთხვევას და ეს ცნება შუა საუკუნეების საქართველოში უცვლელად გადმოვიდა, რა თქმა უნდა, ქართული სამართლებრივი ტერმინი „მართალი სამართალიც“ იგივე ჰქონდათ ანუ „პრაქტიკულ გარემოებათა გათვალისწინებით ჩამოყალიბებულ კონკრეტულ შემთხვევას გულისხმობს“. თითქოს ყველაფერი რიგზეა და ე. ხინთიბიძის მტკიცებას დამაჯერებლობა არ აკლია, მაგრამ, როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, ე. ხინთიბიძის ეს მოსაზრება იმით არ არის მართალი, რომ არისტოტელეს ჰქონდათ სრულიად არ ნიშნავს „ზუსტ, მართალ სამართალს“, არამედ ეს სიტყვა, არისტოტელეს მიხედვით, სამართლის სფეროსაგან განსხვავებული ცნების—სიმართლის აღმნიშვნელია [6], 96).

ე. ხინთიბიძე, რომელსაც ჰგონია, რომ „მართალი სამართალი“ არ არის ღვთაებრივი სამართალი, ეძებს ახალ საბუთებს და იძულებულია ისევ არისტოტელეს ჰქონდათ-ს მიმართოს ახალ სტატიაში, რომელშიც კვლავ ეხება ქართულ სამართლებრივ ტერმინს—„მართალ სამართალს“.

ამ შესწორებულ შრომაში ე. ხინთიბიძე უკვე აღიარებს, რომ არისტოტელეს ჰქონდათ თურმე არა „მართალი სამართალი“, არამედ „უტყუარი სიმართლე“ ყოფილა. ავტორი გვარწმუნებს: „ვეფიქრობთ, რომ არისტოტელეს უტყუარი სიმართლე არის სამართლის ის სახეობა, რომელიც ყველაზე მეტ სამსახურს გავიწვევს ქრისტიანული ეპოქის „სამართალი სასჯელის“ ცნების მნიშვნელობის დადგენაში“ [13], 159).

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟამად ზედმეტად მივგაჩნია დავამტკიცოთ ე. ხინთიბიძის მიერ არისტოტელეს სამართლებრივი მოძღვრების მცდარი გაგება. არისტოტელეს სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი შეხედულებანი მონოგრაფიულადაა შესწავლილი იურისტ-სპეციალისტთა მიერ [6]. ამჯერად დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ერთი საკითხით: როგორ აქვს ე. ხინთიბიძეს გაგებული ჰქონდათ და როგორ იყენებს იგი ამ ცნებას ქართული სამართლებრივი ტერმინის, „მართალი სამართლის“ შინაარსის დასადგენად.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჰქონდათ (უტყუარი სიმართლე) „კონკრეტულ შემთხვევას შეეხება და პრაქტიკული გარემოებითაა ჩამოყალიბებული. ეს არის



სამართლიანობის ის სახეობა, რომელიც ემიჯნება ფორმალურ სამართლებრივ ცილურად არსებულ კანონმდებლობას, რადგანაც იგი წარმოადგენს პრაქტიკულად, კონკრეტული სიტუაციის მიხედვით გამოტანილ სამართლებრივ განაჩენს“ ([3], 158). მკვლევარი ამტკიცებს, რომ უტყუარი სიმართლის (ἐπιεικεία-ს) ცნება გადმოტანილ იქნა იოანეს სახარებასა და ქრისტიანულ მწერლობაში ჯერ „სამართალი სასჯელის“ სახით, შემდეგ კი „მართალი სამართლის“ ფორმით.

ამრიგად, ე. ხინთიბიძის აზრით, ანტიკური ეპოქიდან არისტოტელეს „უტყუარმა სიმართლემ“ (ἐπιεικεία-მ) შუა საუკუნეების საქართველოში შემოაღწია „მართალი სამართლის“ ფორმით. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ავტორს მოაქვს შემდეგი არგუმენტი: როგორც არისტოტელეს „უტყუარი სიმართლის“, ისე ქართული სამართლებრივი ტერმინის—„მართალი სამართლის“ ცნებას თურმე განსაზღვრავს ორი ძირითადი მომენტი: 1. არა ფორმალური (უნდა ეთქვა, დადებითი) სამართლის, არამედ კონკრეტული შემთხვევისა და სიტუაციის მიხედვით საქმის გადაწყვეტა, 2. მასში ერთადერთი მართალი, სწორი სიმართლის გამოხატვა ([3], 163).

მართლაც ამ გარემოებებს გულისხმობს არისტოტელეს „უტყუარი სიმართლე“ (ἐπιεικεία) და ქართული ტერმინი „მართალი სამართალი“?

არც არისტოტელეს ἐπιεικείა და არც ქართული „მართალი სამართალი“ სრულიადაც არ გულისხმობს ე. ხინთიბიძის მიერ მითითებულ გარემოებებს და საუკუნეებითა და საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციებით ერთმანეთისაგან დაშორებული ამ ტერმინების შინაარსობრივი დაკავშირება უთუოდ მცდარია.

არისტოტელეს სამართლებრივი და პოლიტიკური შეხედულებების შესწავლის საფუძველზე დიდი ხანია დადგენილია, რომ არისტოტელე სამართლისა და სამართლიანობისაგან განსხვავებით ცალკე განიხილავს სიმართლეს (ἐπιεικεία) ([6], 90—97), რომელიც, მისი აზრით, სამართლის სფეროს არ განეკუთვნება, სამართლის სისტემაში არ შედის; სიმართლე (ἐπιεικείა) უამოიყენება, როგორც სამართალში არსებული ხარვეზის შევსების კერძო შემთხვევა. როდესაც კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც სამართლებრივი გზით მოსაწესრიგებლად იქნება მიჩნეული, მაგრამ სამართლის სისტემაში არ აღმოჩნდება შესაბამისი ნორმა; მაშინ, არისტოტელეს აზრით, სწორად იქცევა ის, ვინც სიმართლის (ἐπιεικείა-ს) მიხედვით შეაყვებს სამართალში არსებულ ხარვეზს და გადაწყვეტს კერძო შემთხვევას. მაგრამ სიმართლე (ἐπιεικείა), როგორც სამართალში არსებული ხარვეზის შევსების საშუალება, არათუ არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს.—როგორც ე. ხინთიბიძე ფიქრობს,—([3], 158) არამედ მისი გამოყენება ხდება მოქმედი სამართლის სულისკვეთებით, მისი მთავარი მოთხოვნების მიხედვით.

ამრიგად, საფუძველს მოკლებულია ე. ხინთიბიძის მოსაზრება, თითქოს არისტოტელეს სიმართლე (ἐπιεικείა) „არის სიმართლე ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სიტუაციისა და მიხედვით და არა ფორმალური სამართლის მიხედვით“ ([3], 159). ეს რომ ასე იყოს, მაშინ, რა თქმა უნდა, სიმართლე (ἐπιεικείა) დაკარგავდა თავის ძირითად ფუნქციას, კერძოდ, იგი აღარ იქნებოდა პოზიტიურ (ე. ხინთიბიძის სიტყვით—ფორმალურ) სამართალში არსებული ხარვეზის შევსების საშუალება. პოზიტიურ სამართალში რომ გათვალისწინებული იყოს ის კონკრეტული შემთხვევა, რომელიც სამართლებრივი გზით უნდა მოწესრიგდეს, მაშინ

სიმართლე (ἐπιεικεία), როგორც ხარვეზის შევსების საშუალება, ზედმეტი აქტუალობა.

ე. ხინთიბიძის შრომაში დამოწმებული სამართლებრივი ძეგლების ანალოზს იმ დასკვნამდის მივყავართ, რომ ქართულ „მართალ სამართალს“ არისტოტელეს სიმართლის (ἐπιεικεία-ს) ფუნქცია—„პრაქტიკულად, შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით განაჩენის გამოტანის“ ([3], 158) დანიშნულება არა აქვს. საქმე ის არის, რომ არისტოტელეს სიმართლე (ἐπιεικεία) არ არის სამართლის სახე, იგი სამართლის სფეროში კი არ შედის, არამედ არისტოტელეს აზრით, მხოლოდ სამართალში არსებული ხარვეზის შევსების საშუალებაა. ქართული „მართალი სამართალი“ ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, სამართლის ერთ-ერთი სახეა, რასაც ე. ხინთიბიძე ვერ უარყოფს. რაკი ქართული „მართალი სამართალი“ სამართლის ერთ-ერთი სახეა, იგი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს ხარვეზის შევსების საშუალება, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის, როგორც სამართლის ცალკე სახე, აწესრიგებს რა გარკვეული ჯგუფის საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში თვითონ საჭიროებს შევსებას.

ამრიგად, ე. ხინთიბიძის მტკიცება, თითქოს არისტოტელეს სიმართლის (ἐπιεικείა-ს) და ქართული „მართალი სამართლის“ ცნების ერთ-ერთ ძირითად მხარეს წარმოადგენს საქმის გადაწყვეტა კონკრეტულ შემთხვევაში სიტუაციის მიხედვით და არა დადებითი სამართლის მიხედვით, საფუძველს მოკლებულია.

ე. ხინთიბიძის მიერ დაყენებულ საკითხს სხვა მხარეც აქვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე. ხინთიბიძე „მართალი სამართლის“ ცნების განმსაზღვრელად მასში გამოსახულ ღვთაების ნებას კი არ მიიჩნევს, არამედ „მართალი სამართალი“, სამართლის სხვა სახეებისაგან განსხვავებით, გავებული აქვს, როგორც კონკრეტულად, პრაქტიკულად გადაწყვეტილი სამართალი, ეს კი, ავტორის აზრით, ნიშნავს „შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით განაჩენის გამოტანას“.

იურიდიული თვალსაზრისით ეს მოსაზრება არ არის სწორი. საქმე ის არის, რომ არა მარტო „მართალი სამართლის“, როგორც სამართლის ერთ-ერთი სახის, არამედ ყველა სახის სამართლის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს „შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით განაჩენის გამოტანა.“ ამ მოთხოვნის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი გახდებოდა სამართლის უმთავრესი მიზნის განხორციელება—საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. უნდა შევნიშნოთ; რომ სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო კლასობრივი საზოგადოების ისტორიაში მონათმფლობელობიდან დაწყებული დღემდე, როგორც წესი, არ ყოფილა მართლმსაჯულების განხორციელების სხვანაირი გავება. სამართლის ნორმის (რა სახისაც უნდა იყოს იგი) რეალიზაციის უპირველესი მოთხოვნა მისი შეფარდება კონკრეტული სიტუაციისა და გარემოებების გათვალისწინებით, რადგანაც არ შეიძლება საქმე განხილულ იქნეს, თუ არ დადგინდა, ვინ დაარღვია სამართლის ნორმა, რა კონკრეტული სიტუაციისა და გარემოებების მიხედვით მოხდა მისი დარღვევა და ა. შ.

ამრიგად, „პრაქტიკულად შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით განაჩენის გამოტანა“ არ ყოფილა მარტო „მართალი სამართლისათვის“ დამახასიათებელი და, ამდენად, იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „მართალი სამართლის“ შინაარსის სპეციფიკურ განმსაზღვრელ მხარედ. სამართლის ნორმის



შეფარდება, რა სახის სამართალიც უნდა იყოს იგი, წარმოუდგენელია „შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვების“ გარეშე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით განაჩენის გამოტანა“ რომ არ არის მხოლოდ „მართალი სამართლისათვის“ დამახასიათებელი, მაშინვე ცხადი ხდება, როდესაც ე. ხინთიბიძე კონკრეტული ისტორიული წყაროებით ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. ყველა ისტორიული წყარო, რომლებსაც ე. ხინთიბიძე მიმართავს იმის დასასაბუთებლად, რომ მხოლოდ „მართალი სამართალი“ მოითხოვს „პრაქტიკულად, შექმნილ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით განაჩენის გამოტანას“, ავტორის მოსაზრებას ეწინააღმდეგება. ამისათვის საკმარისია გამოყენებულ იქნეს სამართლის ნორმის უბრალო ახსნა-განმარტების ხერხები. რა თქმა უნდა, ე. ხინთიბიძის მიერ მოყვანილი ყველა მაგალითის კრიტიკული განხილვა შორს წაგვიყვანდა და ეს არც არის საჭირო, დავეკმაყოფილებით მხოლოდ ერთი შემთხვევით, რომელიც ტიპიურია და ყველაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ე. ხინთიბიძე მიუთითებს ქართლის მეფის სიმონ I-ის მიერ 1592 წელს მაღალაძეებისათვის მიცემულ „სისხლის განჩინების სიგელზე“. სიგელი განსაზღვრავს ჩამოთვლილი თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის ზომას და აქ მითითებულია იმაზეც, თუ რა სახის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ცალკეული დარღვევის დროს. ძეგლის შემდგენელი აღნიშნავს, რომ დადებითი სამართალი უნდა იქნეს შეფარდებული შემდეგ შემთხვევებში: „თუ ხუცესსა ცოლი მოუტყუოს, სრულსა სისხლსა ორმოციათასი სხუა ემატოს, თუ ერისგანსა მოუტყუოს, ნახევარი სისხლი უზღოს. თუ ღალატითა მოკლას, სამოციათასი სისხლისა ემატოს, თუ ცოლი წაუღოს, სამოციათასი დაუღერვოს“ და ა. შ. ([17], 206).

რაც შეეხება სამართლის განსაკუთრებულ სახეს, „მართალ სამართალს“, კანონმდებლობის აზრით, მისი ნორმებით უნდა მოწესრიგდეს მხოლოდ ერთი შემთხვევა, კერძოდ: „თუ სასახლესა შეუღდას, სრული სისხლი არის. და რაზომცა სული დაეწყუდიოს, მისგან ყუალა დამწყუარი იქნების და მართლითა სამართლისა გაუჩნდეს“ ([17], 206).

ამ ძეგლში გადმოცემული დადებითი სამართლისა და „მართალი სამართლის“ ურთიერთშედარება ნათლად მოწმობს ე. ხინთიბიძის მოსაზრების უსაფუძვლობას იმის შესახებ, რომ მხოლოდ „მართალი სამართლის“ შეფარდებისას უნდა მოხდეს „პრაქტიკულად, შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით განაჩენის გამოტანა“. საქმე ის არის, რომ ამ მოთხოვნას კანონმდებელი გულისხმობს ყველა შემთხვევაში, განურჩევლად იმისა, სამართლის რომელი სახე, დადებითი სამართალი თუ „მართალი სამართალი“ იქნება შესაფარდებლად შერჩეული. კანონმდებლის აზრით, „პრაქტიკულად, შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით“ უნდა იქნეს განხილული არა მარტო „მართალი სამართალით“ (როგორც ამას ე. ხინთიბიძე ფიქრობს) მოსაწესრიგებელი ურთიერთობანი, არამედ დადებითი სამართლის ნორმებით გათვალისწინებული შემთხვევებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილ ძეგლში ხუცესის ცოლის შემცდენელის ნაცვლად უნდა დაისაჯოს სხვა, უდანაშაულო პირი.

მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნა, რომ „პრაქტიკულად, შექმნილ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით განაჩენის გამოტანა“ არ არის მხოლოდ „მართალი სამართლის“ შინაარსის განმსაზღვრელი, არამედ იგი ყველა სახის სამართლის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს, უნდა გავარკვიოთ საკითხის მეორე მხარეც, რომელზედაც ე. ხინთიბიძე საგანგებოდ ჩერდება.

ავტორის აზრით, „მართალ სამართალს“ აქვს სხვა მნიშვნელობაც, კერძოდ იგი არის „ჭეშმარიტი, სწორი სამართალი“. სამწუხაროდ, მკვლევარი ამ მოკლე მითითებით კმაყოფილდება და არ გვაძლევს იმის დასაბუთებას, თუ რატომ არის „მართალი სამართალი“ ჭეშმარიტი, სწორი სამართალი. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „მართალი სამართლის“ შინაარსის დასადგენად, რადგანაც მართლაც ამ უბრალო, არასრული განმარტებისას, რომ „მართალი სამართალი“ არის ჭეშმარიტი, სწორი სამართალი, გამოტოვებულია ის მთავარი მომენტი, რომლითაც „მართალი სამართალი“ უნდა იყოს შუა საუკუნეების პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით, ერთადერთი ჭეშმარიტი და სწორი სამართალი, ე. ი. სამართლის უმაღლესი სახე.

ჩვენ თავის დროზე დავსაბუთეთ, რომ „მართალი სამართალი“ იმიტომაც მიჩნეული შუა საუკუნეების საქართველოში ერთადერთ სწორ, ჭეშმარიტ სამართლად, რომ იგი ნიშნავს ღვთაებრივ სამართალს. ეს სასეებით ვასაგებია, რადგანაც შუა საუკუნეებში ყველაზე გაბატონებულ იდეოლოგიას რელიგია წარმოადგენდა და მისი დოგმებით ხდებოდა ყველა მოვლენის შეფასება. „მართალი სამართლის“ პირდაპირი განმარტება, კერძოდ, რომ იგი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ღვთის ნებას და ამიტომაც ღვთაებრივი სამართალია, ყველაზე ნათლად ვადმოცემულია ქართულ ოთხთავში, რომელშიც ნათქვამია: „არა ჯელ-მეწიფების მე თავის ჩემით არარაჲ, არამედ ვითარცა მესმის, ესჯი, და სასჯელი ჩემი მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა“ (იოანე, 5, 31). ამ ძეგლში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ორი სახის სამართალი, კერძოდ, სამართალი, რომლის შინაარსი განსაზღვრულია ადამიანთა ნება-სურვილით, და სამართალი, რომლის ნორმები გამოხატავენ ღმრთის ნებას. ე. ხინთიბიძეს ეჭვი შეაქვს ამ დებულებაში და აღნიშნავს, რომ „ჯერ-ერთი, საჭიროა დამტკიცება, რომ ამ კონტექსტში გამოთქმა „სასჯელი ჩემი მართალ არს“ სპეციფიკური გამოთქმაა და სამართლის თავისებურ სახეობას, მართალ სამართალს ნიშნავს და არა უბრალო გამოთქმა“ ([3], 158). „სასჯელი ჩემი მართალ არს“ უბრალო გამოთქმად არ შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ის არის, რომ სიტყვა „მართალი“ ძველ ქართულში ნიშნავს წმინდას, უცოდველს, ღვთაებრივს. ავტორი თხზულებისა—„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“—ბასილი ეზოსმოდგვარი წერს: „თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა“ ([4], 146), რაც თანამედროვე ქართულით ნიშნავს: თამარმა დაიძინა წმინდა (=ღვთაებრივი) ძილით, ე. ი. მიიცვალა. ე. ხინთიბიძის მიერ „მართალი სამართლის“ თაობაზე წამოყენებულ მოსაზრებას თუ ვერწმუნებით, მაშინ მივიღებთ: თამარმა დაიძინა სწორი, ჭეშმარიტი ძილით.

„მართალი სამართალი“ რომ ღვთაებრივი სამართალია, ეს სხვა გარემოებებითაც დასტურდება.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქართულ იურიდიულ მეცნიერებას სამართლის შეფარდების ცნების აღმნიშვნელად მოეპოვება მრავალი ტერმინი:



„საჯვად“, „განსჯად“, „გასამართლება“, „დასამართლება“, „განბჭობა“ და „მართლმსაჯულება“. ([8], 473—477; 501—502); საყურადღებოა, რომ ყველა სხვა ტერმინისაგან განსხვავებით, ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში მხოლოდ „მართლმსაჯულება“ არის დაკავშირებული ყოველთვის ქრისტეს, ღმერთის სახელთან ([4], 20; 51), და ამიტომაც იმ სამართლის შეფარდებას, რომელიც ღმერთის, ქრისტეს ნებას გამოხატავს, ეწოდება „მართლმსაჯულება“, რაც, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „მართალი სამართლის“ ქმნას ნიშნავს ([4], 573).

მითითებას იმის შესახებ, რომ ძველ ქართულში სიტყვა „მართალი“ ნიშნავს წმინდას, უცოდველს, ღვთაებრივს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რაკი სამართლებრივ ტერმინში — „მართალი სამართალი“ სიტყვა „მართალი“ წმინდას, უცოდველს, ღვთაებრივს ნიშნავს, ადვილი მისახვედრია, რომ „მართალი სამართალი“ მხოლოდ ღვთაებრივი სამართალია და მეტი არაფერი.

ე. ხინთიბიძემ კარგად იცის, რომ გამოთქმა „სასჯელი ჩემი მართალ არს“ სპეციფიკური სამართლებრივი გამოთქმაა (ამის დასამტკიცებლად ზემოთ მოტანილი არგუმენტებიც არ იყო საჭირო) და ამიტომაც იგი თავს იზღვევს. „რომც ჩავთვალოთ, რომ მოყვანილ ნაწყევტში მართლაც სპეციფიკურ მართალ სამართალთან გვაქვს საქმე, — ამბობს მკვლევარი, — განა ამ კონტექსტიდან მართლა გამომდინარეობს, რომ მართალი სამართალი იგივე ღვთაებრივი სამართალია?“ ([3], 155).

ჩვენ მიერ ქართული ოთხთავიდან მოტანილი ადგილი შეიცავს არა მარტო საგანგებო მითითებას „მართალი სამართლის“ შესახებ, არამედ „მართალი სამართლის“ უმთავრეს განსაზღვრულ ნიშნად მიჩნეულია ღვთის ნება. ე. ხინთიბიძეს არ სჯერა, რომ ღვთის ნებით განსაზღვრული სამართალი შეიძლება მხოლოდ ღვთაებრივი სამართალი იყოს და მეტი არაფერი, მაგრამ საქმე ის არის, რომ სამართალი მხოლოდ და მხოლოდ ნებლობითი მოვლენაა, ე. ი. სამართლის არსი ყოველთვის განსაზღვრულია ნებით, რომელიც ისტორიულად შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს: დადებითი სამართლის არსს საზოგადოებაში გაბატონებული კლასის ნება განსაზღვრავს, ღვთაებრივი სამართლის არსს — ღვთის ნება, ბუნებითი სამართლის არსს — ბუნება და ა. შ. იქნება ე. ხინთიბიძეს საეჭვოდ მოეჩვენოს ჩვენი ეს მტკიცება და საბუთიც მოგვთხოვოს ამ ელემენტარული დებულების დასამტკიცებლად. აი, საბუთიც. მარქსიზმის ფუძემდებლები ბურჟუაზიული სამართლის შესახებ მიუთითებდნენ: „თქვენი სამართალი მხოლოდ კანონად გამოცხადებული ნება-სურვილია თქვენი კლასისა, [ნება-სურვილი, რომლის შინაარსი თქვენი კლასის ცხოვრების მატერიალური პირობებითაა განსაზღვრული“ ([9], 30), აქედან ცხადია, რომ ბურჟუაზიის ნებით განსაზღვრული სამართალი ბურჟუაზიული სამართალია, მონათმფლობელთა ნებით განსაზღვრული სამართალი — მონათმფლობელური სამართალი; ფეოდალთა ნებით განსაზღვრული მხოლოდ ფეოდალური სამართალი და, რაღა თქმა უნდა, ღმერთის ნებით განსაზღვრული სამართალი არის ღვთაებრივი სამართალი.

ამრიგად, „მართალი სამართლის“ შინაარსის განსაზღვრა, რასაც ე. ხინთიბიძე გვთავაზობს, ჩვენი აზრით, არ არის დასაბუთებული.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА—REFERENCES

1. ვ. აბაშმაძე, „მართალი სამართლის“ ცნება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებაში. თსუ შრომები, 119. მისივე ქმნა მართლისა სამართლისა... „ლიტერატურული საქართველო“, 1965 წ. 9 სექტემბერი.
2. История политических учений, под ред. С. Ф. Кечекьяна и Г. И. Федькина, М., 1965.
3. ე. ხინტიბიძე, „მართალი სამართლის“ ცნების გაგებისათვის, „მაცნე“ № 2, 1969.
4. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
5. ე. ხინტიბიძე, „მართალი სამართლის“ გაგებისათვის. შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, სამეცნიერო სესია, III, თეზისები, 1968.
6. С. Ф. Кечекьян, Учение Аристотеля о государстве и праве, М.—Л., 1947.
7. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965.
8. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, 1929.
9. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. I, თბ., 1950.

В. В. АБАШМАДЗЕ

К ПРАВИЛЬНОМУ ПОНИМАНИЮ „მართალი სამართალი“

Резюме

В исторических памятниках феодальной Грузии часто встречается указание на „martali samartali“, которое, как мы доказали в свое время, является специфическим правовым термином, обозначающим особый вид права—божественное право.

В последнее время правовой термин „martali samartali“ привлек внимание и филологов.

Е. Хинтибидзе в своих тезисах доклада „К понятию „მართალი სამართალი“ попытался доказать, что этот термин возник не в грузинской действительности, а заимствован у Аристотеля, который разработал понятия „ἐπιεικεία“, что в полном переводе, как он утверждает, означает „ზუსტი, მართალი, სამართალი“. Определение Е. Хинтибидзе является ошибочным. Советские и зарубежные ученые, которые монографически исследовали учение Аристотеля о государстве и праве, давно доказали, что „ἐπιεικεία“—термин, обозначающий лишь „правду“, а не „ზუსტი, მართალი, სამართალი“. После того, как стала известна несостоятельность суждения Е. Хинтибидзе, он в другой работе „К пониманию понятия „მართალი სამართალი“ уже предлагает иное определение этого термина. По его мнению, „მართალი სამართალი“ Руставели заимствовал у Аристотеля, у которого встречается указание на „ἐπιεικεία“, сущностью которого, по утверждению Е. Хинтибидзе, является „вынесение приговора по усмотрению создавшейся конкретной ситуации“.

В данной работе утверждается:

1. „ἐπιεικεία“ Аристотеля не означает „вынесение приговора по усмотрению создавшейся конкретной ситуации“.
2. Определяющей сущностью понятия „მართალი სამართალი“ также не является „вынесение приговора по усмотрению создавшейся конкретной ситуации“, поскольку оно характерно не только для „მართალი სამართალი“, но и для всех других видов права.
3. Одновременно в работе доказывается, что „მართალი სამართალი“ — это особый вид права — божественное право.

IV ВСЕСОЮЗНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ ПО ПРОБЛЕМАМ КЛАССИЧЕСКОЙ ФИЛОЛОГИИ

(г. Тбилиси)

С 20 по 26 ноября 1969 года в Тбилиском государственном университете состоялась четвертая Всесоюзная конференция по вопросам классической филологии. (Решение о проведении этой конференции было принято в 1966 г. на третьей Киевской конференции филологов-классиков. Первые две конференции проходили в г. Ленинграде в 1957 и 1961 гг.).

Вся организационная работа по подготовке и проведению конференции была проделана кафедрой классической филологии Тбилисского государственного университета. План работы и тезисы докладов в объеме 250 страниц были предварительно напечатаны.

Инициатива Тбилисского государственного университета, организовавшего конференцию филологов-классиков в столице Грузинской ССР, вызвала широкий отклик филологической общественности.

В работах конференции приняли участие около 180 человек из 37 городов Советского Союза. Ученые съехались из Москвы, Ленинграда, Киева, Минска, Риги, Львова, Харькова, Владивостока, Томска и из других научных центров нашей страны.

Конференция была не только всесоюзной по своему размаху, в ее работе приняли участие также и зарубежные гости — филологи-классики из стран народной демократии — профессора И. Ирмшер, Ф. Кюперт и Г. Шмидт из Германской Демократической Республики и профессор Харматта из Венгрии.

Программа конференции была многообразной:

Работали следующие секции: 1. История античной литературы (руководители: проф. А. А. Тахо-Годи, проф. И. М. Тронский); 2. Греческий и латинский языки (руководители: проф. С. Г. Каухчишвили, проф. Ю. В. Откупщиков); 3. Античная культура, античность и современность (руководители: проф. Т. С. Каухчишвили, проф. О. Д. Лордкипанидзе).

Открытие конференции состоялось 20 ноября в 11 ч. в актовом зале Тбилисского университета. Конференцию открыл действительный член АН Грузинской ССР С. Г. Каухчишвили. После открытия конференции на пленарном заседании были прослушаны доклады:

1) акад. С. Г. Каухчишвили. Жизнь и научное творчество Г. Ф. Церетели; 2) проф. А. В. Урушадзе — Классическая филология в Грузинской ССР; 3) проф. А. Ф. Лосева — Античный эфир; 4) доц. В. В. Кондзелка — Ленинское философское наследие — методологическая основа исследования проблем античной философии; 5) проф. И. М. Тронский — Комедия Плавта «Bacchides» и новонайденные отрывки ее оригинала.

В работах секции истории античной литературы ставились важные узловыe вопросы. Внимание привлекли Гомер, Феогнид, Пиндар, Эсхил,



Софокл, Еврипид, Аристофан, Менандр, Плутарх, греческая эпиграмма и греческий роман, а из римских писателей — Плавт, Цицерон, Лукреций, Вергилий, Гораций, Овидий, Валерий Флакк, Сенека и другие. Докладчики показали прогрессивно-гуманистическое содержание античной литературы.

Разнообразной была также программа секции греческого и латинского языков. Все аспекты классических языков (фонетика, морфология, синтаксис, лексика, семасиология и т. д.) были затронуты в докладах как в теоретическом, так и в историческом плане. Предметом интересов конференции были не только греческий и латинский, но и соседние языки — фракийский, этрусский, а также языки Малой Азии и Кавказа.

В работах этой секции большое место занимал актуальный вопрос о взаимоотношениях между индоевропейскими и картвельскими языками. Именно этой проблеме были посвящены доклады грузинских ученых (А. Г. Шанидзе, Г. С. Ахвледиани, С. Г. Каухчишвили, Р. В. Гордезиани, Д. С. Мгеладзе, Е. Ф. Джейранишвили, Т. В. Гиоргобиани, Н. Н. Гаприндашвили).

В докладах секции «Античная культура» и «Античность и современность» были продемонстрированы: значение античной культуры для древнего Причерноморья и, в частности, для Колхиды, было показано ее влияние на культуру самых различных наций нашей страны.

С особым интересом были заслушаны доклады наших зарубежных гостей: И. Ирмшера — *Klassische Altertumswissenschaft in sozialistischen Deutschland*; Ф. Кюнерта — *Der Deklamationsunterricht der frühen römischen Kaiserzeit als Mittel der literar-ästhetischen Erziehung*, Я. Харматта — *Политическое воззрение Гелланика*; Г. Шмидта — *Philosophie und poetische Elemente bei Lucretius*.


Пристальное внимание участников конференции привлек доклад О. А. Лордкипанидзе на тему — *Эллинистическая культура в Грузии*.

Грузинская школа классической филологии, основателем которой был Г. Ф. Церетели, на конференции показала свои значительные достижения.

На заключительном пленарном заседании были заслушаны отчеты руководителей секций. Конференция приняла ряд резолюций, направленных на улучшение научной и учебной работы по классической филологии.

Закрывая заседание, ректор Тбилисского университета, академик АН СССР И. Н. Векуа от имени организаторов конференции выразил благодарность всем, принявшим участие в ее работе.

Для участников конференции оргкомитетом был организован ряд экскурсий как по городу Тбилиси, так и в разные районы Грузии.



VI ВСЕСОЮЗНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ ПО ПРОБЛЕМАМ ИРАНСКОЙ ФИЛОЛОГИИ

(г. Тбилиси)

С 28 по 30 мая 1970 года в Тбилисском государственном университете была проведена VI Всесоюзная научная конференция по актуальным проблемам иранской филологии.

В работе конференции участвовали ученые из Москвы, Ленинграда, Баку, Еревана, Ташкента, Душанбе, Самарканда, Цхинвали, Орджоникидзе и Тбилиси.

Среди участников конференции были такие известные ученые, как: В. И. Абаев (Москва), Ю. Ю. Авалиани (Самарканд), М. К. Андроникашвили (Тбилиси), А. Г. Барамидзе (Тбилиси), М. Н. Боголюбов (Ленинград), А. Н. Болдырев (Ленинград), Д. И. Кобидзе (Тбилиси), Д. С. Комиссаров (Москва), Г. А. Меликишвили (Тбилиси), Г. М. Налбандян (Ереван), Б. Н. Ниязмухамедов (Душанбе), К. К. Пагава (Тбилиси), Л. С. Пейсиков (Москва), В. С. Расторгуева (Москва), Р. С. Султанов (Баку), А. Т. Тагирджанов (Ленинград), Д. Т. Таджиев (Душанбе), М. А. Тодуа (Тбилиси), К. Г. Церетели (Тбилиси), А. Г. Шанидзе (Тбилиси) и др.

Конференцию вступительным словом открыл член-корр. АН СССР, профессор Г. С. А х в л е д и а н и.

Проф Д. И. К о б и д з е в докладе «Иранская филология в Грузии» познакомил участников конференции с научной работой и достижениями грузинских иранистов. Им было отмечено, что актуальными проблемами грузинской иранистики являются: изучение грузино-персидских литературных и языковых связей, исследование иранских языков и вопросов истории персидской литературы. В результате разработки этих проблем — по словам докладчика — грузинскими иранистами созданы исследования, которые снискали всеобщее признание как советских, так и зарубежных ученых.

В докладе «Древнеперсидская надпись арамейскими буквами из Кападокии» член-корр. АН СССР Н. М. Б о г о л ю б о в (Ленинград) представил дешифровку одной надписи из Аребсуна, которая до сих пор оставалась неп прочитанной.

Проф. В. И. А б а е в (Москва) в докладе «О вариативности сонантов» отметил, что в картвельских языках наблюдаются случаи вариативности сонантов во многом аналогичные индоевропейским фактам.

На пленарных заседаниях были заслушаны также доклады член-корр.-а АН СССР, профессора А. Г. Шанидзе «К вопросу о значении среднеперсидского слова «Остиган» в грузинских памятниках X—XI вв.», акад. АН Груз. ССР Г. А. Меликишвили «К 2500-летию иранского государства» и доц. О. И. Г и г и н е й ш в и л и «Ленин и Восток».

Работало шесть секций: 1) древне- и среднеперсидских языков и языковых контактов; 2) новоиранских языков; 3) лексикологии и иран-



ских языков; 4) классической литературы; 5) современной литературы; 6) письменных памятников.

На секционных заседаниях были заслушаны доклады Г. С. Ахведиани «К вопросу о суперации аксессивов в гатах Авесты», М. К. Андроникашвили «О некоторых словообразующих суффиксах иранского происхождения в грузинском», Д. Г. Бекоева «О происхождении самоназваний осетин: Ир (ирон), Двал и Дигор, Л. Г. Герценберга «Индоевропейский, картвельский и иранский», Г. М. Налбандяна «Армянские личные имена скифо-алано-осетинского происхождения», Г. К. Церетели «Иранизмы в современных арамейских диалектах», В. С. Расторгуевой «Некоторые вопросы эволюции именной флексии в новоиранских языках», Д. Т. Таджиева «Составные подчинительные союзы в таджикском литературном языке», Л. С. Пейсикова «Отношение производности и блочное словообразование», А. Г. Барамидзе «О грузинских версиях Калйлы и Димны», В. Б. Никитиной «Об аспектах отображения автономной личности в литературе на языке фарси в X—XV вв.», А. Т. Гагирджанова «Некоторые соображения о происхождении повести «Лейли и Маджнун», Д. С. Комиссарова «Об эпистолярном наследии Талибова», А. З. Розенфельд «Истоки иранской драматургии», А. Н. Болдырева «О двух рукописных книгах фонда «П. Н. С.» Государственной публичной библиотеки им. Салтыкова-Щедрина в Ленинграде, Л. Н. Тушишвили «Анонимная рукопись грамматики персидского языка», А. А. Гвария «О вновь обнаруженных версиях персидских народных дастанов» и др.

Участники конференции активно выступали в прениях и обсуждениях докладов, они обменялись опытом и наметили ряд проблем, на которых следует сосредоточить внимание специалистов.

Делегаты всех ирановедческих центров Союза высказались за создание всесоюзного научного органа советских иранистов.

Работа конференции была весьма плодотворной, она показала высокий уровень советской науки по востоковедению, в частности, иранской филологии, и значительные достижения советских ученых в области изучения иранских языков и литературы.

Ниже публикуется резолюция конференции, которая была принята единогласно.

РЕЗОЛЮЦИЯ

VI ВСЕСОЮЗНОЙ НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ ПО АКТУАЛЬНЫМ ПРОБЛЕМАМ ИРАНСКОЙ ФИЛОЛОГИИ

Участники VI Всесоюзной научной конференции по актуальным проблемам иранской филологии, состоявшейся 28—30 мая 1971 г. в Тбилиском государственном университете, отмечают возросший уровень советской науки о языках, литературах и культуре иранских народов. Значительны достижения советских иранистов в области диалектологии, лексикографии, литературоведения, археографии и издания текстов письменных памятников классического периода.

В настоящее время советская иранистика способна решать многие актуальные проблемы, поставленные современным уровнем развития науки и задачами коммунистического строительства наших республик.

Проблемами иранистики плодотворно занимаются ученые Москвы, Ленинграда, Душанбе, Ташкента, Самарканда, Баку, Еревана, Орджикидзе, Цхинвали, Ашхабада, Тбилиси и т. д. Конференция отмечает, что назрела необходимость издания всесоюзного органа иранистов — журнала «Советская иранистика».

Складывается добрая традиция сотрудничества наших иранистов с учеными и научными учреждениями Ирана и Афганистана в деле обмена опытом и издания памятников классической литературы. Участники конференции отмечают исключительно плодотворное влияние подобных контактов на взаимопонимание народов и стран, и считают желательным всемерно способствовать их расширению.

Конференция постановляет:

1. Следующую конференцию считать целесообразной и созвать в 1973 г. в г. Ереване.
2. Обратиться с просьбой в Президиум АН Тадж. ССР о проведении соответствующей организационной работы для основания Всесоюзного органа иранистов — журнала «Советская иранистика» с местом издания в г. Душанбе.
3. Просить ректора Тбилисского университета акад. И. Н. Векуа о содействии в деле опубликования трудов конференции.

შინაარსი

ისტორია. არქეოლოგია

| | |
|--|----|
| [ივანე ჯავახიშვილი] — ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის | 5 |
| ნოდარ ლომოური — „კოლხიდის“ და „კოლხების“ გაგებისათვის | 19 |
| გივი კვაჭანტირაძე — საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა პარტიულ-საბჭოთა პრესის შექმნისა და განმტკიცებისათვის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.) | 33 |
| აკაკი ურუშაძე — ბიზანტიური კრებულის — <i>IONIA</i> ერთი ცნობის შესახებ | 47 |
| ოთარ ლორთქიფანიძე — მასალები ძვ. წ. V ს. კოლხეთის მხატვრული კულტურის ისტორიისათვის (ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით) | 51 |

ენათმეცნიერება. ლიტერატურათმცოდნეობა

| | |
|--|-----|
| [ილია აბულაძე] — ძველი ქართული ენის ლექსიკიდან („მაწვა“) | 65 |
| ბაქარ გიგინეიშვილი — საერთოდაღესტნური ენის ფშვინვიერი აფრიატები | 69 |
| გიორგი როგავა — ვიწრო წ ხმოვნის ირაციონალურ ჯ ხმოვანში პოზიციური გადასვლისათვის ადილურ ენებში | 83 |
| ირაკლი ცერცვაძე — ნათესაობითბრუნვიან შესიტყვებათა მნიშვნელობა რუსულში და მათი ეკვივალენტები ქართულში | 95 |
| იზოლდა ბაჩიაშვილი — „მედია“ ევრიბიდედან ანუიმდე (სენეკა, კორნელი, გრილბარცერი, ანუი) | 109 |
| გიორგი გიგოლოვი — მ. გორკის ერთი „სუსტი“ მოთხრობის შესახებ | 123 |
| ოთარ ბაქანიძე — ივანე კოტლიარევსკი და ქართველი საზოგადოებრიობა | 137 |
| გიორგი ახვლედიანი — ავესტის გათებიდან | 149 |

ეკონომიკა. სამართალი

| | |
|---|-----|
| ვალერიან დათუკიშვილი — საბჭოთა საქართველოს მანქანათმშენებლო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა | 151 |
| არჩილ ფანცხავა — ვ. ი. ლენინი და რეფორმამდელი საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხები | 165 |
| მიხეილ კეკელიძე — ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშის და მესტიის ოთხთავების მინაწერთა მიხედვით | 177 |

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ქრონიკა

| | |
|--|-----|
| ვახტანგ აბაშმაძე — „მართალი სამართლის“ გაგებისათვის | 191 |
| IV საკავშირო კონფერენცია კლასიკური ფილოლოგიის პრობლემებზე (ქ. თბილისი) | 203 |
| VI საკავშირო კონფერენცია ირანული ფილოლოგიის პრობლემებზე (ქ. თბილისი) | 205 |

СОДЕРЖАНИЕ

История. Археология

| | |
|---|----|
| [И. А. Джавахишвили], Борьба за создание Тбилисского университета | 5 |
| Н. Ю. Ломоури, К пониманию терминов «Колхида» и «колхи» | 19 |
| Г. А. Квачантирадзе, Борьба Коммунистической партии Грузии за создание и укрепление партийно-советской печати в восстановительный период народного хозяйства (1921—1925 годы) | 33 |
| А. В. Урушадзе, Об одном сообщении византийского сборника <i>ΙΩΝΙΑ</i> | 47 |
| О. Д. Лордкипанидзе, Материалы к истории художественной культуры Колхиды V в. до н. э. (По новейшим археологическим открытиям) | 51 |

Языкознание. Литературоведение

| | |
|---|-----|
| [И. В. Абуладзе], Из лексики древнегрузинского языка | 65 |
| Б. К. Гигинейшвили, Придыхательные аффрикаты общедагестанского языка (Опыт реконструкции) | 69 |
| Г. В. Рогавва, К вопросу о позиционном переходе гласного <i>ა</i> в иррациональный гласный <i>ჲ</i> в адыгских языках | 83 |
| Н. И. Церцвадзе, О значениях словосочетаний с родительным падежом в русском языке и их эквивалентах в грузинском | 95 |
| И. А. Бачиашвили, Медея от Еврипида до Ануия (Сенека, Корнель, Грилпарцер, Ануий) | 109 |
| Г. М. Гиголов, Об одной «неудачной» повести М. Горького | 123 |
| О. А. Баканидзе, Иван Котляревский и грузинская общественность | 137 |
| Г. С. Ахвледиани, Из гат Авесты (Песнь 34 ¹) | 149 |

Экономика. Право

| | |
|---|-----|
| В. И. Датукишвили, Отраслевая структура машиностроительной промышленности Советской Грузии | 152 |
| И. Я. Панцхава, В. И. Ленин и вопросы экономического развития дореформенной Грузии | 165 |
| М. М. Кекелиа, Вопросы общественного строя и права Верхней Сванетии по припискам на Адишском и Местийском четвероглавах | 177 |

Критика и библиография. Хроника

| | |
|---|-----|
| В. В. Абашмадзе, К правильному пониманию « <i>martali samartali</i> » („მართალი სამართალი“) | 187 |
| IV Всесоюзная конференция по проблемам классической филологии в Тбилиси | 203 |
| VI Всесоюзная конференция по проблемам иранской филологии в Тбилиси | 205 |

CONTENTS

History. Archaeology

| | |
|---|----|
| [I. Javakhishvili]. The campaign for founding the University in Georgia | 5 |
| N. Lomouri. On the concept of "Colchis" and the "Colchians" | 19 |
| G. Kvachantiradze. The fight of the Georgian Communist Party for the establishment and consolidation of the Party and Soviet press during the restoration of the national economy (1921—1925) | 23 |
| A. Urushadze. A study of one piece of evidence in the Byzantine composition <i>IONIA</i> | 47 |
| O. Lortkipanidze. Material for the history of the art of Colchis in the 5-th century B. C. (according to new archaeological discoveries) | 51 |

Linguistics. History of Literature

| | |
|---|-----|
| [I. Abuladze]. Some notes on the vocabulary of Old Georgian | 65 |
| B. Gigineishvili. Affricated aspirates of the common Dagestanian language (an attempt at reconstruction) | 69 |
| G. Rogava. Concerning the positional change of the narrow \ddot{a} vowel to the irrational ə vowel in the Adyghe languages | 83 |
| Tsertsvadze. The meanings of Genetive collocations in Russian and their equivalents in Georgian | 95 |
| I Bachiashvili. Medea from Euripides to Anouilh (Seneca, Corneille, Grillparzer, Anouilh) | 109 |
| G. Gigolov. An "unsuccessful" story by M. Gorky | 123 |
| O. Bakanidze. Ivan Kotliarevsky and the Georgian public | 137 |
| G. Akhvlediani. A study on the Gathas of the Avesta (hymn 34 ¹) | 149 |

Economics. Law

| | |
|---|-----|
| V. Datukishvili. The structure of the machine-building industry in Soviet Georgia | 151 |
| I. Pantskhava. V. I. Lenin and the problems of the economic development of pre-reform Georgia | 165 |
| M. Kekelia. The social system and law of Upper Svaneti according to the adscripts of the Adish and Mestia Gospels | 177 |

Bibliography—Proceedings

| | |
|--|-----|
| V. Abashmadze. On the interpretation of "true justice" მართალი სამართალი | 191 |
| IV All-Union Conference on the Problems of Classical Philology (Tbilisi) . . . | 203 |
| VI All-Union Conference on the Problems of Iranian Philology (Tbilisi) . . . | 205 |



გამომცემლობის რედაქტორები: დ. დეღევიძე
ლ. რაზმაძე

ტექნიკური ი. ხუციშვილი
კორექტორი მ. ჯანელიძე

რედაქციის მდივანი მ. ტუსკია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/IV-71
ქაღალდის ფორმატი 70×108/16
ნაბეჭდი თაბახი 18, 55
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,8

შეკვეთა 1701 უე 03359 ტირაჟი 600

ფასი 1 მან. 60 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1

